



საქართველოს უნივერსიტეტი



„ომის“ კონცეპტი თანამედროვე ინგლისურ ენაში

ავტორი: ნინო ღარიბაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მათა ჩხეიძე

თბილისი

2020

მიმოხილვა

ენა არის ის, რაც დევს ადამიანის კულტურული ყოფიერების ზედაპირზე. ენა, ადამიანის ყოფიერება და კულტურა განუყოფელია ერთმანეთისაგან. არ არსებობს კულტურა ენის გარეშე - კულტურის ფენომენი ენითაა გამსჭვალული. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა განსაზღვრავს კულტურის არა რომელიმე კონკრეტული სფეროს, არამედ თუ რაიმე არსებობს კულტურის სახით, იგი აუცილებლად ენაშია გაფორმებული. ენა კულტურის არსებობის წესია.

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დომინანტად იქცა ენის, კულტურისა და სუბიექტის მიმართების კვლევა. ენა წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს ასახვის ფორმას და სამყაროს შესახებ ცოდნის მოპოვების საშუალებას. ენა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია მენტალურ სფეროში შეღწევა.

ამდენად, სრულიად ბუნებრივია თანამედროვე ლინგვისტიკის ინტერესი არა უბრალოდ ადამიანის, არამედ პიროვნების, როგორც გარკვეული ნაციონალური მენტალიტეტისა და ენის მატარებლის, მიმართ.

ჩვენ დაკავებული ვართ სამყაროს დანაწევრებით, სამყაროს ცნებების მიხედვით დაყოფით და მშვნელობების განაწილებით. ჩვენ ვართ იმ შეთანხმების მონაწილენი, რომელიც ქმედითია გარკვეულ დროსა და სივრცეში გარკვეული ენობრივი კოლექტივისთვის და ფიქსირებულია ჩვენი ენის მოდელების სისტემაში. თითოეულ ენას სამყაროს განსაკუთრებული ხედვა გააჩნია. სწორედ ამ ხედვის მიხედვით აწესრიგებს ენის მატარებელი პიროვნება ნათქვამის შინაარსს. სწორედ ამ გზით მჟაღავნდება ადამიანის მიერ სამყაროს თავისებური აღქმა, რომელიც ენაშია დაფიქსირებული.

რადგან ენის ყველა მატარებელი ამავე დროს კულტურის მატარებელიც არის, ამიტომ ენის ნიშნები იძენენ კულტურის ნიშნების ფუნქციის შესრულების უნარსაც და ამგვარად ემსახურებიან კულტურის წარმოჩენას. სწორედ ამიტომ გააჩნია ენას მისი მატარებლის კულტურულ-ნაციონალური თავისებურების ასახვის უნარი.

ენა თავისებურად ანაწევრებს სამყაროს, სხვა სიტყვებით, აქვს მისი კონცეპტუალიზაციის საკუთარი საშუალება. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ ადამიანსა და სამყაროს შორის

არსებული მიმართება ფიქსირდება ცნობიერებაში ცნებების, ხატებისა და ქცევის მოდელების სახით. აღნიშნული მიმართების კვლევა პასუხობს თანამედროვე ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნა კი გულისხმობს ენობრივი ერთეულის კულტურული ნიშნადობის ექსპლიცირებას ენობრივი ერთეულისა და კულტურული კოდის მიმართების ანალიზის საფუძველზე.

ცოდნის სახეობათა ერთიანობა, ადამიანის ცნობიერების ყველა ასპექტის ინტეგრირება ჯამში ქმნის სამყაროს კონცეპტუალურ სურათს, რომელიც ერთდროულად პიროვნულ-ინდივიდუალურიცაა და საზოგადოებრივ-სოციალურიც.

ჩვენი ცნობიერება ერთდროულად მთლიანობრივიცაა და მრავალწახნაგოვანიც. სამყაროსთან ურთიერთქმედებაში სხვადასხვა ტიპის ცოდნას ვიღებთ. ადამიანის ცნობიერების ყველა ასპექტის ინტეგრირება, ცოდნის სხვადასხვა სახეობათა ერთიანობა ჯამში ქმნის ერთეულს, რომელიც ერთდროულად პიროვნულ-ინდივიდუალურიცაა და ზეინდივიდუალურიც.

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას - იგი ითვისებს უკვე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას, მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუმს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.

სარჩევი	
შესავალი	5
თავი 1. კვლევის მეთოდოლოგია	11
1.1. ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპების სინთეზი	11
1.2. რთულ სისტემათა კონსტრუირების პრინციპები	18
1.3. სირცეთა ინტეგრალური და დიფერენციალური ნიშნები	21
თავი 2. ფრეიმები და სემანტიკა	32
2.1. ძირითადი ცნებები	32
2.2. კოგნიტური სტრუქტურების თავისებურებები	35
2.3. ფრეიმული ქსელის არსი	48
თავი 3. ღირებულებითი ორიენტაციები	62
3.1. კულტურა და ღირებულება	62
3.2. სამყაროს ხატის ღირებულებითი ფრაგმენტი და კონცეპტის აქსიოლოგიური ველი	74
თავი 4. კონცეპტი „ომი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში	81
4.1. დეფინიციებისა და აღქმის სხვადასხვაგვარობა	81
4.2. კონცეპტის „ომი“ ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა თანამედროვე ინგლისურ ენაში	96
4.3. ენობრივი მონაცემებიდან კოგნიტურ მონაცემებამდე	118
დასკვნა	132
ბიბლიოგრაფია	

შესავალი

სამყაროს ხატი კომპლექსური ფენომენია - მასში თანაარსებობს ენობრივი, კულტურული და კონცეპტუალური ელემენტები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროს ხატი წარმოადგენს ენის, კულტურისა და კონცეპტების პრიზმაში გარდატეხილ მთლიანობას.

სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს სულიერ და ენობრივ შინაარსთა სისტემას. აღნიშნული სისტემა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ენობრივი სოციუმის კულტურისა და მენტალიტეტის თავისებურებას, მეორე მხრივ კი, განაპირობებს თავად ენის არსებობასა და ფუნქციონირებას.

სამყაროს ენობრივი ხატი მკაფიოდ სტრუქტურირებული და მრავალადონიანია ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით. იგი ცვლადია დროში და განვითარებადია ისევე, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი.

თანამედროვე ლინგვისტები სამყაროს ხატს განიხილავენ იდეალურ წარმონაქმნად, რომელიც შედგება სტრუქტურულად ორგანიზებული კომპონენტებისაგან, რომელიც ასევე ასრულებს კონკრეტულ ფუნქციებს და ვითარდება სრულიად კანონზომიერად.

სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცნობიერებაში არსებული და ენაში გამოხატული ცნებების, სტრუქტურებისა და სიმბოლოების ერთობლიობას. აღნიშნული ერთობლიობა წარმოადგენს კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ცნებების სახით ფიქსირებულ ცოდნას სამყაროს შესახებ.

მთლიანობაში, სამყაროს ხატი მოიცავს ენის მეშვეობით ასახული ობიექტური რეალობის არა მხოლოდ კონცეპტუალურ (ლოგიკურ) ანაბეჭდს, არამედ ობიექტური რეალობის გრძნობით, ხატობრივ ანაბეჭდსაც, რომელიც გენერირებულია უშუალო შეგრძნებების, წარმოდგენებისა და განზოგადებული ანარეკლის (სქემების) მეშვეობით.

თანამედროვე ლინგვისტიკა ხასიათდება კონცეპტის არსის ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნებით. საბედნიეროდ, ამ მრავალფეროვნებაში იკვეთება „საერთო მნიშვნელი“,

რომლის ვერბალიზაცია შესაძლებელია შემდეგი სახით: ყველა მიდგომაში აქცენტირებულია კონცეპტში არსებული კულტურული ინფორმაციის მნიშვნელოვნება.

კონცეპტის „ომი“ ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტი: ომის ფენომენს გააჩნია უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელოვნება. აღნიშნულ ფენომენს ეძღვნება კვლევები ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და პოლიტოლოგიის სფეროებში. რაც შეეხება ომის ფენომენს ლინგვისტიკაში, აქ ანალიზი საკმაოდ ზედაპირულია და შემოიფარგლება მხოლოდ ენობრივ ერთეულთა დესკრიფციით.

კონცეპტთა კვლევა იძლევა ადამიანის მენტალურ სამყაროში შეღწევის შესაძლებლობას, ვინაიდან სწორედ კონცეპტი, როგორც ეთნოკულტურულად დეტერმინირებული ერთეული, წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველს.

ორი ნიშნობრივი სისტემის - ენა და კულტურის, კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელთა კულტურულ-ენობრივი კომპეტენციისა და მენტალიტეტის ანალიზი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტურ კვლევათა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ომი“ ლინგვოკოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური და ლინგვოფილოსოფიური პერსპექტივებიდან კვლევა კონცეპტის ენობრივი ობიექტივიზაციის თავისებურების გამოვლენის, ენაში საკვლევი კონცეპტის ენობრივ რეპრეზენტატთა იდენტიფიცირებისა და ორგანიზების გზით.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპის განხორციელება, როგორცაა:

1. თემისათვის რელევანტური სპეციალური ლიტერატურის მოძიება და სისტემატიზაცია;
2. კონცეპტის „ომი“ კომპლექსური კვლევისათვის რელევანტური მეთოდოლოგიის შერჩევა;
3. კვლევისათვის ვალიდური მეთოდების რეპერტუარის განსაზღვრა;

4. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ომი“ ენობრივ ობიექტივატორთა გამოვლენა და მათი კოგნიტური ინტერპრეტაცია;
5. კონცეპტის „ომი“ ძირითადი, აქტუალური ნიშნის ფენის განსაზღვრა;
6. იმ სივრცის მონიშვნა, რომელშიც ვლინდება ფენომენის ემოციურ-შეფასებითი და მოტივაციური ასპექტები;
7. კონცეპტის „ომი“ მეტაფორული გააზრების თავისებურებათა განსაზღვრა;
8. კონცეპტის „ომი“ დამატებითი ასოციაციური შინაარსის გამოვლენა;
9. გამოვლენილ კოგნიტურ ნიშანთა ორგანიზება ნომინაციური ველების სახით;
10. კონცეპტის „ომი“ ფრეიმული მოდელის კონსტრუირება, რაც გულისხმობს ფრეიმის კვანძების ობიექტივაციას ენობრივი საშუალებებით;
11. „ომის“ სემანტიკური ფრეიმის ელემენტთა შორის არსებული კოორდინაციისა და სუბორდინაციის მიმართებათა განსაზღვრა;
12. კონცეპტის სტრუქტურის, დინამიურობისა და ცნებობრივი სივრცის საზღვრების დადგენა;
13. მეცნიერული ცოდნის სტრუქტურირება, რაც უზრუნველყოფს სამყაროს მეცნიერული ხატის - ძირითადი მეცნიერული პრინციპების, ცნებებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების განზოგადებისა და სინთეზირების შედეგის გამოვლენას;
14. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ომი“ ლინგვოკოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური და ლინგვოფილოსოფიური პერსპექტივებიდან ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: ომის ფენომენის მარავალგანზომილებიანობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ საკვლევი კონცეპტის ენობრივ რეპრეზენტატთა გამაერთიანებელი კონსტრუქტის ადეკვატურობა მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქტი აიგება პარადიგმათა სინთეზირების გზით.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის ტიპური მეთოდოლოგიური მიდგომა - პლურალისტური მიდგომა, რომელიც უარს ამბობს ფენომენის მხოლოდ ერთი პერსპექტივიდან ხედვაზე და გულისხმობს მის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევას.

ნაშრომში პლურალისტური მიდგომა უზრუნველყოფილია ინტერდისციპლინარიზმით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს კვლევის განხორციელებას სხვადასხვა სააზროვნო სივრცის (ლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ფილოსოფიის) მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

მეთოდოლოგიურმა ფუნქციამ, რომელიც პასუხისმგებელია კვლევისათვის ვალიდური მეთოდებისა და პრინციპების შერჩევაზე განსაზღვრა პრინციპები.

კვლევისათვის ერთ-ერთ დომინანტურ პრინციპს წარმოადგენს ანთროპოცენტრიზმი, როგორც ენობრივი ფენომენის ანალიზი ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით. ნაშრომში ანთროპოლოგიური პრინციპი გააზრებულია როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელის მიხედვითაც ენა არის შემცენების სხვადასხვა სფეროთა კონგლომერატი ანალიზის საკუთარი ობიექტებით.

კვლევისათვის ასევე მნიშვნელოვანია მთლიანობის გემტალტურობის დეკლარაცია. იმის მტკიცება, რომ მთელი მის შემადგენელ ნაწილზე მეტია, არ არის საკმარისი. ელემენტარისტული ორიენტაციის ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია მთელის პირველადობის აღიარება, რაც შემდეგს გულისხმობს: მთლიანობა ერთი რიგითი ელემენტი კი არ არის, იგი მთავარი და „უკანასკნელი მოცემულობაა“. მთლიანობის შემადგენელი ნაწილი (ელემენტი) გამოიყოფა მხოლოდ მთლიანობიდან და მხოლოდ მასში იძენს თავის მნიშვნელობას.

ნაწილების გაერთიანებას მთელში განაპირობებს ელემენტთა სიახლოვე, მსგავსება, მიკუთვნებულობა, დახშულობა უწყვეტობა და განლაგება ერთმანეთის მიმართ. ელემენტთა შორის არსებული კავშირები ლოგიკურია. ეს კავშირები კი გემტალტ-კავშირებს წარმოადგენს.

გემტალტის იდეა სცილდება ერთი კონკრეტული მეცნიერების საზღვრებს - იგი იღებს ზოგადმეცნიერული პრინციპის სახეს. სწორედ აღნიშნული პრინციპის საფუძველზე ხდება სემანტიკური ფრეიმის კონსტიტუენტთა ურთიერთქმედებისა და ურთიერთგანსაზღვრულობის მთელი სისრულითა და ადეკვატურად გააზრება.

ნომინაციური ველი თავის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს გამოკვეთს. ველი მისწრაფვის მისთვის დამახასიათებელი ფორმის პრეგნანტული ანუ გამოკვეთილი, მკვეთრი, ზუსტი ჩამოყალიბებისკენ, სხვა სიტყვებით, ყოველი ველი მისწრაფვის სრულყოფილი გემტალტისკენ.

ნომინაციური ველი ჭეშმარიტად მთლიანი, გემტალტური ბუნებისაა. ენობრივი ველის მთელი სტრუქტურა, ბირთვიდან პერიფერიამდე, ერთ მთლიან გემტალტურ ველს წარმოადგენს.

ნომინაციური ველი წარმოადგენს მთლიანობას, გემტალტს და არა - „ელემენტთა კონას“. ველის თეორიაში პირველადი მოცემულობა აქვს მთელს და არა მის ნაწილს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრიორიტეტი ეკუთვნის მთელს და არა მის ნაწილს.

ნომინაციური ველის კანონები ნაწილის კანონები კი არ არის, ისინი მთელის კანონებია. ენობრივი ველის კანონები გემტალტკანონებია. ველის თეორიაში მთლიანი ერთ-ერთი ფენომენი კი არ არის, არმედ ის ფენომენია, რომლიდანაც უნდა იქნეს გამოყვანილი და გააზრებული ყველა სხვა ფენომენი.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ზოგადმეცნიერული ცნებობრივი მოდელირების მეთოდი, ინტერპრეტაციული და კონტექსტუალური ანალიზი, ენისადმი იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

1. კონცეპტის „ომი“ ფრეიმული მოდელის კონსტრუირება თანამედროვე ინგლისურ ენაში;
2. საკვლევ კონცეპტის ლინგვოკოგნიტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ და ლინგვოფილოსოფიურ თავისებურებათა დაზუსტება;

3. კონცეპტის „ომი“ ობიექტივაციის საშუალებათა იდენტიფიცირება თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ და პარემიოლოგიურ სისტემებში.

ნაშრომის თეორიული ღირებულების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება, ერთი მხრივ, ლინგვისტურად ცენტრირებულ ინტერდისციპლინარიზმს, მეორე მხრივ კი, პარადიგმული სინთეზის პრინციპს.

სხვადასხვა პერსპექტივათა კომბინაცია უზრუნველყოფს როგორც ნიშანთა ცალკეული სისტემების, ისე ცალკეული კულტურების სოციალური და ისტორიული მარკერების დისტინქციის შესაძლებლობას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის, ისე სტრუქტურული ლინგვისტიკის, ინგლისური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია „ომის“ აღმნიშვნელი ერთეულები თანამედროვე ინგლისურ ენაში. მასალა მოპოვებულია განმარტებით ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია

1.1. ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპების სინთეზი

კვლევა ეფუძნება ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპების სინთეზს. ანალიზის აღნიშნული ტიპები განსხვავდება ერთმანეთისგან მიზნებისა და ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო მასალის თავისებურებით (ბიერვიში/Bierwish, 1969, გვ. 153–184), (სიულო & უილიამსი/Sciullo & Williams, 1987), (ფოკონიერი/Fauconnier, 1985).

რას ვგულისხმობთ ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპების სინთეზში? პასუხი იკვეთება შემდეგ დებულებებში:

1. ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში, რომლის ათვისების მეშვეობით ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი ითვისებს უკვე მზა არბიტრალურ მნიშვნელობათა სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ენა ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე (ევანსი & გრინი/ Evans & Green, 2005); (ვერბიკაია/Wierzbicka, 1992), (ფოდორი/Fodor, 1963);
2. კონცეპტის არსის წვდომა შესაძლებელია ენაში მისი ენობრივი რეპრეზენტაციის საშუალებათა ანალიზის გზით. კონცეპტის ნომინაციური ველი წარმოადგენს იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ვერბალიზაცია, სხვა სიტყვებით, ენობრივი რეპრეზენტაცია (ვილენსკი/Wilensky, 1990), (რადენი/Radden, 1992);
3. კონცეპტუალური ანალიზის არსი მდგომარეობს კონცეპტის მოდელირებასა და მის სხვა კონცეპტებთან არსებული კავშირების იდენტიფიცირებაში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ და არა იმდენად ცალკეულ სიტყვათა არსის დესკრიფციას, არამედ მთელი კონცეპტუალური ველისა და მასში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის გამოვლენას (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1991);
4. ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტუალური სფეროს ის ტიპის ნაწილია, რომელიც გამოხატულია ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1990), (ბედელი/Bedell, 1974);

5. ენის სემანტიკურ სივრცეში შემავალ ელემენტთა შორის არსებული სხვადასხვა ტიპის კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა შორის არსებულ მიმართებებათა სრულ სპექტრს (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1983), (კოულსონი & ოკლი/Coulson, & Oakley, 2000).

სემანტიკური ანალიზის ფარგლებში ექსპლიცირდება სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, უფრო ზუსტად კი, სიტყვის დენოტაციური, სიგნიფიკაციური და კონოტაციური მნიშვნელობები (გერარცი/Geeraerts, 1988), (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1983). კონცეპტუალური ანალიზი კი ორიენტირებულია კოგნიტური წარმონაქმნის კონსტრუირებაზე და მისი ორიენტირი მიემართება სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის მარაგისაკენ (კუბრიაკოვა/Кубрякова, 1994), (ბელი/Bell, 1990), (ლანგაკერი, ფუხსი, ვიქტორი & ბენჯამინსი/Langacker, Fuchs, Victorri & Benjamins, 1994).

კონცეპტის ენობრივ რეპრეზენტატთა ორგანიზება ხორციელდება სიმრავლეთა ერთმანეთში ჩართულობის პრინციპის გამოყენების გზით (მერვისი & როში/Mervis & Rosch, 1981, გვ. 89–115), (როში/Rosch, 1977, გვ. 1-49).

სიმრავლეთა ერთმანეთში ჩართულობის პრინციპის არსი შემდეგში მდგომარეობს: უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტი ჩართულია უფრო ზოგადი ელემენტის მნიშვნელობაში. მთლიანობის ფარგლებში უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე ელემენტი იქვემდებარებს უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტს (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1983). (O' Grady /ოგრეიდი, 1987).

კონცეპტის სტრუქტურაცია განხორციელებულია შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

1. ის, რაც ვლინდება მთელის ცალკეულ ნაწილებში, განისაზღვრება ამ მთელის შინაგანი კავშირებით (რასტიდი/Rastide, 1962);
2. მთელი განსაზღვრავს ნაწილებს, ხოლო ყოველი ნაწილი ხასიათდება როგორც მთელის განმსაზღვრელი, განსაკუთრებული წევრი (შტეინტალი/Штейнталь, 1960);
3. ელემენტის მნიშვნელოვნება შეისწავლება დანაწევრებული მთლიანობიდან ამოსვლით (ვაისგერბერი/Weisgerber, 1959);

4. ადეკვატური ანალიზი ამოდის მთლიანიდან და მიემართება მთელის შემადგენელ ელემენტებამდე (სოსიური/Сосиур, 1933);
5. ელემენტები ინტეგრირდებიან მთლიანობაში მათ მნიშვნელობათა შორის სემანტიკური მსგავსების, ან სხვადასხვა სახის სემანტიკური კორელაციების არსებობის ხარჯზე (ჯექსონი/Jackson, 2000), (ჯონსონი/Johnson, 1992);
6. აღნიშნული პრინციპების გამოყენება უზრუნველყოფს კონსტრუქტის საზღვრების ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობას (ლანგაკერი/Langacker, 1998). აღნიშნული შესაძლებლობა კი გულისხმობს კონსტრუქტის საწყის და ტერმინალურ ელემენტთა განსაზღვრას. საწყისი და ტერმინალური ელემენტების სტრუქტურა არსებით გავლენას ახდენს კონსტრუქტის კონფიგურაციის თავისებურებაზე (ჯექსონი & ზე ამველა/Jackson & Zé Amvela, 2000).

ნაშრომში კონსტრუქტის ფორმირების პროცესში გათვალისწინებულია შემდეგი დებულებები:

1. კონსტრუქტი წარმოადგენს რეალური სამყაროს მოდელს, ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურასა და ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც ეფუძნება მონაცემთა ერთობლიობას (ტალმი/Talmy, 1977);
2. კონსტრუქტი წარმოადგენს დამოკიდებულებათა სასრულ ერთობლიობას (გივონი & ჰილსდეილი/Givón & Hillsdale, 1989);
2. კონსტრუქტი ყოველდღიური ურთიერთობების, საზრისისეული ინტერპრეტაციების და ხელახალი ინტერპრეტაციების, უწყვეტი (მუდმივი) ქმნადობის პროდუქტია (კატსი, ჰარპერი & რო/Katz, Harper & Row, 1972); (კატსი & ფოდორი/Katz & Fodor, 1963);
3. კონსტრუქტის არსებითი მახასიათებელი მისი დისკრეტულობაა; სწორედ ეს ფაქტი გვაიძულებს, მივმართოთ ენას, რომელიც ამ შემთხვევაში ასრულებს ცოდნის დანაწილების, ობიექტივიზაციისა და საბოლოოდ კი ინტერპრეტაციის ფუნქციებს; ეს ფუნქციები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან; თავიანთ თანაარსებობაში ისინი ქმნიან იმ ნიშნებს, რომლის მიხედვითაც დგინდება ენის მონაწილეობა სააზროვნო პროცესებში (მინსკი/Minsky, 1972), (მინსკი/Minsky, 1986), (ვუდსი/Woods, 1975), (გენტნერი & გოლდინ-მედოუ/Gentner & Goldin-Meadow, 2003);

1. კონსტრუქტი წარმოადგენს სტერეოტიპული სიტუაციის მოდელს, სტერეოტიპული აღქმის წარმოდგენისათვის საჭირო აბსტრაქტულ სახეს, რომელშიც ცნებათა შორის არსებული მიმართებები გარე სამყაროს პრაგმატიკთაა აღბეჭდილი (ბალეზა & ბაუერი/Bellezza & Bower, 1981), (ჰოუკინსი/Hawkins, 2005), (მინსკი & პაპერტი/Minsky & Papert, 1969), (სიმონსი/Simmons, 1973);
2. კონსტრუქტი შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან (ვუდსი/Woods, 1975), (სოვა/Sowa, 1984);
3. ყოველი კვანძი წარმოადგენს გარკვეულ ცნებას, რომელიც შეიძლება იყოს და არც იყოს წარმოდგენილი ნათლად (ბლეზერი/Blezer, 1997);
4. არამკაფიოდ წარმოდგენილი კვანძი კონკრეტდება მისი კონკრეტულ სიტუაციასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით (ჩარნიაკი/Charniak, 1975);
5. კვანძთა ერთობლიობა ქმნის კონსტრუქტით წარმოდგენილი სიტუაციის ადეკვატურად გაგების საფუძველს (ლაკოფი/Lakoff, 1972);
6. კონსტრუქტი შედგება არა ცალკეული ფრაგმენტებისაგან, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებული სტრუქტურებისაგან (კულინფორდი/Cullingford, 1978);
7. კონსტრუქტის ფრაგმენტები ასახავენ ქმედებას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და თვალსაზრისთა ცვლილებებს (პუტნამი/Putnam, 1975);
8. კონსტრუქტის ფრაგმენტებს შორის შეიძლება იყოს დროითი, სივრცითი, სიტუაციური, ასოციაციური, ფუნქციონალური ტიპის კავშირი (ფალმანი/Fahlman, 1979), (გრანტი & დაგენბახი/Grant & Dagenbach, 2000);
9. ფრაგმენტთა ვალიდურობის კრიტერიუმს წარმოადგენს მათი კოგნიტური ადეკვატურობა (ბელი/Bell, 1988);
10. ფრაგმენტთა კოგნიტური ადეკვატურობა დაკავშირებულია კონსტრუქტისათვის ლოგიკური სტატიკური და დინამიკური შეზღუდვების განსაზღვრის პრობლემასთან (ჰემპტონი/Hampton, 1997);
11. შეზღუდვები გამოხატავს მონაცემთა რელაციების ზოგად, აბსტრაქტულ თვისებებს, უფრო ზუსტად კი, მონაცემთა აუცილებელ და საკმარის - დასაშვებ სიმრავლეს (ლაკოფი, მორგან & კაუფმანი/Lakoff, Morgan & Kaufman, 1988), (ლაიმინგი, შადბოლტი &

- ქეროლი/Liming, Shadbolt & Carole, 2007), (ბენჯამინსი, შრაიბერი, აკერმანსი, ანჯევირდენ, ველდე & ვიელინგა/Schreiber, Akkermans, Anjewierden, Velde & Wielinga, 2000);
12. ექვემდებარება რა რელაციურ ცვალებადობას, კონსტრუქტი აღწერს მონაცემთა გარკვეულ ტრაექტორიას, მდგომარეობებს შორის არსებულ კავშირებს, რომლებიც განსაზღვრულია მთლიანობის დინამიკური შეზღუდვებით;
 13. კონსტრუქტი წარმოადგენს სტერეოტიპული აღქმის რეპრეზენტაციისათვის საჭირო ერთეულს, რომელიც იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მრავალფეროვანი ცოდნის გამოსახვის შესაძლებლობას (ლანგაკერი, ფუჩსი & ვიქტორი/Langacker, Fuchs & Victorri, 1994), (ბელი/Bell, 1990);
 14. კონსტრუქტი წარმოადგენს მთლიანობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სინამდვილის (საგნობრივი სფეროს) მოდელირება (ფანგი, ჩერტკოვი, მურტა, ვოტმოფი, ელოქვინი, ვაითჰედი & ტემპლმანი/Fung, Chertkow, Murtha, Whatmough, Eloquin, Whitehead & Templeman, 2001).

კვლევის ეტაპებს მიღმა გამოიკვეთა ისეთი საკითხები, როგორცაა:

1. მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული კავშირის სპეციფიკის ინტერპრეტაცია;
2. ელემენტთა ურთიერთგანპირობებულობისა და იერარქიულობის არსის განსაზღვრა;
3. ენობრივი ცოდნის სტრუქტურათა რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზი (ჩეიფი/Чейф, 1975), (ბარსელოუ/Barsalou, 1992), (კროფტი/Croft, 1990) (კოულსონი & ოკლი/Coulson, & Oakley, 2000) (კოულსონი/Coulson, 2001) (კროფტი & კრუზი/Croft & Cruse, 2004), (პატნემი & მაინდი/Putnam & Mind / 1975);
4. კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკურ სივრცეს შორის არსებულ მიმართებათა ტიპიზის იდენტიფიცირება (რადენი/Radden, 1992), (ჯეკენდოფი/Jackendoff, 1990);
5. სიტყვასა და კონცეპტს შორის არსებულ მიმართებათა ტიპიზის გამოვლენა (ბელკი, ბისბერტი, მაიერი & ჩისელინკი/Belke, Btysbaert, Meyer & Ghyselinck, 2005), (კარნეპი/Carnap, 1956);

6. კონცეპტის ენობრივი რეპრეზენტაციის თავისებურებათა კვლევა ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სტრუქტურაში (ჯეკენდოფი/Jackendoff, 2002), (ვეზბიცაია/Wierzbicka, 1992).

კონსტრუქტის აგების პროცესი წარმოადგენს კონცეპტუალური სივრცის ეტაპობრივ გაფართოებას (თალმი/Talmy, 1983, გვ. 225–282), (ვეზბიცაია/Wierzbicka, 1972/1980/1985). კონსტრუქტის აგების თითოეულ ეტაპზე იქმნება ფრაგმენტის კონკრეტული ვერსია.

კონსტრუქტის ფორმირების ეტაპებს მიღმა იკვეთება ისეთი საკითხები, როგორიცაა:

1. კონცეპტის სტაბილურობისა და მდგრადობისა განმსაზღვრელ ფაქტორთა ანალიზი;
2. კონცეპტთა ტიპოლოგიზაცია:

ა. სტანდარტიზირებულობის ნიშნით - იგულისხმება ინდივიდუალური, ჯგუფური და ზოგად ნაციონალური კონცეპტები;

ბ. ენობრივი გამოხატულების მიხედვით - იგულისხმება კონცეპტთა რეპრეზენტაციის შესაძლებლობა ლექსემებით, ფრაზეოლოგიზმებით, ტექსტებით.

კონსტრუქტის აგების პროცესი გულისხმობს, ერთი მხრივ, „შემთხვევების“ და „ინტერპრეტაციების“, მეორე მხრივ კი, კონსტრუქტში ობიექტურ-სუბიექტური ფაქტორების თანაფარდობის დეტალურ ანალიზს.

ჩვენი ცნობიერება ერთდროულად მთლიანობრივია და მრავაწახნაგოვანიც. სამყაროსთან ურთიერთქმედებაში სხვადასხვა ტიპის ცოდნას ვიღებთ (ლანგაკერი/Langacker, 1995, გვ. 89–112), (ლემანი/Lehmann, 1982).

ადამიანის ცნობიერების ყველა ასპექტის ინტეგრირება, ცოდნის სხვადასხვა სახეობათა ერთიანობა ჯამში ქმნის ერთეულს, რომელიც ერთდროულად პიროვნულ-ინდივიდუალურიცაა და ზეინდივიდუალურიც.

კონსტრუქტი წარმოადგენს კოლექტიური ცნობიერებისათვის რელევანტურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა კომპოზიციას, რომლის ვალიდურობაც ეფუძნება ინდივიდუალური ცნობიერებისათვის რელევანტურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა

ანალიზის შედეგად გამოვლენილ ზოგად კონოზომიერებებს. სწორედ კანონზომიერებები გვევლინება კონსტრუქტის ფრაგმენტთა ძირითად მარგანიზებულ ძალად.

მიმართებათა და მოვლენათა ზოგადი კანონზომიერების წვდომა შესაძლებელი გახდა ისეთ ინტელექტუალურ ოპერაციათა განხორციელების შედეგად, როგორცაა:

1. მთლიან ფენომენსა თუ მოვლენაში სხვადასხვა მხარეების გამოყოფა (ლანგაკერი/Langacker, 1991), (ლაკოფი/Lakoff, 1990, გვ. 39–74);
2. საგანთა ერთობლიობისათვის დამახასიათებელი საერთო, ზოგადი ნიშნის, თვისების გამოყოფა (ლანგაკერი/Langacker, 1993, გვ. 1–38), (ჯეკენდოფი/Jackendoff, 1992);
3. ცალკეული ელემენტების, საგანთა თვისებების ერთ მთლიანობრივ კონცეპტუალურ სივრცეში ინტეგრირება (ლანგაკერი/Langacker, 1988, გვ. 49–89), (ლაკოფი/Lakoff, 1987).

1.2. რთულ სისტემათა კონსტრუირების პრინციპები

სამყაროს მთლიანობა ვლინდება მეცნიერული ცოდნის ინტეგრაციაში, მის ინტერდისციპლინარულ კავშირებში. მეცნიერების გლობალიზაციამ გამოიწვია ახალი ინტეგრალური მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობა. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს სხვადასხვა სფეროსათვის რელევანტური ცოდნის მეცნიერულ პარადიგმათა სინთეზს.

ინტეგრალური მიდგომის მოდელი ეფუძნება ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროსათვის რელევანტურ იერარქიათა და სისტემათა ანალიტიკურ-სინთეზურ დამუშავებას. ინტეგრალური მიდგომის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს კი წარმოადგენს აბსტრაქციათა დონეები და ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა ტიპები (გერარცი/Geeraerts, 1988, გვ. 207–229).

თანამედროვე მეცნიერული აზროვნება ხასიათდება პოლიპარადიგმულობით – მეთოდოლოგიურ და კონცეპტუალურ მიმართულებათა უმრავლესობის ჩამოყალიბება განპირობებულია კვლევის ობიექტთა კომპლექსურობით (გერარცი/Geeraerts, 1986, გვ. 67–93).

ადამიანს ახასიათებს სწრაფვა, შეიქმნას საკუთარი თავისათვის სამყაროს მარტივი და ცხადი ხატი ადეკვატური მეთოდის გამოყენებით. ამ სწრაფვაში იგულისხმება ადამიანის მცდელობა, შექმნას „ხატი“ და სწორედ მასში ჰპოვოს მყუდროება და თავდაჯერებულობა.

სამყაროს რაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია მასში გააზრებული ქმედება. სამყაროს სტრუქტურირება ქმნის იმ პრიზმას, რომელშიც ადამიანი ხედავს სამყაროსა და საკუთარ თავს. რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახელდების, სამყაროში მათი ადგილის განსაზღვრის მეშვეობით, ადამიანი „ერგება“ რეალურ სამყაროს. ასე იქმნება სამყაროს ხატი - კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე (ფილმორი/Fillmore, 1968), (ფილმორი/Fillmore, 1983, გვ. 219–227).

სამყაროში ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის მიერ:

1. სამყაროს რაციონალიზაცია, რაშიც იგულისხმება ადამიანის მიერ სამყაროში არსებულ საფრთხეთა გააზრება;
2. სამყაროში არსებულ საფრთხეთა გამომწვევი მიზეზების გამოვლენა, საფრთხეთა დამლევის მექანიზმების ჩამოყალიბება;
3. ადამიანებთან ურთიერთობის პრინციპების შემუშავება.

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი კი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას, არამედ ითვისებს უკვე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას, რომელიც გულისხმობს მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუმს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.

ენის ფილოსოფიაში „სამყაროს ხატი“ მრავალსახეობრივი და პოლივარიანტულია. იგი ავლენს მრავალრიცხოვან კერძო თვისებებს თითოეული ავტორის კონცეფციის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ „სამყაროს ხატის“ ფენომენის ანალიზისას ავტორები არ ეყრდნობიან

საკოველთაოდ აღიარებულ განმარტებებს (კერნი/Kearney, 1975, გვ. 247-70),
(დიურანტი/Duranti, 2013, გვ. 17-25).

ტერმინოლოგიურ დიფუზურობას ემატება ის ფაქტიც, რომ სამყაროს ხატი ჯერ კიდევ არ
ქცეულა აქსიომატურ ფენომენად. ჩნდება გარკვეული კითხვები:

1. როგორ უნდა განხორციელდეს რთულ სისტემათა სეგმენტაცია იმისათვის, რომ მივიღოთ
ადეკვატურად მოდელირებული სამყაროს ხატი?
2. რა მარკერები უზრუნველყოფს რთულ სისტემათა კოჰერენტულობას?

სრულიად აშკარაა, რომ კვლევის მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს
ინტერპრადიგმულობის პრინციპს, რაც გულისხმობს რთულ სისტემათა სტრუქტურაციას
როგორც იმანენტურ, ისე არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების
სინთეზირებით.

იმანენტური მიდგომის ფარგლებში უნდა იქნეს გამოყენებული ელემენტთა სემანტიკური
სტრუქტურის დეკომპოზიციის მეთოდი, ხოლო არაიმანენტური მიდგომის ფარგლებში კი
უნდა განხორციელდეს ელემენტთა რანჟირებაზე დაფუძნებულ ანალიზი.

იკვეთება ერთი ცენტრალური პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ
ინტეგრალის სახით, რომელიც მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული
განსაზღვრულობის მქონე დიფერენციალებს. ასევე იკვეთება „აუცილებლობად“
დეკლარირებულის განხორციელებისათვის რელევანტური მეთოდოლოგიის არარსებობის
ფაქტი.

დიახ, დეკლარირებულია რამდენიმე „აუცილებლობა“, კერძოდ:

1. მენტალურ და ენის სტრუქტურათა შორის არსებული მიმართების გამოვლენის
აუცილებლობა;
2. ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურებისა და ენის სტრუქტურის “დამაკავშირებელი”
რგოლის გამოვლენის აუცილებლობა;
3. ინტერპრადიგმულობის პრინციპის გამოყენების აუცილებლობა.

ჩვენ ვაღიარებთ აღნიშნულ „აუცილებლობათა“ აუცილებლობას, რადგან მიგვაჩინა, რომ სწორედ მათი პრაქტიკული რეალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერული აზროვნების ინტერპარადიგმულობის უზრუნველყოფის გზას (პერსივალი/Percival, 1976, გვ. 285–294), (ლაკოფი/Lakoff, 1972, გვ. 545–665), (ლანგაკერი/Langacker, 1986).

ინტერპარადიგმულობის უზრუნველყოფაში კი ვგულისხმობთ:

1. რთულ სისტემათა სტრუქტურაციას როგორც იმანენტურ, ისე არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების კომბინირებით;
2. რთულ სისტემათა ინტერპრეტაციას როგორც სისტემურ-სტრუქტურული, ისე ლინგვოკოგნიტური პარადიგმების პერსპექტივებიდან.

აუცილებელია კონკრეტულისაგან დისტანცირება, რათა კვლევის შედეგები ჩამოყალიბდეს განზოგადებულისა და კანონზომიერის სახით. ლინგვოკოგნიტურ კვლევათა განხორციელებადობა, პრაქტიკული და თეორიული მიზანშეწონილობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაცნობიერებთ მსგავსთა სხვაობისა და განსხვავებულთა მსგავსების არსს. მსგავსთა სხვაობასა და განსხვავებულთა მსგავსებაში კი ვგულისხმობთ:

1. სისტემურ-სტრუქტურულ და კოგნიტურ პარადიგმათა ფარგლებში გენერირებულ სტრუქტურათა მსგავსება/განსახვავებულობის ფაქტს;
2. სემანტიკური და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდთა ფუნქციურ მსგავსება/განსახვავებულობის ფაქტს.

რთულ სისტემათა სხვადასხვა პარადიგმების პერსპექტივებიდან კვლევა უზრუნველყოფს მრავალგანზომილებიან ფენომენტთა ადეკვატურ ინტერპრეტაციას. იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში გენერირებულ მეთოდთა კომბინირება იძლევა რთულ სისტემათა იერარქიის სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას.

დეკომპოზიციის იდეაზე დაფუძნებული ანალიზის ფარგლებში სისტემის თითოეული მოდული წარმოადგენს საერთო კონსტრუქტის უმნიშვნელოვანეს ფრაგმენტს, ხოლო რანჟირებაზე დაფუძნებულ ანალიზი მიზნად ისახავს აბსტრაქციის მოწესრიგებულ, იერარქიულ სისტემებად ორგანიზებას.

1.3. სირცეთა ინტეგრალური და დიფერენციალური ნიშნები

გეშტალტფსიქოლოგის მსგავსად, ველის თეორიაც ძირფესვიანად ცვლის მიდგომას ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის კვლევის მეთოდოლოგიის მიმართ.

ველის თეორიის თეზისი შემდეგნაირად ჟღერს: შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე მთლიანობა წარმოადგენს არა ელემენტებისაგან შედგენილ ერთეულს, არამედ პირველად კონსტრუქტს, რომელიც თავად განსაზღვრავს მასში შემავალ ელემენტებს.

შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე მთლიანობის თვისებრივი მარკერები არ გამოიყვანება მისი შემადგენელი ელემენტების მექანიკური ჯამიდან. გეშტალტურობა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე მთლიანობის სტრუქტურის გამომხატველი რთული ელემენტია.

ველის თეორია არ წარმოადგენს ელემენტების თეორიას (კიტეი/Kittay, 1981, გვ. 31–63), (ლანგაკერი/Langacker, 1993, გვ. 323–355).

და მაინც, მთლიანობის გეშტალტურობის დეკლარაცია, იმის მტკიცება, რომ მთელი მის შემადგენელ ნაწილზე მეტია, არ არის საკმარისი. ელემენტარისტული ორიენტაციის ტრანსფორმაციისათვის აუცილებელი აღმოჩნდა მთელის პირველადობის აღიარება, რაც შემდეგს გულისხმობს: მთლიანობა ერთი რიგითი ელემენტი კი არა, მთავარი და „უკანასკნელი მოცემულობაა“, რომლიდანაც უნდა ამოვიდეს ანალიზი. მთლიანობის შემადგენელი ნაწილი (ელემენტი) გამოიყოფა მხოლოდ მთლიანობიდან და მხოლოდ მასში იძენს თავის მნიშვნელობას (ლანგაკერი/Langacker, 1984).

ველი უნდა გავიგოთ, როგორც მთლიანობა, გეშტალტი და არა როგორც „ელემენტთა კონა“. ველის თეორიაში პირველადი მოცემულობა აქვს მთელს და არა მის ნაწილს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრიორიტეტი ეკუთვნის მთელს და არა მის ნაწილს.

ენობრივი ველის კანონები ნაწილის კანონები კი არა, მთელის კანონებია. ენობრივი ველის კანონები გეშტალტკანონებია. ველის თეორიაში მთლიანი ერთ-ერთი ფენომენი კი არა, ის ფენომენია, რომლიდანაც უნდა იქნეს გამოყვანილი და გააზრებული ყველა სხვა ფენომენი (სვიტსერი/Sweetser, 1984).

გემტალტის იდეა სცილდება ერთი კონკრეტული მეცნიერების საზღვრებს - იგი იღებს ზოგადმეცნიერული პრინციპის სახეს. სწორედ აღნიშნული პრინციპის საფუძველზე ხდება ენობრივი ველის კონსტიტუენტთა ურთიერთქმედებისა და ურთიერთგანსაზღვრულობის გააზრება.

როგორია ენობრივ ველში მიმდინარე პროცესები? - თვით ელემენტარული პროცესიც კი მთლიანია - ერთ ადგილას (ბირთვში, გარდამავალ სფეროსა თუ პერიფერიაში) მომხდარი ცვლილება პრაქტიკულად მთელი სისტემის (ველის) რეაქციას და ცვლილებას იწვევს. ენობრივ ველს თავისი სტრუქტურა გააჩნია. ველის სრუქტურული მომენტები (სეგმენტები) ერთმანეთისმიერნი არიან: მომენტი (სეგმენტი) მთლიანისმიერია, მთელი კი - მომენტისმიერი.

ახლა უკვე შესაძლებელი ხდება ენობრივი ველის ჭეშმარიტად მთლიან, გემტალტურ ბუნებაზე ლაპარაკი. ენობრივი ველის მთელი სტრუქტურა, ბირთვიდან პერიფერიაში, ერთ მთლიან გემტალტურ ველს წარმოადგენს.

ენობრივ ველს ახასიათებს სისრულე (ლანგაკერი/Langacker, 1995, გვ. 13–39). გარკვეულ ფარგლებში მას ვერ არღვევს ხარვეზები. ხარვეზი აღქმაში ივსება, უფრო ზუსტად კი, ხარვეზი სწორდება ენობრივი ალღოს მეშვეობით. კონკრეტული შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ველის დაუმთავრებლობის განცდის გამოვლინებას წარმოადგენს ამპლიფიკაცია. დაუმთავრებლობის განცდა თავს იჩენს მაშინ, როდესაც ჩვენ ვამჩნევთ ხარვეზს და განცდაში მისი შევსების, დასრულების ტენდენცია ჩნდება. ეს დამაბულობის მსგავსი, დასრულებულობისადმი სწრაფვის ტენდენციის შემცველი განცდაა.

ყოველი ველი თავის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს გამოკვეთს. ველი მისწრაფვის მისთვის დამახასიათებელი ფორმის პრეგნანტული ანუ გამოკვეთილი, მკვეთრი, ზუსტი ჩამოყალიბებისკენ, სხვა სიტყვებით, ყოველი ველი მისწრაფვის სრულყოფილი გემტალტისკენ.

რა განაპირობებს გემტალტიზაციის პროცესს? - ნაწილების გაერთიანებას მთელში განაპირობებს ელემენტთა სიახლოვე, მსგავსება, მიკუთვნებულობა, დახშულობა, უწყვეტობა,

მდებარეობა ან განლაგება ერთმანეთის მიმართ. ელემენტთა შორის არსებული კავშირები ლოგიკურია. ეს კავშირები გეშტალტ-კავშირებია.

ენობრივი ველი წარმოადგენს დინამიკურ წარმონაქმნს, რომლის ყველა სეგმენტი (ბირთვი, გარდამავალი სფერო, პერიფერია) ერთმანეთთან ურთიერთობს. სხვადასხვა სეგმენტში სხვადასხვა ინტენსივობის მქონე ძალები მოქმედებს. ძალის ცნების გარეშე საერთოდ შეუძლებელია დინამიკის ცნების გაგება.

სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირების პროცესი კი გულისხმობს იზოლირებული ელემენტების ორგანიზებას. ეს კი შესაძლებელია მაკავშირებელი ელემენტების იდენტიფიცირებით.

სემანტიკური ფრეიმისათვის რელევანტური მონაცემები გადასამუშავებელ ნედლეულს წარმოადგენს. სწორედ მათი არაკოჰერენტულობა უბიძგებს კონსტრუქტორს აზროვნებისაკენ, კერძოდ კი, იმ სივრცის შემოსაზღვრისაკენ, რომელშიც თითოეული ფრაგმენტული და, ერთი შეხედვით, შეუთავსებადი ელემენტი სათანადო ადგილს დაისაკუთრებს.

ასე ყალიბდება სემანტიკური ფრეიმი განუყოფელ მთელად, სადაც კონცეპტი-იდენტიფიკატორი იქცევა ხედვის იმ წერტილად, საიდანაც შესაძლებელია ელემენტთა არსის განსაზღვრა.

ამრიგად, სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირების პროცესი გულისხმობს მოძრაობას ნაწილობრივიდან ყოვლისმომცველისაკენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადანაცვლებას ასპექტური ხედვიდან ჰოლისტურ ხედვაზე და პირიქით, მოძრაობას ყოვლისმომცველიდან ნაწილობრივისაკენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადანაცვლებას ჰოლისტური ხედვიდან ასპექტურ ხედვაზე.

სწორედ ამ მოძრაობაში იძენს მკაფიო კონტურებს სემანტიკური ფრეიმი. როდესაც მოძრაობის თითოეული ასპექტი მაქსიმალურად ადეკვატურია, მოძრაობა სემანტიკური ფრეიმის აგების მიზნით გვევლინება ინდუქციისა და დედუქციის ერთობლივ პროდუქტად.

ინდუქცია ფრაგმენტული დეტალებიდან ფენომენის ერთიანი ხედვისაკენ (უნივერსალურისაკენ) მოძრაობას ასახავს, დედუქცია პირიქით - ამ უკანასკნელიდან კერძო შემთხვევებს უბრუნდება და მათ ურთიერთდაკავშირებას ემსახურება.

ინდუქციური მოძრაობა შემაკავშირებელი პრინციპის იდენტიფიცირებისაკენ სწრაფვას, დედუქციური კი - ამ პრინციპის შემოწმებას, მისი ჭეშმარიტობის დამტკიცებას, უარყოფას ან მოდიფიცირებას ვარაუდობს, მისივე იზოლირებული დეტალების ერთიან კონტექსტში გაერთიანების შესაძლებლობა-შეუძლებლობის გათვალისწინებით.

კოგნიტური ლინგვისტიკის სფეროში განხორციელებული კვლევა საჭიროებს კარგად დამუშავებულ ინსტრუმენტებს. მხოლოდ ამ ტიპის ინსტრუმენტების გამოყენება უზრუნველყოფს კონცეპტუალურ სივრცეთა სიღრმისეულ და ადეკვატურ კვლევას. სწორედ ამ ტიპის ინსტრუმენტების გამოყენება იძლევა სხვადასხვა ტიპის პრობლემათა ერთმანეთისაგან გამიჯვნის, მასალის სეგრეგაციის, კლასიფიცირების, ცოდნისა და გამოცდილების ადეკვატურად დახარისხების შესაძლებლობას.

სამეცნიერო ინდუქცია გულისხმობს ყველა იმ პროცესს, რომლითაც ხდება მონაცემთა დაგროვების რეგულირება ამხსნელი კონცეფციებისა და თეორიების ჩამოყალიბების მიზნით. ყველა ეს ხერხი ემსახურება იმ ვალიდური მონაცემების შეგროვებას, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრება თვალსაზრისთა ჩამოყალიბებაში.

მონაცემთა სელექციის პროცესი, რომელიც ემსახურება კონცეპტუალური სივრცის განვითარებისა და დამუშავების მიზანს, გულისხმობს:

1. ელემენტთა დეფინირებასა და კლასიფიცირებას (დეფინირება და კლასიფიცირება ის ხერხებია, რომელთა მეშვეობითაც ხდება კონცეპტუალური სივრცის კონფიგურაციის განსაზღვრა და მასში კონკრეტული განზომილებების (განშტოებების) იდენტიფიცირება);
2. ანალიზის შედეგად არარელევანტურ მონაცემთა გამორიცხვას (არ არსებობს მონაცემთა სწრაფად შერჩევისა და უკუგდების ოპერაციის მკაცრი წესები. წარმატებას განსაზღვრავს მკვლევარის კარგი ალღო, რაშიც იგულისხმება რელატიური, ინდიკაციური და ნიშანდობლივი ფასეულობების ამოცნობის უნარის ფლობა; ცოდნა იმისა, თუ რას

- მიაქციოს ყურადღება და რას - არა; რა უკუაგდოს, როგორც არარელევანტური; რისი აკუმულირება მოახდინოს საბოლოო მიზნის მისაღწევად და რა გამოკვეთოს);
3. მნიშვნელოვანი მონაცემების გამოყოფას სხვადასხვა მონაცემთა კონტრასტირება-ანალოგიზაციის პროცესში (შედარება, კონტრასტის გარეშე, ლოგიკურ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს);
 4. მსგავსი და არამსგავსი ელემენტების იდენტიფიცირებას (არამსგავსი ელემენტები იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც - მსგავსი. მხოლოდ იდენტურ მონაცემთა ანალიზი, პრაქტიკულად, ზუსტად იგივე შედეგს იძლევა, რასაც მხოლოდ ერთადერთი შემთხვევის ანალიზი);
 5. მონაცემთა მთლიანობად გარდაქმნას.

კონცეპტუალურ სივრცეთა კვლევის ტექნიკა მდგომარეობს იმ მრავალფეროვან პროცესებში, რომლებიც იძლევიან მონაცემთა ობიექტური და მიუკერძოებელი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, უზრუნველყოს კოგნიტური სემანტიკის თითოეული ტიპური სფერო ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებისა და პრინციპების ისეთი სისტემით, რომელშიც თითოეული მათგანი გარკვეულ კონტექსტში იგულისხმებს რომელიმე მეორეს, ხოლო ეს მეორე სხვა კონტექსტში ივარაუდებს რომელიმე მესამეს და ა.შ. ამ მეთოდით ეკვივალენტთა ნებისმიერი ჩანაცვლება შეიძლება გახორციელდეს და დასკვნამდეც ისე მივიდეთ, რომ არც კი დაგვჭირდეს პრინციპების შემოწმების მეტად ხანგრძლივი პროცედურა.

სპეციალურ ლიტერატურაში სემანტიკური ველისა და ფრეიმის კონსტრუირების მეთოდები შინაარსის სემენტაციის რადიკალურად განსხვავებულ პრინციპებად აღიქმება. ველი მიემართება ენიდან ადამიანისაკენ, ფრეიმი კი - ადამიანიდან ენისაკენ. სემანტიკური ველის ფარგლებში რეალიზდება ენის თვითღირებულება, ფრეიმის საზღვრებში კი - ენის როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტის ფუნქცია.

ჩნდება რამდენიმე კითხვა:

1. არსებობს თუ არა იმ ტიპის მარკერები, რომელთაც შეიძლება სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის ინტეგრალური ნიშნები ვუწოდოთ?
2. არსებობს თუ არა იმ ტიპის თემატური სივრცე, სადაც შესაძლებელია ველისა და სემანტიკური ფრეიმის თანაარსებობა?
3. რა ტიპის თემატური სივრცის აღწერა მოითხოვს ორი თვალსაზრისის - ინტენსიურობისა და თემატური დეტალიზაციის შეთანხმებულ მოქმედებას?

ბუნებრივია, ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ სემანტიკური ველი და სემანტიკური ფრეიმი ენობრივ შინაარსთა სფეროს კვლევის რადიკალურად განსხვავებული პერსპექტივებია, თუმცა მივიჩნევთ, რომ სემანტიკურ ველსა და სემანტიკური ფრეიმს შორის მაინც არსებობს იმ ტიპის მიმართება, რომელსაც პირობითად შეიძლება “ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობა” ვუწოდოთ.

ენა ღირებულებათა სისტემაა, რომლის ყოველი ელემენტი, როგორც ღირებულებათა სისტემის წევრი, განისაზღვრება სხვა ელემენტებით. ეს ნიშნავს, რომ სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და არა პირიქით.

ენობრივ შინაარსთა სფეროს - ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტთა სისტემის კვლევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს სემანტიკური ველის კონსტრუირება.

ველის თეორია ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ენობრივ შინაარსთა სფერო შინაგანად ორგანიზებული, სისტემური ბუნების მქონეა. რეალობის ენისმიერი სეგმენტაცია ხდება მრავალ განზომილებაში, რომელთაგან თითოეული ცალკეულ სტრუქტურას - ველს - ქმნის.

ველის მოძღვრების თეორიული საფუძველი ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომ ენის ლექსიკა წარმოადგენს სიტყვათა ურთიერთმართობების ბადეს. „ველის“ გამოყოფა თემატურად განსაზღვრულ ერთეულად დაკავშირებულია ენობრივი სეგმენტაციის პრინციპთან.

ველის თეორიაში სიტყვა განიხილება, როგორც გარკვეული მიკროსისტემის ნაწილი, მისი მნიშვნელოვნება შეისწავლება დანაწევრებული მთლიანობიდან ამოსვლით, ველის სხვა წევრებთან ურთიერთობის გათვალისწინებით.

ენობრივი ველისათვის საგულისხმოა ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობრივი პრინციპი და მისგან გამომდინარე შინაარსობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის თვალსაზრისი. ეს პრინციპები იძლევა ენობრივ მნიშვნელობათა შინაარსეულად კვლევის საშუალებას, მითუმეტეს, რომ ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს თავად ენიდან, რომლის შინაარსეული სფეროც „ველის კანონით“ მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული. ამით ისიც არის ნათქვამი, რომ ეს სფერო შედგება არა იზოლირებულ სიტყვათა უბრალო ჯამისაგან, არამედ დანაწევრებული ურთიერთდამოკიდებულებებისაგან. ამაზევე მიუთითებს ადამიანის ენობრივი ალღო, რომელიც ახდენს ენობრივ ფორმათა სწორ არჩევანს მიზეზის გაუცნობიერებლად. ენობრივი ალღოს მეშვეობით სიტყვათა სწორი შერჩევა, შეფარდება გულისხმობს მათ შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებსა თუ სიახლოვეს. ის, რაც გაუცნობიერებლად ვლინდება ენობრივ ალღოში, ახსნას პოულობს ველის ცნებაში.

ენობრივ ველებს არსებობის საკუთარი კანონი აქვთ - მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით ველში. ვაისგერბერისათვის ენობრივი ველის სტუქტურაზე მსჯელობისას სწორედ ორგანული გამოყოფადობის ცნებაა ფუძემდებლური.

სემანტიკურ ველში სიტყვები ჰიპონიმის პრინციპის მიხედვით ერთვებიან, რაც გულისხმობს ერთი სიმრავლის ჩართვას მეორე სიმრავლეში. უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვა ყოველთვის ჩართულია უფრო ზოგადი სიტყვის მნიშვნელობაში – ესა თუ ის წევრი გაერთიანებულია რაღაც კლასში. რაც უფრო ნაკლებია სიტყვის ექსტენსიონალი, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ასეთი სიტყვა ყოველთვის ჩართული აღმოჩნდება გარკვეულ ზოგად კლასებში. ამიტომ სიტყვის ჰიპონიმია სრულადაა დამოკიდებული სიტყვის ექსტენსიონალზე. ეს კი ნიშნავს, რომ უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ყოველთვის იქვემდებარებს უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვას.

ლექსიკურ-სემანტიკურ ველში კოდირებულია შინაარსი, რომლის დეკოდირება ხდება ველის სეგმენტაციის მეშვეობით. შინაარსის ველის საზღვრებში კვლევა გულისხმობს ველში ერთმანეთის მიმართ დომინანტური სეგმენტების გამოყოფას. შინაარსის “ფრეიმული

დეკოდირებისათვის” კი არარელევანტურია ფრეიმში ინტენსიურობის, სიმძლავრის მიხედვით განსხვავებულ ძალთა (ბირთვის, გარდამავალი სფეროსა და პერიფერიის) ურთიერთქმედება.

მიუხედავად აღნიშნული სხვაობისა, ველს და სემანტიკურ ფრეიმს აერთიანებს საერთო მიზანი – საკვლევი შინაარსის მაქსიმალურად ეფექტური დეკოდირება. ენობრივი ველის მსგავსად, სემანტიკური ფრეიმიც შინაარსის ნიუანსების იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად, თუმცა სწორედ “ნიუანსების რეპერტუარით” განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ველი და სემანტიკური ფრეიმი.

სემანტიკური ველის ფარგლებში ელემენტის შინაარსის ნიუანსების კვლევა გულისხმობს სემანტიკური ველის ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტურ ანალიზს, რომელიც ორიენტირებულია სემანტიკური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სემანტიკურ ველში შემავალ ელემენტებს შორის არსებული სხვადასხვა ტიპის სემანტიკურ მიმართებათა იდენტიფიცირებაზე. სემანტიკური ველისათვის რელევანტურ სემანტიკურ მიმართებათა ტიპები სემანტიკური ველის ელემენტთა შორის არსებული სხვადასხვა სიმძლავრის კავშირის ფორმებია. სემანტიკური ველის სხვადასხვა ელემენტებს შორის სხვადასხვა სიმძლავრის კავშირის ფორმათა არსებობა გულისხმობს სემანტიკური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სემანტიკური ველის სხვადასხვა ელემენტებს შორის სხვადასხვა სემანტიკური „მანძილის“ არსებობას, რაც სემანტიკური ველის აგებულების გრადუალობაში - ჯგუფში ერთმანეთის მიმართ დომინანტურ სემენტთა, კერძოდ, ცენტრის, გარდამავალი სფეროსა და პერიფერიის არსებობის ფაქტში ვლინდება.

სემანტიკური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სემანტიკური ველის ელემენტს შორის არსებული სემანტიკური „მანძილის“ განსაზღვრა გულისხმობს მათ შორის არსებული სემანტიკური მიმართების ტიპის დადგენას. რაც უფრო ძლიერია კავშირი სემანტიკური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სემანტიკური ველის ელემენტს შორის, მით უფრო მცირეა მათ შორის არსებული სემანტიკური „მანძილი“ და პირიქით, რაც უფრო სუსტია კავშირი სემანტიკური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და სემანტიკური ველის ელემენტს შორის, მით უფრო დიდია მათ შორის არსებული სემანტიკური „მანძილი“.

სემანტიკური ფრეიმის ფარგლებში ელემენტის შინაარსის ნიუანსების კვლევა კი გულისხმობს შინაარსში ისეთი ფაქტორების კვლევას, როგორცაა:

1. ადამიანის მოთხოვნილებები, მოტივები, მიზნები, ზრახვები;
2. ცოდნა სამყაროს შესახებ, თვალსაზრისი, განწყობა;
3. ადამიანის ცნობიერებაში, მისეულ სამყაროს ხატში არსებული “აკუმულირებული შინაარსები”, “მენტალური მოდელები”, “სცენარები”.

სემანტიკური ველის აგების მეთოდისაგან განსხვავებით, სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირების მეთოდი უზრუნველყოფს:

1. ენასა და გამოცდილებას შორის არსებული კავშირის რეპრეზენტაციას;
2. ტიპური სიტუაციების ადეკვატურ კოგნიტიურ გადამუშავებას;
3. სემანტიკური ფრეიმის “რეპერტუარის” პროგნოზირებადობას.

სწორედ აღნიშნული სხვაობების გამო, აღიქმება სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირების მეთოდები შინაარსის სემანტიკის რადიკალურად განსხვავებულ პრინციპებად.

შესაძლებელია თუ არა სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის თანაარსებობა? – დიახ. სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის თანაარსებობის შესაძლებლობის იდეა ეფუძნება შემდეგ ფაქტს: ორივე, სემანტიკური ველიც და სემანტიკური ფრეიმიც იმ ტიპის თემატური განსაზღვრულობის მქონე სივრცეებია, რომელთა ნებისმიერი ელემენტის გასაგებად საჭიროა მთელი სისტემის გაგება.

ჩვენი აზრით, სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის იგივეობის საფუძველს წარმოადგენს ამ ორი ერთეულის ინტეგრალური ნიშნები. სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის ინტეგრალურ ნიშნებად მიგვაჩნია:

1. ჯგუფში შემავალი ელემენტთა შორის კავშირის არსებობა;
2. ჯგუფის მთლიანობა და გამოყოფადობა.

სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის ჩამოთვლილი ინტეგრალური ნიშნების არსებობა წარმოადგენს ამ ჯგუფების დომინანტაში (შინაარსეული განსაზღვრულობის მქონე

ერთეულში) გაერთიანების აუცილებელ და საკმარის პირობას. ინტეგრალური ნიშნები, ამავე დროს, შინაარსეული განსაზღვრულობის მქონე ერთეულის აღნიშნულ სახეობათა არსებითი, მაგრამ არადიფერენციალური ნიშნებია, ვინაიდან ისინი ახასიათებს არა ერთ-ერთ მათგანს, არამედ - ორივეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებობს სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის იდენტიფიკაციის ობიექტური საფუძველი. მაგრამ მიგვაჩნია, რომ მათმა იდენტურობამ ობიექტურად არსებული ფაქტის სტატუსი იდენტურობის ინტერპრეტაციის მხოლოდ შემდეგი ვარიანტის საფუძველზე შეიძლება შეიძინოს: სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის იდენტურობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მათგანი შინაარსეული განსაზღვრულობის მქონე მთლიანობრივ ერთეულს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ „ზოგადი“ ის კატეგორიაა, რომლის წარმოდგენა შეუძლებელია „ერთეულისა და განსაკუთრებულის“ არსებობის გარეშე. ამ უკანასკნელთა გააზრებაც არ ხერხდება „ზოგადის“ არსებობის ფაქტის გაუთვალისწინებლად.

სწორედ ამ კატეგორიებისათვის დამახასიათებელ მიმართებაში იმყოფება ერთმანეთთან თემატური განსაზღვრულობის მქონე მთლიანობრივი ერთეული (ზოგადი) და მისი კონკრეტული სახეობები - სემანტიკური ველი და სემანტიკური ფრეიმი (ერთეული და განსაკუთრებული). თემატური განსაზღვრულობის მქონე ერთეული წარმოადგენს ორი განსხვავებული ერთეულის - სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის - ანუ, დაპირისპირებულთა ერთიანობას. ეს ერთეულები ერთმანეთს უარყოფს და ამავე დროს, ერთმანეთთან კავშირშია.

მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს არა ორი სრულიად განსხვავებული ენობრივი მოვლენის დაპირისპირებასთან, არამედ ერთიანის - თემატური განსაზღვრულობის მქონე ერთეულის კონკრეტულ სახეობებთან, ანუ წინააღმდეგობასთან ერთის შიგნით. ერთიანის შიგნით დაპირისპირებული ერთეულის სახეობა მეორესათვის არის „სხვა“, მაგრამ არა საერთოდ „სხვა“, არამედ, როგორც ჰეგელი იტყოდა, „თავისი სხვა“. ამ გამონათქვამში სრულადაა გაცხადებული ურთიერთდაპირისპირებულთა შორის იგივეობა-განსხვავებულობის არსებობის ფაქტი. თემატურად განსაზღვრული ერთეულის ორი განსხვავებული

„ომის“ კონცეპტი თანამედროვე ინგლისურ ენაში

სახეობისათვის ერთმანეთი იმდენადაა „თავისი“, რამდენადაც ორივე იგივეობრივია და იმდენადაა „სხვა“, რამდენადაც ორივე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასე რომ, თემატურად განსაზღვრული ერთეულის ორი სახეობის - სემანტიკური ველისა და სემანტიკური ფრეიმის - დიფერენციაცია გარკვეულწილად იგივეობრივთა განსხვავებას გულისხმობს.

თავი II. ფრეიმები და სემანტიკა

2.1. ძირითადი ცნებები

კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში გაანალიზდა თეორიული კონსტრუქტების თავისებურებები.

თვალსაზრისთა მრავალფეროვნებაში ცხადად იკვეთება ის რაციონალური მარცვალი, რომელსაც აღიარებს ყველა მეცნიერი:

1. „კონცეპტი“, „დომენი“, „ინტერპრეტაცია“ და „კატეგორიის სტრუქტურა“ წარმოადგენს ყველა კოგნიტური ლინგვისტური თეორიის ბაზისურ ცნებებს;
2. კოგნიტური სემანტიკის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ კონცეპტი არ გვევლინება ერთმანეთისაგან იზოლირებულ ერთეულებად;
3. კონცეპტის აღქმა შესაძლებელია მხოლოდ დასაშვები, საბაზისო ცოდნის სტრუქტურების ფარგლებში;
4. საბაზისო ცოდნასთან მიმართებაში ყველაზე ზოგადი ტერმინი გახლავთ დომენი;
5. დომენებს გააჩნია სტრუქტურა, რომელიც გაცილებით უფრო მეტია ემპირიულად მსგავსი/დაკავშირებული კონცეპტების ჩამონათვალზე;
6. კონცეპტისა და დომენის სემანტიკური კავშირი წარმოადგენს ნაწილისა და მთლიანის კავშირს;
7. კონცეპტსა და დომენს შორის ურთიერთკავშირი განსხვავდება დაქვემდებარებულსა და მთავარს შორის არსებული სემანტიკური კავშირისგან;
8. კოგნიტური სემანტიკის საფუძველს წარმოადგენს თეორიული პრინციპი, რომელიც უკავშირდება ადამიანის გონებაში სემანტიკურ რეპრეზენტაციებსა და იმ სამყაროს შორის არსებულ ურთიერთკავშირს;
9. გონება აქტიურად მონაწილეობს სემანტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და გარკვეულწილად აღიქვამს ან ხსნის მოსაუბრის მიერ სამყაროს შესახებ მიღებულ გამოცდილებას;

10. კატეგორიები მიიჩნევა შიდა სტრუქტურის მქონე ჯგუფად, რომელსაც, როგორც წესი, პროტოტიპის სტრუქტურას უწოდებენ და რომელიც ასევე ცნობილია რადიალური კატეგორიის სტრუქტურის სახელით;
11. ცალკეული კატეგორიის სემანტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი გულისხმობს მის წევრებს შორის არსებულ კავშირს;
12. კონცეპტი მენტალური ერთეულია, დომენი – კონცეპტების წარმოდგენისთვის საჭირო საბაზისო ცოდნა, ინტერპრეტაცია – პროცესი, რომლითაც ხდება სამყაროში პიროვნების გამოცდილების მრავალმხრივად აღქმა, ხოლო კატეგორიას შიდა დონეზე ქმნის მის წევრებს შორის არსებული პროტოტიპის გავრცელების კავშირები, ხოლო გარეშე დონეზე (სულ მცირე) კატეგორიებს შორის არსებული ტაქსონომიური კავშირები;
13. აღნიშნული კონსტრუქტები ემსახურება სემანტიკასთან კოგნიტური ლინგვისტური მიდგომების დაკავშირებას და თითქმის ყველასხვა სემანტიკური მიდგომისგან მათ გამოიჯვანას;
14. პროფილი წარმოადგენს კონცეპტუალური ცოდნის გარკვეულ ნაწილს, რომელიც გვხვდება სავარაუდო ცოდნის ბაზასთან მიმართებაში;
15. პროფილი გულისხმობს დომენის (ბაზის) აუცილებელ არსებობას, რომელთან მიმართებაშიც ხდება კონცეპტის „დახასიათება“;
16. ბაზა გვიჩვენებს მეთოდს, რომელშიც საბაზისო ცოდნა „მხარს უჭერს“ კონცეპტს ისე, რომ კონცეპტის გაგება შეუძლებელია ამ სავარაუდო ცოდნის გარეშე;
17. კატეგორიებს შორის არსებული კავშირები ზოგადობის დონეებით ხასიათდება;
18. კონცეპტისა და დომენის კავშირი არ არსებობს კატეგორიალური ზოგადობის დონეებს შორის. იგი შეიძლება ცოდნის ბაზასა და კატეგორიის წევრებს შორის;
19. სქემასა და მის (დაქვემდებარებულ) კონკრეტიზაციას შორის არსებული კავშირი არ არის კონცეპტსა და დომენს შორის არსებული კავშირის იდენტური;
20. კონცეპტსა და დომენს შორის არსებული კავშირის თავისებურება ისაა, რომ ნებისმიერმა კონცეპტმა შესაძლებელია სხვა კონცეპტების მიმართ დომენის ფუნქცია შეასრულოს;
21. დომენის სქემატურობა იმ ფაქტიდან მომდინარეობს, რომ ის გახლავთ გამოცდილების მრავალი დომენისგან შემდგარი დომენის მატრიცის ნაწილი;

22. დომენები და დომენის მატრიცები საჭიროა სიტყვების, ანუ კონცეპტების, მნიშვნელობის წარმოსაჩენად. კონცეპტების კლასი, რომელიც ადამიანთა მეტყველებაში სიტყვებით არის კოდირებული, არ არის კონცეპტების შემთხვევითი ერთობლიობა - ნაცვლად ამისა, ის წარმოადგენს კოგნიტურად მნიშვნელოვან სიმრავლეს, რომლის სტრუქტურა ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია;

ამ მოსაზრების თანახმად, ჩვენ შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ადამიანის მეტყველებაში კოდირებული კონცეპტების დომენების მატრიცების დიდ უმრავლესობაში არსებული ხატის სქემატური დომენი წარმოადგენს კოგნიციის მნიშვნელოვან, ფართოდ გავრცელებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას.

მეცნიერთა მიერ გაზიარებულ თვლსაზრისთა ანალიზის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნის ფორმულირება:

დომენებს შორის შესაძლებელია ნაწილობრივისა და მთლიანის ურთიერთკავშირის არსებობა. თვითონ დომენი შესაძლოა დომენების ჯგუფი იყოს. ცოდნა არის მრავალმხრივი და ის სისტემატიზებულია კონცეპტუალურ დომენებში, რომლებიც აღბეჭდილია გამოცდილებაში. ცალკეული დომენის განზომილებებსა და მატრიცაში გაერთიანებულ მრავალ დომენს შორის არსებობს უწყვეტი სივრცე. განზომილებებში ან დომენის მატრიცებში არსებული დომენების ანალიზს არსებითი მნიშვნელობა აქვს დომენების კატეგორიების დახასიათებისათვის.

დომენები წარმოადგენს უაღრესად ორგანიზებულ საბაზისო ცოდნას, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელია კონცეპტების დახასიათება.

კატეგორიებში თავმოყრილია დიდი რაოდენობით სიტყვები, რომლებიც კონცეპტებს გამოხატავს. ამ კონცეპტების დახასიათება/აღწერა უნდა მოხდეს ცალკეულ სემანტიკურ დომენში.

დომენებისა და დომენებში აღწერილი კონცეპტების სტრუქტურა გვაძლევს ხატებით აზროვნების მოდელების ტრანსფორმაციების ხელახალი ინტერპრეტაციის საშუალებას ხატის სქემატური დომენების კონტექსტში.

ორგანიზაციის სტრუქტურა გემტალტებს ჩვენს გამოცდილებასა და აღქმაში მნიშვნელობის მქონე ძირითად მოდელებად აქცევს. გემტალტების სქემას გააჩნია ნაწილები და განზომილებები, რომლებიც ვლინდება სხვადასხვა კავშირებში, რაც გვაძლევს ჩვენი გამოცდილების გააზრების საშუალებას.

2.2. კოგნიტური სტრუქტურების თავისებურებები

არსებობს ფრეიმის ზოგადი კონცეპტი ისეთ მონათესავე კონცეპტებთან ერთად, როგორიც გახლავთ *სქემატური მოდელი*, *გაიდებალიზებული კოგნიტური მოდელი* და *სკრიპტი*. ისინი უმთავრესად განვითარდა კოგნიტურ მეცნიერებაში 1970-იანი წლების შემდეგ და შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკული მოდელების ორგანიზებული კომპლექსი, რომლებიც აყალიბებენ ჩვენს გამოცდილებას და ადამიანებს აძლევენ მათი აღქმის საშუალებას. ამ გაგებით, ფრეიმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმაში, თუ როგორ აღიქვამენ, იმახსოვრებენ და მსჯელობენ ადამიანები საკუთარ გამოცდილებებზე, როგორ აყალიბებენ მოსაზრებებს გარემოსთან და ამ გამოცდილებების შესაძლო თანმხლებ გარემოებებთან დაკავშირებით და ასევე, თუ როგორ შეიძლება ან როგორ უნდა მოხდეს ცალკეული პირის ცხოვრებისეული გამოცდილების ფრეიმების ჩამოყალიბება.

კოგნიტური ფრეიმები, როგორც წესი, გამოიხატება სლოტებისა და ფილერების რეპრეზენტაციებით – ანუ ურთიერთდაკავშირებული როლების სტრუქტურებით იმ შეზღუდვებთან ერთად, რომელიც არსებობს ამ როლების შესაძლო ან მოსალოდნელ ფილერებზე. ასეთი ფრეიმების მაგალითებია:

1. მოვლენების ნაწილობრივ თანმიმდევრული კომპლექსი და ასევე, ასეთ მოვლენებში ჩართული მონაწილები, რომლებსაც შეიძლება შევხვდეთ რესტორანში, სადალაქოში ან საავადმყოფოში ჩვეულებრივი ვიზიტისას;
2. ადამიანის ცხოვრებისეულ ციკლში მიმდინარე ეტაპები და პროცესები;
3. ტრადიციული შეხედულებისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანის ვიზუალური და ფიზიკური მახასიათებლები;
4. ადამიანის სახის სტრუქტურა და სხვა უამრავი ელემენტი.

ჩვენ, როგორც ადამიანებს, ამ ფრეიმებიდან ზოგიერთზე წვდომა გვაქვს დედამიწაზე ცხოვრების საშუალებით მის ყოველდღიურ და ყოველწლიურ ციკლებსა და იმ ობიექტურ რეალობებზე დაყრდნობით, რომელთაც აღვიქვამთ. სხვა ფრეიმები კი არის ჩვენი, როგორც ადამიანებად ყოფნის, დამსახურება - ჩვენი სხეულები რეაგირებს მიზიდულობასა და ჩვენს ბიოლოგიურ და ემოციურ საჭიროებებზე, ხოლო მათ (ჩვენს სხეულებს) პერცეფციული უნარები გააჩნიათ. სხვა ფრეიმები გაგვაჩნია იმიტომ, რომ ცალკეული კულტურის შემადგენელი წევრები ვართ, სადაც ჩვენ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ვრეაგირებთ მის ინსტიტუციებზე, სიმბოლოებზე, არტეფაქტებსა თუ ღირებულებებზე; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვა ფრეიმები გვაქვს იმიტომ, რომ იმ კონკრეტული ენობრივი საზოგადოების ნაწილი ვართ, რომელიც მხარს უჭერს კულტურას და რომელსაც ეს კულტურა უჭერს მხარს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფლობთ სქემატურ ცოდნას მიზიდულობაზე, სიცხესა და სიბნელეზე, ცოცხალ და არაცოცხალ საგნებს შორის არსებულ განსხვავებებზე, ფერებზე, ტკივილზე, სიხარულსა და ეჭვიანობაზე, ქორწინებაზე, მმართველობასა და რელიგიაზე, და ასევე, შაბათ-კვირაზე, გულმმარვაზე, სამხედრო ტიტულებზე და ა.შ.

სიტყვაში „სემანტიკა“ ჩვენ ვგულისხმობთ ლინგვისტურ ფორმებსა და მათ მნიშვნელობებს შორის არსებულ კავშირს. აქედან გამომდინარე, სემანტიკური ანალიზი არის იმის ჩვენების პროცესი ან მოქმედება, თუ როგორ არის დაკავშირებული მნიშვნელობის მახასიათებლები ლინგვისტური ფორმის მახასიათებლებთან. ენის სპეციალისტს ამ ურთიერთკავშირის დანახვა ორი მხრიდან შეუძლია. ამ კავშირს გააჩნია *დეკოდირების* ანუ *სემასიოლოგიური* ასპექტი, რომლითაც აიხსნება ლინგვისტური სტრუქტურების სემანტიკური შემოტანა, და ასევე, გააჩნია *კოდირების* ანუ *ონომასიოლოგიური* ასპექტი, რომლის საშუალებითაც კონცეპტების შესწავლა ხდება იმ მეთოდებთან მიმართებაში, რომლითაც შესაძლებელია მათი ლინგვისტურად გამოხატვა. განსაკუთრებით ფრეიმულ სემანტიკაში, მნიშვნელობის განზომილება გამოიხატება კოგნიტური სტრუქტურების (ფრეიმების) თვალსაზრისით, რომელიც განსაზღვრავს მოსაუბრეების აღქმას ენობრივი გამონათქვამების მიმართ.

ენის შესწავლის ერთი ნაწილი მოიცავს უკვე არაერთგზის მიღებული გამოცდილებების ლინგვისტურ კოდირებას. მისი მეორე ნაწილი მოიცავს ახალი კონცეპტების, ახალი

ფრეიმების მიღებას მათი კოდირების ლინგვისტურ საშუალებებთან ერთად. ბევრ შემთხვევაში, სწავლებამდელი პერიოდის გრძელი ჯაჭვი არის ახალი კონცეპტების მიღების აუცილებელი წინაპირობა, ისევე როგორც მათემატიკური კონცეპტის „მანტიის“ შემთხვევაში, რომელიც მოითხოვს უფრო ადრეულ კავშირს ისეთ კონცეპტებთან, როგორიცაა ფუმე, ლოგარითმი, ხარისხი, ათწილადის წერტილი, და რაღა თქმა უნდა, მოითხოვს თითოეული მათგანის კონცეპტულურ წინაპირობებთან კავშირს.

აქედან გამომდინარე, ფრეიმული სემანტიკა შეისწავლის, თუ როგორ ხდება ლინგვისტური ფორმების წარმოქმნა ან ფრეიმული ცოდნის აქტივაცია და როგორ არის შესაძლებელი ასე აქტივირებული ფრეიმების ინტეგრაცია იმ ფრაგმენტების გაცნობიერებაში, რომლებიც ამ ფრეიმებს შეიცავს. გაცნობიერების პროცესის სრული შესწავლა, მინსკის მიხედვით, ასევე მოითხოვს იმ საშუალებების მხედველობაში მიღებას, რომლითაც ხდება არალინგვისტური ინფორმაციის ინტეგრაცია.

ლექსიკურ ფონდთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითოეული ლექსიკური ერთეული, სიტყვის კავშირი მის ერთ-ერთ მნიშვნელობასთან წარმოქმნის ფრეიმს და აღწერს ამ ფრეიმის ცალკეულ ასპექტს ან კომპონენტს. სიტყვის კავშირი მის საბაზისო ფრეიმთან იმას გულისხმობს, რომ როდესაც ჩვენ გვემის სიტყვის მნიშვნელობა, მაშინვე უნდა განვსაზღვროთ საბაზისო ცოდნის შესაბამისობა, რომელშიც ეს სიტყვა ინტერპრეტაციულ როლს ასრულებს (ფილმორი 2003). ენის სპეციალისტის შემთხვევაში, ლექსიკური ცოდნის ეს ორმხრივი თვისება ზოგადი ლექსიკოგრაფიული პრაქტიკიდან გამომდინარეობს.

მაგალითად, ლექსიკონის სტატია სიტყვებისთვის – *ego, superego, transference* (ეგო, სუპერეგო, გადაცემა) და ა.შ. – ფსიქოანალიტიკური გაგებით, უნდა მიუთითებდეს ფროიდისა და მისი მიმდევრების თეორიებს შორის არსებულ კავშირზე: ეს სიტყვები მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ საბაზისო თეორიის ძირითადი საფუძვლების ცოდნის მეშვეობით. მსგავსად ამისა, გეოლოგიაში „ფილების ტექტონიკის შესახებ თეორიის“ ძირეული ცოდნა აუცილებელია ისეთი ტერმინების მნიშვნელობის გასაგებად, როგორებიცაა *სუბდუქციური ზონა, ტრანსფორმული რღვევები ან კონტინენტური ფილა*. უმეტეს შემთხვევაში, კონკრეტული სფეროს ამკარა მიზეზებიდან გამომდინარე, თანამედროვე

ლექსიკონები უნდა შეიცავდეს მინიმუმებს მხოლოდ აუცილებელი სფეროს მიმართ და მხოლოდ მომხმარებელზეა დამოკიდებული საჭირო ინფორმაციის მოძიება.

სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ფრეიმული სემანტიკის ძირითადი მოსაზრება ის გახლავთ, რომ საბაზისო ფრეიმების ცოდნას მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ სფეროებთან დაკავშირებული სიტყვები, არამედ არსებითად ყველა მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელშიც ხდება მათ მიერ გადმოცემული მნიშვნელობის განსაზღვრა და ინტერპრეტაცია.

სემანტიკურ ფრეიმებთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნა ხშირად იმდენად „გადაღწილია“, რომ ზოგჯერ ცნობიერებაში მის შემოსატანად კოგნიტური ძალისხმევის საჭიროება დგება.

ფრეიმულ სემანტიკაზე დაწერილი ადრეული ნაშრომების უმრავლესობა გვთავაზობდა ცალკეული სიტყვების ან მარტივი შედარებებით დაკავშირებული მცირე ლექსიკური სისტემების აღწერას, რომელიც მოითხოვდა საბაზისო განმსაზღვრელი კონტექსტების ცოდნას. ზოგი ასეთი საბაზისო კონტექსტი შესაძლოა ძალზე რთულიც იყოს.

ისეთი არსებითი სახელების შემთხვევაში, რომელიც აღნიშნავს ფუნქციის მქონე საგანს, ლინგვისტური კონტექსტი შეიძლება ზოგჯერ განასხვავებდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ის უბრალოდ ეხება ფიზიკურ ობიექტებს, და ისეთ შემთხვევებს, როდესაც ეს კონტექსტი ამ ობიექტს წარმოადგენს მისი ფუნქციის შემსრულებლად: ამ ორს ერთმანეთისგან განასხვავებს, როგორც არსებითი სახელის *ფორმალურ* და *ტერმინაციულ* თვისებებს.

იმის გამო, რომ ფრეიმულ სემანტიკაზე ჩატარებული კვლევები უნდა იყოს ის საშუალება, რომლითაც ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრეები ხვდებიან, თუ რას გადმოსცემს მათი ენა, ფრეიმული სემანტიკური კვლევა, თავისი არსით, უდაოდ არის *ემპირიული*, *კოგნიტური* და *ეთნოგრაფიული*. მკვლევრებმა უნდა გაარკვიონ, თუ რომელი ფრეიმები იძლევა ინფორმაციას საკვლევ ენასთან დაკავშირებით; ეს მოიცავს ენის ცოდნის უმნიშვნელო საკითხებს და არა სიმბოლურ გამოთვლებსა და სიმართლის მარტივ შეფასებებს; და კიდევ, ის მოითხოვს გამოცდილებებისა და ღირებულებების შესწავლას არსებულ კულტურაში.

ჯერჯერობით, აქ მოყვანილი მაგალითები წარმოადგენს ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების ან კიდევ ურთიერთგანსაზღვრებადი სიტყვების მცირე ჩამონათვალის აღწერას, რომელიც უკავშირდება მნიშვნელოვან, მაგრამ მცირემასშტაბიან ფრეიმებს. ბერკლის ფრეიმული ქსელის პროექტი სცილდება ასეთ უსისტემო დაკვირვებებს და ქმნის ფრეიმებზე დაფუძნებულ მონაცემთა ბაზას, რომელიც ასობით ფრეიმს შეიცავს და რომელთაგანაც ბევრი მხარს უჭერს სიტყვების საკმაოდ დიდ ერთობლიობას ინგლისური ენის ზოგადი ლექსიკონიდან, თანდართულ წინადადების ანოტაციებთან ერთად, რომლებიც გამოდგება როგორც კვლევების მტკიცებულებად, ისე მაგალითების ნაკრებად, რომელიც შესაძლოა დამატებითი კვლევისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

კვლევის მეთოდმა უნდა აღმოაჩინოს სიტყვების ისეთი ჯგუფები, რომელთა ფრეიმების სტრუქტურების აღწერა ერთად შეიძლება მათი საერთო სექმატური მონაცემებისა და გამონათქვამების მოდელების დაყოფის საშუალებით, რომლებიც შეიძლება მათთან დავაჯგუფოთ, რათა უფრო დიდი ფრაზები თუ წინადადებები მივიღოთ. ჩვეულებრივ შემთხვევაში, სიტყვები, რომელთაც საერთო ფრეიმი აქვთ, შეიძლება გამოვიყენოთ ერთმანეთის პერიფრაზებში. პროექტის ზოგადი მიზნებია ლექსიკონში არსებული თითოეული სიტყვის როგორც სინტაქსური, ისე სემანტიკური კომბინატორული მახასიათებლების საიმედო აღწერილობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის შეგროვება ერთსა და იმავე კონცეპტუალურ დომენში კონცეპტების გამოხატვის ალტერნატიული გზების შესახებ.

ფრეიმული ქსელის ლექსიკური ანალიზის პროცესის ეტაპები მოიცავს შემდეგ ეტაპებს, როგორცაა:

1. სემანტიკური ფრეიმების ანუ სიტუაციის ტიპების დახასიათება, რომლისთვისაც ენამ კონკრეტული ექსპრესიული საშუალებები უზრუნველყო;
2. სემანტიკური ფრეიმის ელემენტების ანუ ცალკეული სემანტიკური ფრეიმების ასპექტებისა და კომპონენტების აღწერა და დასახელება, რომელთაც ვიყენებთ ფრაზებსა და წინადადებებში, სემანტიკური ფრეიმების მაგალითების სახით;

3. იმ ლექსიკური ერთეულების შერჩევა, რომლებიც სემანტიკურ ფრეიმებს ეკუთვის, ანუ სიტყვები მეტყველების ყველა ნაწილიდან, რომლებიც წარმოქმნის და დამოკიდებულია ცალკეულ სემანტიკურ ფრეიმებთან ასოცირებულ კონცეპტუალურ მონაცემებზე;

4. წინადადებების ანოტაციების შექმნა, რომლებიც შერჩეულია ძალიან დიდი კორპუსიდან და გვიჩვენებს იმ საშუალებებს, რომლითაც სემანტიკურ ფრეიმებში არსებული ცალკეული ლექსიკური ერთეულები იძლევა სემანტიკური ფრეიმისთვის შესაბამისი ინფორმაციის ლინგვისტურად წარმოდგენის საშუალებას;

5. ლექსიკური სიტყვა-სტატიების ავტომატურად შექმნა და მათში შესული კონტექსტუალური მნიშვნელობების აღწერა, რომელიც ასახავს დაკვირვების მონაცემებს.

სემანტიკური ფრეიმის სიტყვიერი განსაზღვრება ფორმულირდება ფრეიმის ელემენტების დეფინიციებში და ასახავს მათ ფუნქციებს აღწერილ ვითარებებში. ეს დეფინიციები იმისთვის არსებობს, რომ ანოტატორებმა და მომხმარებლებმა ისინი დაიმახსოვრონ. ფრეიმული ქსელის პროექტი ამჟამად არ უზრუნველყოფს დეფინიციებს, სიმულაციებსა და პერიფრაზებს სემანტიკური პრიმიტივების, არსებულ ონტოლოგიებთან დაჯგუფების ან პირველი რიგის თეორიისა თუ სხვა ფორმალური რეპრეზენტაციების შემცირების თვალსაზრისით.

სემანტიკური ფრეიმის ელემენტები აღნიშნავენ იმ ერთეულებს ან მახასიათებლებს, რომელიც შეიძლება ან უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემული სემანტიკური ფრეიმის შემთხვევაში: ამ მხრივ, ისინი აღნიშნავენ ასპექტებს, რომელზე საუბარაც მნიშვნელოვანია ვერბალიზების შემდეგ. მათი რაოდენობა და ან რაობა არ არის სრულად გარკვეული.

ფრეიმული ქსელის კლასიფიკაციაში არსებობს განსხვავება ფრეიმის „ცენტრალურ“ და „პერიფერიულ“ ელემენტებს შორის. ამ განსხვავების პოვნის მცდელობის დროს არსებობს გარკვეული და გაურკვეველი შემთხვევები. უდაოა, რომ ფრეიმის ელემენტები, რომლებიც ნათლად არის გამოხატული, ეკუთვის ცენტრს - მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ფრეიმის ცენტრალური კონცეპტები გამოხატავს არ საჭიროებენ. ზმნების შემთხვევაში, ფრეიმის ელემენტები, რომლებიც რეალიზდება ბირთვულ სინტაქსურ კავშირებად, როგორცაა მაგალითად, სუბიექტი და პირდაპირი დამატება, ასევე უნდა იყოს ცენტრის ნაწილი - თუმცა,

არსებობს გრამატიკული კონსტრუქციები, რომლებიც მას ზოგჯერ გაურკვეველს ხდის. ასევე ცენტრს ეკუთვნის ფრეიმის ელემენტები, რომლებიც გამოიხატება ლექსიკურად კონკრეტული მორფოლოგიური მარკირების მქონე ფრაზებით.

თუ ზმნური ლექსიკური ერთეული ქმნის მოვლენის ფრეიმს, მაშინ მოვლენისთვის ყოველთვის არსებული სემანტიკური ფუნქციები პერიფერიული უნდა იყოს: მაგალითად, ადგილისა და დროის მახასიათებლები და კიდევ ბევრი სხვა შემთხვევითი ცნებები. თუ ლექსიკური ერთეული წარმოქმნის ფრეიმს, რომელიც ერთგვარი მიზანმიმართული ქმედებაა, მაშინ ისეთი ფრაზები, რომლებიც მიუთითებს განზრახვებზე, მიზანზე, მოქმედი სუბიექტის დამოკიდებულებასა და მსგავს ასპექტებზე, შეიძლება პერიფერიულ ელემენტებად მივიჩნიოთ.

„დროის, ადგილისა და ვითარების“ ჯგუფი, გრამატიკოსების განმარტებით, როგორც წესი, პერიფერიულ გარემოებებში შედის და არა ცენტრში, თუმცა თითოეულ ამ სემანტიკურ ტიპს ზოგიერთ ლექსიკურ კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს ცენტრის სტატუსი.

ისეთ ვითარებებში, რომელიც მოიცავს ვიზუალურ და სმენით აღქმას, შესაძლოა აუცილებელი იყოს განსხვავების დადგენა ლოკაციურ გამოხატულებას - რომელიც მიუთითებს მთლიანი მოვლენის ლოკაციაზე - და იმ გამოხატულებას შორის, რომელიც მიუთითებს მხოლოდ აღქმული ობიექტური რეალობის ლოკაციაზე. გამოხატულებები, რომელშიც ლოკაციური გამოხატულება გვამღევეს პერცეფციის ობიექტის ლოკაციას, შეიძლება ერთობლივად შეგვხვდეს იმ გამოხატულებებთან, რომლებიც კონკრეტულად განსაზღვრავენ პერციპიენტის ლოკაციას. ასეთი განსხვავებები არ განისაზღვრება ჩვეულებრივი გარდამავალი ზმნების შემთხვევაში, *როგორცაა ჭამა, მკლავების შემოჭდობა, ხელის მოჭერა* და ა.შ.

სემანტიკური ფრეიმის ელემენტების სახელები განისაზღვრება ინდივიდუალურ ფრეიმებთან მიმართებაში. გარკვეულწილად ეს იმას ნიშნავს, რომ სახელები უნდა შეირჩეს ისე, რომ მან, ვინც სემანტიკურ ფრეიმს აცნობიერებს, შეძლოს იმის გარკვევა, სემანტიკური ფრეიმის რომელ ელემენტებს ეხება ეს სახელები და რომ ანოტატორებსაც გაუადვილდეთ იმის დამახსოვრება, რასაც ეძებენ.

ეს პრაქტიკა ფრეიმული ქსელის პროცედურას ორი უკიდურესობისგან განასხვავებს: ერთი ის უკიდურესობაა, რომელიც სემანტიკური ფუნქციის დასახელებას ზღუდავს მცირე ფიქსირებულ ჯგუფამდე, რომელიც ყველა შემთხვევის მომცველობას ისახავს მიზნად და მოითხოვს, რომ ერთი და იმავე სახელებს ჰქონდეთ ერთი და იგივე ინტერპრეტაციები იმის მიუხედავად, თუ სად უნდა გამოიყენებოდეს ისინი. მეორე უკიდურესობა კი იმ სახელებს არჩევს, რომელიც კონკრეტულია ცალკეული ლექსიკური ერთეულებისთვის. ფრეიმის ელემენტის დასახელებების თეორიული მნიშვნელობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ ცალკეული ფრეიმის აღწერის დროს.

სემანტიკური ფრეიმის კონკრეტული დასახელებების პრაქტიკული მნიშვნელობა სემანტიკური ფუნქციის განზოგადებულ სახელებთან შედარებით ის გახლავთ, რომ ანოტატორები შეიძლება შემთხვევის კონკრეტულ სახელებზე ფიქრობდნენ მაშინ, როდესაც ისინი აღნიშნავენ ფრაზებს, რომლებიც ფრეიმის ცალკეულ ელემენტებს წარმოგვიდგენენ - ნაცვლად იმისა, რომ სცადონ ლოკალური შემთხვევებისთვის ძალზე აბსტრაქტული კონცეპტების მორგება. ფრეიმის კონკრეტული სახელების გამოყენების უპირატესობა ლექსიკური ერთეულების კონკრეტულ დასახელებებთან შედარებით ის არის, რომ შედარებადი სახელების ხელახლა გამოყენება შესაძლებელია იმავე ფრეიმიდან წინადადების აღწერის დროს, ხოლო შესაძლო პერიფრაზირების გამოთვლის მექანიზმი შეიძლება განისაზღვროს ფრეიმის ელემენტების დასახელებების იმ წინადადებებში, რომელთაც საერთო ფრეიმი აქვთ.

რადგანაც ფრეიმული ქსელის ანოტაცია მიზნად ისახავს ყველა ელემენტის ახსნას, რომელიც გვხვდება ფრეიმის წარმომქმნელი სამიზნის ირგვლივ შექმნილ ფრაზებში, არსებობს სემანტიკური ელემენტის კიდევ ერთი ტიპი, რომელიც ასეთ წინადადებებში ვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ წინადადების ზოგიერთი გარემოება *ექსტრათემატურია* იმ გაგებით, რომ ისინი გვაწვდიან ინფორმაციას, რომელიც არ არის ცენტრალური ფრეიმის აღწერილობის აუცილებელი ნაწილი. ბევრ შემთხვევაში, ასეთი ფრაზები ქმნის ახალ ფრეიმს და გარკვეულწილად ამ ფრეიმს აკავშირებს წინადადების დანარჩენ ნაწილთან.

უნდა მოხდეს ტექსტში ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა მეთოდისგან იმ ლექსიკოგრაფიული პროცედურის გამიჯვნა, რომელიც ემსახურება ფრეიმის ელემენტების

განთავსებას, რომლებიც ლექსიკურ ერთეულთან დაკავშირებულ ფრეიმს ავსებენ. ტექსტის გაანალიზების ერთ-ერთი პარადიგმა არის ინფორმაციის მოპოვება, რომლის დახმარებითაც ტექსტში არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია შეიძლება ამოვიღოთ წინასწარ არსებული შაბლონების/ნიმუშების შესავსებად. ასეთი პროცესი ინფორმაციას ავსებს წინადადებებში და მოითხოვს ანაფორის და მოვლენათა თანმიმდევრობის ანალიზს.

ფრეიმული სემანტიკური მიდგომა ინფორმაციის მიღებისგან იმით განსხვავდება, რომ ფრეიმის შემთხვევაში ლექსიკური ერთეულების აღწერილობა შემუშავდება მათ კომბინატორულ თვისებებზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, წინადადებებში ფრეიმის ელემენტების განსაზღვრისას აუცილებელია

1. კონკრეტული ლექსიკური ერთეულის აღნიშვნა, რომელიც ფრეიმს წარმოქმნის და
2. წინადადებებში „გრამატიკულ კონსტრუქციებში“ პოზიციების აღნიშვნა, რომლებიც ლექსიკურ ერთეულთან ერთად არსებობს და ინფორმაციულია ფრეიმის შექმნის თვალსაზრისით.

ინტერესს იწვევს ენაში ცალკეული ლექსიკური ერთეულების კომბინატორული შესაძლებლობები, ანუ ის, თუ რომელ გრამატიკულ პოზიციებს გვაძლევენ ისინი, რისი გამოხატვა უნდა მოხდეს, რისი არა და ა.შ.

ეს საკითხი შესწავლად ღირს, რადგან გრამატიკულად შესაბამის პოზიციებში ფრეიმის შესაბამისი ინფორმაციის მოძიების მცდელობა გასცდა ჩვეულებრივი ლექსიკური კომპლემენტაციის საზღვრებს. სუბკატეგორიზაციის ფრეიმის კარგად ნაცნობი ცნება აშკარად მიუთითებს, რომ ლექსიკური ერთეული აკმაყოფილებს ფრეიმის ელემენტების მოთხოვნებს, კონკრეტულად კი მას შემდეგ, რაც ლექსიკური ერთეული მოექცა ამ ლექსიკური ერთეულის ფრაზულ პროექციაში, ანუ ზმნის შემთხვევაში ზმნის ჯგუფში, არსებითი სახელის შემთხვევაში - არსებითი სახელის ჯგუფში, ზედსართავი სახელის შემთხვევაში - ზედსართავი სახელის ჯგუფში და ა.შ. წინადადებებში ქვემდებარეები ასევე არის პრედიკატის ფრეიმის ელემენტები, რომლებიც წინადადების თავშია, ისევე როგორც ფრჩხილებში ჩასმული ელემენტები ამ წინადადებებში. ფრეიმული ქსელის მიზნებიდან

გამომდინარე, აუცილებელია, რომ მოძიებული ფრეიმის ელემენტები გასცდეს ამ შემთხვევების ფარგლებს.

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხასიათდება, როგორც ფრეიმულ ქსელში ქვეფრეიმების წარმომქმნელი, მაგრამ დანარჩენებს კი ძირითადად მიიჩნევენ იმ არსებითი სახელების მიერ წარმოქმნილი ფრეიმების ელემენტებად, რომლებსაც ისინი განსაზღვრავენ. განსაზღვრებითი ფუნქციით გამოყენებისას ხარისხობრივი ზედსართავი სახელები ფრეიმის ერთ-ერთ ელემენტს წარმოქმნიან იმ არსებით სახელში, რომელსაც ისინი განსაზღვრავენ: სიტყვებში *suspicious [behavior]* (საეჭვო ქცევა) და *[something] suspicious* (რადაც საეჭვო) საეჭვობა მიეწერება განსაზღვრულ ელემენტს. ნომინალების ხარისხობრივი განმსაზღვრელები ფრეიმის ელემენტის სტატუსს უკავშირებს მათ წამყვან სიტყვებს, სადაც წამყვანი სიტყვა არ აღიქმება თვითონ ფრეიმის მატარებელ ელემენტად.

ისეთ რთულ კომბინაციაში, როგორცაა არსებითი სახელი + არსებითი სახელი, სადაც მეორე არსებითი სახელი გახლავთ ფრეიმის წარმომქმნელი ლექსიკური ერთეული, პირველი არსებითი სახელი ხშირად გამოხატავს ამ არსებითი სახელის ფრეიმის ერთ-ერთ ელემენტს. შესაძლოა, ნაკლებად ნაცნობია *დამხმარე კონსტრუქციები*, რომლებიც იძლევა ფრეიმული ელემენტის ინფორმაციას ფრეიმის მატარებელი მოვლენის აღმნიშვნელი არსებითი სახელის ან რელაციური არსებითი სახელის შესახებ წამყვანი ზმნის სინტაქსურ სტრუქტურებში. ეს დამხმარე სტრუქტურები, რომლებიც ძირითადად იმისთვის არის, რომ არსებითი სახელის მნიშვნელობას ვერბალური გამოხატულება მისცეს ისე, რომ თავის მხრივ, არ დაამატოს უფრო მეტი სემანტიკური ინფორმაცია, წარმოადგენს ე.წ. *მარტივ ზმნებს*. სხვა შემთხვევებში, მეორეხარისხოვანი წევრის შესახებ ინფორმაციას დამხმარე ზმნის ქვემდებარე იძლევა. მარტივ ზმნებს თუ გავცდებით, არსებობს არგუმენტის გადმომცემი სხვა სტრუქტურები, რომლებიც რეგისტრალურ ინფორმაციას ავსებს.

სტრუქტურული პოზიციების დიდი რაოდენობის მიუხედავად, რომელშიც შეიძლება ფრეიმის ელემენტები შეგვხვდეს, ზოგჯერ ლექსიკური ერთეულის ძირითადი ფრეიმის ელემენტები არ გვხვდება ლექსიკური ერთეულის ირგვლივ წარმოქმნილ წინადადებაში. ჩანს, რომ არარეალიზებული ფრეიმის ელემენტების ასახსნელად სამი გზა გვაქვს - ერთი გრამატიკული და ორიც ლექსიკური. გრამატიკული განმარტებები ეხება ისეთ

სტრუქტურებს, რომლებიც საჭიროებს ან იძლევა ცალკეული არგუმენტის პოზიციის გამოტოვების საშუალებას. მათ მოიხსენიებენ, როგორც *კონსტრუქციულ ნულოვან კონკრეტიზაციას*.

ამრიგად, სემანტიკური ფრეიმი არის სტერეოტიპული სიტუაციის წარმოდგენა მონაცემთა სტრუქტურის მეშვეობით. თითოეულ ფრეიმზე მიმაგრებულია რამდენიმე ტიპის ინფორმაცია, რომელთაგან ერთი ტიპი გვაწვდის ინფორმაციას ფრეიმის გამოყენების შესახებ, მეორე ტიპი გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს, ხოლო მესამე ტიპი კი გვთავაზობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, თუ ეს მოლოდინები არ გამართლდება.

სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს კვანძებისა და მიმართებების ქსელს. ფრეიმის ზედა დონეები უცვლელია და ყოველთვის ჭეშმარიტია სავარაუდო სიტუაციასთან მიმართებაში. ქვედა დონეებს გააჩნია მრავალი ტერმინალი, რომლებიც უნდა შეივსოს სპეციფიკური მონაცემებით. თითოეულ ტერმინალს შეუძლია იმ პირობების მითითება, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს. მარტივი პირობები მითითებულია მარკერების საშუალებით.

თეორიათა უმრავლესობა ფოკუსირებულია სემანტიკურ ფრეიმში მოლოდინებისა და სხვა ტიპის ვარაუდების ჩართულობაზე. ფრეიმის ტერმინალები, ჩვეულებისამებრ, შევსებულია „ნაგულისხმევი“ დეტალებით, ამიტომ სემანტიკური ფრეიმი შეიძლება შეიცავდეს ბევრ დეტალს, რომლის ვარაუდიც კონკრეტულად არ არის გარანტირებული სიტუაციაში. „ნაგულისხმევი“ დეტალები ერთვის ტერმინალებს. აღნიშნული დეტალების ჩანაცვლება მარტივადაა შესაძლებელი. ეს ცვლილება კი გამიზნულია დეტალების უკეთ მორგებაზე არსებულ სიტუაციასთან. ამრიგად, აღნიშნული დეტალები გვევლინებიან ცვლადებად.

ფენომენის ხედვა ხანგრძლივი პროცესია. დეტალების აღქმას, ვარაუდების ჩამოყალიბებას, დედუქციასა და ინტერპრეტაციას დრო სჭირდება. მთელი პროცესი დამოკიდებულია ჩვენს ცოდნაზე, მოლოდინებსა და მიზნებზე.

მინსკის თეორია ფოკუსირებულია გემტალტის არსზე, კერძოდ კი, მთლიანობისა და მისი ნაწილების მიმართების სპეციფიკაზე.

შესაძლებელია თუ არა სრულიად ახალი სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირება ახალი სიტუაციის წარმოსადგენად? - ცხადია, შეუძლებელია სრულიად ახალი სემანტიკური ფრეიმის შექმნა გლობალური სქემის კონტექსტის მიღმა.

მინსკი ფიქრობს, რომ იდეათა შორის ურთიერთმიმართებას უნდა მივუდგეთ რამდენიმე თვალსაზრისის გათვალისწინებით. ამ ტიპის კვლევის ჩასატარებლად საჭიროა კონცენტრაციის მოხდენა გარდაქმნილ მიმართებათა შორის ინტერაქციის სპეციფიკაზე. აქ უკვე ფრეიმული სისტემის იდეა წარმოაჩენს გარკვეულ შეზღუდვებს. ძველი ნაწილებისაგან ახლის მიღება საკმაოდ კომპლექსური პროცესია და შესაძლებელია თვითრეგულირების მექანიზმით მოგვარდეს.

სემანტიკური ანალიზისადმი ფრეიმულ მიდგომაში ყურადღება გამახვილებულია იმის გარკვევაზე, თუ როგორ იყენებენ ადამიანები კოგნიტურ ფრეიმებს საკუთარი გამოცდილების ინტერპრეტაციისთვის და როგორ ხდება ენის შესახებ ჩვენი ცოდნის რეპრეზენტაცია.

ჩვენ ვუკავშირებით ენობრივ ფორმებს კოგნიტურ სტრუქტურებს - ფრეიმებს, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ ამ ფორმების ინტერპრეტაციის პროცესსა და მის შედეგს.

არსებობს ფრეიმის ზოგადი კონცეფცია (Goffman / გოფმენი, 1974), იკვლევენ სქემას (Bartlett / ბარლეტი, 1931), იდეალიზებულ კოგნიტურ მოდელს (Lakoff / ლაკოფი, 1987) და სკრიპტს (Schank & Abelson / შანკი & აბელსონი, 1977). მიუხედავად აღნიშნულ კონსტრუქტთა შორის არსებული განსხვავებისა, მათ აერთიანებთ ერთი რამ: ყველა მათგანი წარმოადგენს ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკის ორგანიზებულ ერთობას, რომელიც ადამიანს საკუთარი გამოცდილების გააზრების საშუალებას აძლევს.

ამ თვალსაზრისით, სემანტიკური ფრეიმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ იმაში, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები, იმახსოვრებენ და განმარტავენ თავიანთ გამოცდილებას, როგორ ქმნიან ვარაუდებს და ამ გამოცდილების შესაძლო თანმდევ ფორმებს, როგორ ადგენენ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ფრეიმის დეფინიციათა დაჯგუფების შედეგად მივიღეთ “ფრეიმის“ინტერპრეტაციათა შემდეგი ველი:

- a. ფრეიმი არის ენობრივ - გრამატიკული წესების, ლექსიკური ერთეულების, ენობრივ კატეგორიების - არჩევანთა სისტემა, რომელსაც გააჩნია სცენის პროტოტიპის სტატუსი. გარდა ფრეიმში არსებული კავშირებისა, არსებობს ინტერფრეიმული კავშირებიც, რომლებიც ინახება მეხსიერებაში იმის გამო, რომ განსხვავებული ფრეიმები მოიცავენ ერთი და იმავე ენობრივ მასალს, ხოლო სცენების ელემენტები მსგავსია, საგანთა და მოვლენათა ერთი და იმავე რეპერტუარით, ურთიერთობებითა და კონტექსტებითაა შევსებული (ფილმორი, 1975, გვ. 124). ენიდან გამოცდილებაზე გადანაცვლებისას ფრეიმული სემანტიკა აქცენტს კონტინუალობაზე აკეთებს (ფილმორი, 1982, გვ 123);
2. გოფმანის კონცეფციაში (გოფმანი, 1974 გვ. 7) „ფრეიმი“ ასოცირდება „ანალიტიკურ ტყესთან“, რომლის მეშვეობითაც ადამიანი იძენს გამოცდილებას. აღნიშნულ კონცეფციაში „ფრეიმი“ წარმოადგენს ბაზისურ ელემენტს, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია სიტუაციის ფარგლებში. სიტუაცია ექვემდებარება პრინციპებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოვლენათა, მათ შორის, სოციალურ მოვლენათა, ორგანიზება ან გენერირება (გოფმანი, 1974, გვ. 10-11). გოფმანის კონცეფციაშივე ვხვდებით „ფრეიმინგის“ სოციოლოგიურ ტიპოლოგიას (გოფმანი, 1974, გვ. 157);
3. ფრეიმი არის ცნებათა იმგვარი სისტემა, რომელშიც ერთი რომელიმე ცნების გასაგებად საჭიროა მთელი სტრუქტურის გაგება. „ფრეიმი“ ზოგადი გვარეობითი სახელწოდებაა ისეთი ცნებებისათვის, როგორცაა: „სქემა“, „სცენარი“, „კოგნიტური მოდელი“ (ფილმორი, 1982, გვ.111). „ფრეიმი“ წარმოადგენს მამოტივირებელ კონტექსტთან შესაბამისობაში სტრუქტურირებულ კატეგორიათა სისტემას. მამოტივირებელი კონსტექსტი გააზრებულია, როგორც ცოდნისა და გამოცდილების კორპუსი (ფილმორი, 1982, გვ. 115);
4. ფრეიმი არის კონკრეტული ცნების გარშემო ორგანიზებული ცოდნის ერთეული. ასოციაციური განსაზღვრულობის მქონე ერთეულისაგან განსხვავებით, „ფრეიმი“

მოიცავს მონაცემებს არსებითის, ტიპურისა და შესაძლებლის თაობაზე. „ფრეიმი“ კონვენციონალური ბუნებისაა და სწორედ ამიტომ კონსტატაციას იმისა, რაც ტიპურია კონკრეტული კულტურისათვის და რა - არა. კონვენციონალურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთქმედების კონტექსტში (Dijk / დეიკი, 1981, გვ. 219-220).

5. „ფრეიმი“ წარმოადგენს მიმართებათა და კვანძების სისტემას. ფრეიმის ზედა დონეები ფიქსირებულია და შეესაბამება საგნებსა და მოვლენებს, რომელნიც ყოველთვის „მართებულია“ კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში (მინსკი, 1980, გვ. 1-25)
- „ფრეიმი“ ფუნქციონირებს როგორც:

- ა. ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება ცოდნის გამოხატვას - იგი წარმოადგენს სემანტიკური ქსელის ალტერნატივას;
- ბ. ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება ცოდნის სხვადასხვა ტიპის დიფერენცირებას;
- გ. ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება მეხსიერებაში შენახულ წარმოდგენათა ორგანიზებას.

2.3. ფრეიმული ქსელის არსი

ფრეიმთა ერთობლიობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული ფრეიმულ სისტემაში. მნიშვნელოვან ქმედებათა ეფექტი სარკისებურად წარმოქმნის გარდაქმნებს ფრეიმულ სისტემაში. სისტემის ფრეიმთა შორის განსხვავებები შეიძლება წარმოადგენდეს მოქმედებებს, მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებს ან ცვლილებებს კონცეპტუალურ ხედვაში. სისტემის განსხვავებულ ფრეიმებს გააჩნია საერთო ტერმინალები. ეს კი ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც შესაძლებელს ხდის ინფორმაციის კოორდინაციას.

ფრეიმული სისტემა, თავის მხრივ, უკავშირდება ინფორმაციის მოძიების ქსელს. როდესაც შემოთავაზებული ფრეიმი ვერ ერგება რეალობას, როდესაც ვერ ვპოულობთ იმ ტერმინალურ

დავალეებს, რომლებიც სათანადოდ შეესაბამება ტერმინალის პირობებს, მაშინ ქსელში ხდება ფრეიმის ჩანაცვლება.

ფრეიმის კონსტრუირებასთან დაკავშირებით ჩნდება რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა:

1. როგორ უნდა შეირჩეს ფრეიმი გარკვეული პირობების დასაკმაყოფილებლად?
2. როგორ უნდა შეირჩეს სუბფრეიმები დამატებითი დეტალების წარმოჩენის მიზნით?
3. როგორ უნდა ჩანაცვლდეს ფრეიმი, რომელიც არ ერგება სიტუაციას?
4. რა უნდა გაკეთდეს, თუ არ იქნა მოძიებული ვალიდური ფრეიმი?
5. უნდა მოდიფიცირდეს ძველი ფრეიმი, თუ შეიქმნას ახალი?
6. რა ფრეიმები უნდა იქნას შენახული ან მოდიფიცირებული?

იმ სიტუაციაში, როდესაც ჩვენი ჩვეული თვალსაზრისი არ ამართლებს, ან ვერ ვპოულობთ მესხიერებაში ეფექტურ ფრეიმულ სისტემებს, უნდა შევქმნათ ახლები და გამოვყოთ სწორი მახასიათებლები. სავარაუდოდ, ყველაზე ჩვეულებრივ მეთოდს ამის გასაკეთებლად წარმოადგენს ორი ან მეტი ძველი ფრეიმისგან ერთგვარი სისტემის აგება, შემდეგ კი მისი რედაქტირება და გარემოსთან მორგება.

ფრეიმის ელემენტები ემყარება იმ ერთეულებს ან თვისებებს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემულ ფრეიმში. არსებობს განსხვავება ფრეიმის ძირითად და პერიფერიულ ელემენტებს შორის. არსებობს მკაფიო და ბუნდოვანი შემთხვევები: ფრეიმის ელემენტები, რომლებიც აუცილებლადაა გამოხატული, მიეკუთვნება ბირთვს, ხოლო ფრეიმის ელემენტები, რომელთა გამოხატვა არ წარმოადგენს აუცილებლობას, მიეკუთვნება პერიფერიას.

ფრეიმულ ქსელში არსებული ფრეიმები დაკავშირებული არიან რამდენიმე ასეულ ფრეიმულ ურთიერთობათა სისტემებთან. შესაძლებელია სამი ჯგუფის გამოყოფა: განზოგადების, მოვლენათა სტრუქტურის და სისტემურის.

განზოგადება გულისხმობს, რომ ერთი ფრეიმისგან წამოსული თითოეული ფრეიმის ელემენტი დაკავშირებულია სხვა ფრეიმებთან. მოვლენათა სტრუქტურული ურთიერთობები გულისხმობს, რომ არსებობს მოვლენათა ქვესახეობებიც. სისტემურ ურთიერთობებში კი ხდება ურთიერთობათა სისტემური სახით წარმოდგენა.

საკმაოდ შთამბეჭდავია „ფრეიმის“ ინტერპრეტაციის ველი. ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნებიდან შესაძლებელია შემდეგ დეფინიციათა გამოყოფა: „ფრეიმი“ ავლენს მსგავსებას ტექნიკური მოწყობილობის მოდულთან და ეკრანის ჩარჩოსთან. ფილმორის კონცეფციაში ტერმინი „მოდული“ სინონიმურია ტერმინისა „ფრეიმი“ და ასოცირდება სექციასა და მოდულთან. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ფრეიმები კომბინირდება უფრო მოცულობით მოდულებში ან ჩარჩოებში (Fillmore / ფილმორი, 1975, გვ. 130).

„ფრეიმი“ წარმოადგენს სტერეოტიპული სიტუაციის წარმოდგენისათვის საჭირო მონაცემთა სტრუქტურას. თითოეული ფრეიმი წარმოადგენს ხედვის კონკრეტულ პერსპექტივას. ერთმანეთში „გადასვლის“ შედეგად ისინი ერთიანდებიან სისტემაში. ამგვარ სისტემაში შემავალ ფრეიმთა ტერმინალური კვანძები კვეთენ ერთმანეთს. როზენბერგი აღნიშნავს, რომ ფრეიმთა სისტემაში თითოეული სლოტი შეიძლება დაექვემდებაროს შემდგომ კონკრეტიზაციას (Rosenberg /როზენბერგი, 1980. გვ. 87)

როდესაც ფრეიმი გააზრებულია როგორც აღსაქმელი სიტუაციის ჰიპოთეტური მოდელი, მაშინ თითოეულ ტერმინალურ კვანძს უნდა მიენიჭოს კონკრეტული შედეგისათვის (კონკრეტული ფრეიმისათვის) არაწინააღმდეგობრივი მნიშვნელობა (მინსკი, 1980. გვ. 96-119).

ფრეიმული სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ ხის სახით: გვარეობრივი ინფორმაცია თავს იყრის მწვერვალისკენ, ხოლო ქვემოთ კი აკუმულირებულია ქვეფრეიმები, რომლებიც უმატებენ ბირთვულ ინფორმაციას დამატებით ინფორმაციას.

ვინაიდან ჩვენ განვიხილავთ სემანტიკას, როგორც ლინგვისტურ ფორმებსა და მათ მნიშვნელობებს შორის დამოკიდებულებას, ამრიგად სემანტიკური ანალიზი გვესმის როგორც პროცესი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობის თვისებები ენიჭება ენობრივი ფორმის მახასიათებლებს. ენის ანალიტიკოსს ორივე მიმართულებით შეუძლია დაინახოს ეს ურთიერთობა. მას შეუძლია დააკვირდეს დეკოდირების ან სემისიოლოგიურ ასპექტს, რომლითაც აიხსნება ლინგვისტური სტრუქტურების სემანტიკური ფორმირება და კოდირების ან ონომასიოლოგიური ასპექტს, რომლითაც ხდება კონცეპტების შესწავლა.

კერძოდ, ფრეიმულ სემანტიკაში, მნიშვნელობა აღიქმება კოგნიტური სტრუქტურების (ფრეიმის) გამოყენებით, რომლებიც აყალიბებენ მოსაუბრის ენობრივ გამონათქვამებს.

ენის შესწავლის ერთი ნაწილს წარმოადგენს გამოცდილების ენობრივი კოდირება. ენის შესწავლის მეორე ნაწილი კი მოიცავს ახალი კონცეპტების - ახალი ფრეიმების კონსტრუირებას მათი კოდირების ენობრივ საშუალებებთან ერთად.

აქედან გამომდინარე, ფრეიმული სემანტიკა სწავლობს იმას, თუ როგორ ავითარებს ან ააქტიურებს ლინგვისტური ფორმები ფრეიმულ ცოდნას და როგორ შეიძლება ამგვარად გააქტიურებული ფრეიმების ინტეგრირება იმ ენობრივი ერთეულების გაგებაში, რომლებიც შეიცავენ ამ ფორმებს. მსგავსი ტიპის კონცეპტების ფორმირების პროცესის სრული შესწავლა გულისხმობს იმ გზების მხედველობაში მიღებას, რომელთა მეშვეობითაც ექსტრა-ლინგვისტური ინფორმაცია ინტეგრირდება ამ პროცესში.

ფრეიმული სემანტიკის ძირითადი ვარაუდი სიტყვებთან მიმართებით ემყარება იმ აზრს, რომ ყველა ენობრივი ერთეულის გააზრებისათვის საჭიროა იმ კავშირების დადგენა, რომელიც ამ ენობრივ ერთეულს გააჩნია სხვა ფრეიმებთან მიმართებით, სადაც რეპრეზენტირდება მათი გამოცდილება.

ფრეიმული სემანტიკის კვლევა ბუნებით აუცილებლად ემპირიული, კოგნიტური და ეთნოგრაფიული ხასიათისაა. მკვლევარები, რომლებიც სწავლობენ ფრეიმულ სემანტიკას, ინტრესედებიან ენის შესწავლის სხვადასხვა მეთოდოლოგიის კვლევით, რაც გულისხმობს ენის გააზრებას და არა მხოლოდ სიმბოლოებით მანიპულირებას ან/და ღირებულებების შესწავლას გარემომცველ კულტურაში.

ფრეიმული ქსელის კონსტრუირების პროცესის ლექსიკური ანალიზის პროცესში შემდეგი მახასიათებლები გამოიყოფა:

1. ფრეიმების დახასიათება: სიტუაციის ტიპები, სადაც ენა გვაწვდის კონკრეტულ გამომსახველობით საშუალებებს;

2. ფრეიმული ელემენტების აღწერა: ინდივიდუალური ფრეიმების ასპექტები და კომპონენტები, რომლებიც, სავარაუდოდ, მოხსენიებულია ფრაზებში და წინადადებებში, რომლებიც კონკრეტულ ფრეიმულ ქსელს მიეკუთვნებიან;
3. ლექსიკური ერთეულების შერჩევა: ერთეულები, რომლებიც მიეკუთვნებიან იმ ფრეიმულ ქსელს, სადაც კონცეპტები დაკავშირებულია მათივე გამოყენების სიხშირით;
4. წინადადებების ანოტაციების შექმნა: ლექსიკური ერთეულები და ინფორმაციის ენობრივი ინტერპრეტაცია ამ ლექსიკური ერთეულების გამოყენებით;

ამრიგად, სემანტიკური ანალიზის ეს ტიპი გულისხმობს (კლასობრივი) ლექსიკური ერთეულების მიერ სიტუაციის ტიპების დახასიათებას, მონაწილეთა როლების ტიპების (ფრეიმის ელემენტების) განსაზღვრას, რომლებიც საჭიროა ტექსტის სრულყოფისათვის და ამ ლექსიკური ერთეულების სინტაქსური მახასიათებლების ანალიზისა და დოკუმენტირებისათვის.

ფრეიმული ქსელის კონსტრუირების ეს მიდგომა ამჟამად არ ითვალისწინებს ლექსიკური ერთეულების ოფიციალურ განმარტებებს, პარაფრაზებს სემანტიკური მახასიათებლების თვალსაზრისით ან რომელიმე არსებულ ონტოლოგიასთან შესაბამისობას.

ფრეიმის ელემენტები ემყარება იმ ერთეულებს ან იმ თვისებებს, რომელიც შეიძლება იყოს რეპრეზენტირებული კონკრეტულ ფრეიმულ ქსელში.

ფრეიმული ქსელის კლასიფიკაციისას განვასხვავებთ „ძირითად“ ფრეიმულ ელემენტებსა და „პერიფერიულ“ ფრეიმულ ელემენტებს. ხშირ შემთხვევაში არსებული განსხვავებების დადგენა ძალიან რთული და ბუნდოვანია. ფრეიმის ელემენტები, რომლებიც გამოირჩევიან გამოყენების სიხშირით უნდა მიეკუთვნებოდნენ ბირთვს. ფრეიმული ელემენტები, როგორებიცაა სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, უნდა იყოს ბირთვის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გრამატიკული კონსტრუქციები, რომლებიც ზოგჯერ ამას გაურკვეველს ხდის. ფრეიმული ელემენტები, რომლებიც გამოიხატება ლექსიკურად კონკრეტული მორფოლოგიური აღნიშვნის მქონე ფრაზებით ასევე უნდა მიეკუთვნებოდნენ ბირთვს.

ფრეიმის ელემენტთა ტიპები განისაზღვრება ინდივიდუალური ფრეიმების კონტექსტში. გარკვეული თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ისეთი ლექსიკური ერთეულების

შერჩევა, რომ ფრეიმის ანალიზისას დანახულ იქნას, თუ რას ეხება ეს კონკრეტული ფრეიმული ელემენტები.

ფრეიმისთვის დამახასიათებელი ელემენტების გამოყენების უპირატესობა, ლექსიკური ერთეულებისთვის დამახასიათებელ ელემენტებთან მიმართებით არის ის, რომ შედარებითი სახელების ხელახლა გამოყენება შესაძლებელია იმავე ფრეიმიდან და შესაძლებელია პოტენციური მექანიზმის განვითარება პერიფრაზირებისას.

ვინაიდან ფრეიმული ქსელი მიზნად ისახავს მისი თითოეული შემადგენელი ნაწილის აღნიშვნას, რაც გვხდება ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევაში; გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ტიპის სემანტიკური ელემენტი, რომელიც შეიძლება ფიქსირდებოდეს მსგავსი ტიპის წინადადებებში. ზოგიერთი წინადადების დანამატი მიჩნეულია ექსტრა თემატურად, ვინაიდან ისინი გვაცნობენ ინფორმაციას, რომელიც არ წამოადგენს ცენტრალური ფრეიმის აღწერის აუცილებელ ნაწილს.

ტექსტის ანალიზის ერთი პარადიგმა გულისხმობს ტექსტში არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას, რომ მოხდეს ფრეიმული ქსელის კონსტრუირება ან/და არსებული ფრეიმული ქსელის შევსება ახალი ერთეულებით.

ფრეიმის სემანტიკური მიდგომა განსხვავდება ლექსიკური ერთეულების კომბინატორიული თვისებების საფუძველზე დაყრდნობით ინფორმაციის მოპოვებისგან. ამგვარად, წინადადებებში ფრეიმული ელემენტების იდენტიფიცირებისას აუცილებელია:

1. კონკრეტული ლექსიკური ერთეულები, რომელებიც ქმნიან ფრეიმს;
2. ენობრივი ერთეულების სხვადასხვა პოზიციები წინადადებაში გვაწვდიან ფრეიმთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ინტერესის საგანს წარმოადგენს ლექსიკური ერთეულების კომბინატორული შესაძლებლობები, გრამატიკული პოზიციები, გამომსახველობითი საშუალებები, ა.შ.

ფრეიმული მიდგომა ლექსიკური სემანტიკისადმი, ჩვეულებრივ, ნიშნავს ლექსიკური ერთეულის დაწყვილებას იმ ფრეიმთან, რომელშიც განსაზღვრებულია მისი მნიშვნელობა. პოლისემიის თვალსაზრისით. ჩვენ ვახდენთ კონკრეტული ლექსიკური ერთეულების

დაწყვილებას მეტ-ნაკლები „დაყოფის“ საფუძველზე. ლექსიკური ერთეული წარმოდგენილია თავისი კომბინატორული თვისებების გათვალისწინებით ამ ურთიერთობათა სისტემაში. ერთ ცალკეულ ლექსემის გამოყენებით შესაძლოა შევისწავლოთ განსხვავებული ასპექტების მქონე ლექსემები ერთზე მეტ ფრეიმში.

ფრეიმული ქსელი არ იყენებს უარყოფის მრავალ ფორმებს, თუმცა შესაძლოა ერთ ფრეიმში ერთიანდებოდეს გარკვეული ანტონიმები, რამაც შესაძლიოა მოგვცეს შესაძლებლობა გამოვიტანოთ დასკვნები სწორედ ამ ანტონიმებზე დაყრდნობით. დღეისათვის არაფერი გაკეთებულა საიმისოდ, რომ გათვალისწინებულ იქნას ოპოზიციის ცნების მრავალფეროვნება ლექსიკურ სემანტიკაში, მაგრამ იმ სპეციალისტებს, რომელთაც კავშირი აქვთ მონაცემთა ბაზასთან, მოუწევთ ამ ინფორმაციის გათვალისწინება პერიფრაზირების გასაკეთებლად.

ვინაიდან ფრეიმულ ქსელს მხოლოდ არაფორმალური განსაზღვრებები აქვს, ის არ გვთავაზობს სინონიმთა იდენტიფიცირების ზუსტ გზას. ფრეიმზე დაყრდნობით შეგვიძლია განვსაზღვროთ მსგავსი კონოტაციის მქონე ერთეულები. პერიფრაზირების გამოყენების შესაძლებლობა იზრდება იმავე ფრეიმის ელემენტებით წინადადებების წარმოქმნის უნარით.

პერიფრაზირება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მეტყველების ალტერნატიული კონსტრუქციების გამოყენებასთან, რომლებიც მოიცავენ ერთსა და იმავე ფრეიმის ელემენტებს.

ანტონიმებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობის შემთხვევაში, პოზიტიურად ან ნეგატიურად ფორმულირებული პერიფრაზირება შესაძლებელია.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერიფრაზები, რომლებიც მოიცავს ფრეიმებს, რომელთაც აქვთ მემკვიდრეობითი კავშირი. თუ ერთი ფრეიმი მემკვიდრეობით მიიღებს რაიმეს უფრო აბსტრაქტული ფრეიმისგან, მაშინ პერიფრაზირების შექმნა შესაძლებელი იქნება ორი ფრეიმის გამოყენებით.

ფრეიმული ქსელი ახდენს ფრეიმული სემანტიკის კონცეპტების დიდი ნაწილის რეალიზაციას, სადაც კონცეპტების უმრავლესობა უშუალოდ წარმოდგენილია მონაცემთა

ბაზის სტრუქტურაში. მაგალითად, არსებობს ფრეიმების ცხრილი, ხოლო ფრეიმის ელემენტებისთვის არსებობს კიდევ ერთი ცხრილი, სადაც ფრეიმის ელემენტები მიემართება იმ ფრეიმისკენ, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ. ლექსიკური ერთეულების ცხრილი მსგავსადვე უკავშირდება ფრეიმებს და, შესაბამისად, წარმოგვიდგენს მნიშვნელობასა და ფორმას. ფრეიმების რაოდენობის ზრდასთან ერთად, აშკარა გახდა, რომ ისინი არ არის მხოლოდ ცალკეული ერთეულების ნაკრები, არამედ არსებობს ფრეიმების ქსელები და იერარქიები, სადაც არსებობს ზოგიერთი სხვა ფრეიმების კომპონენტები. ფრეიმული ქსელის პროექტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ელემენტთა ურთიერთკავშირის სისტემის შემუშავება.

ფრეიმული ქსელის ქვე-ფრეიმები ერთმანეთს უკავშირდება რამდენიმე ასეული ფრეიმული კავშირის ქსელით, რომელიც იძლევა სემანტიკური ტიპების შესახებ მსჯელობის საშუალებას საზოგადოების შესაბამის დონეზე.

ზოგადობის კავშირები:

1. მემკვიდრეობითობა: მშობლის ფრეიმის ყველა ელემენტი უკავშირდება ბავშვის ფრეიმის ელემენტებს, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ბავშვის ფრეიმის ელემენტებს იგივე სახელი ჰქონდეთ. ბავშვის ფრეიმს შეიძლება უფრო მეტი ფრეიმის ელემენტი ჰქონდეს, ხოლო ბავშვის სემანტიკა კი მშობლის სემანტიკის ქვეტიპს წარმოადგენს;
2. პერსპექტივა: სხვადასხვა ლექსიკური ერთეული (მაგ: *buy, sell / ყიდვა, გაყიდვა*) წარმოქმნის აბსტრაქტულ მოვლენასთან დაკავშირებით სხვადასხვა პერსპექტივის მქონე ფრეიმებს, ერთგვარ სქემას - საწყისეულ კავშირს. კონკრეტულად, ყიდვა ერთ მონაწილეს აძლევს შესყიდული საქონლის გადაცემის პერსპექტივას, ხოლო გაყიდვა კი იმავე პერსპექტივას - მეორე მონაწილეს. ფრეიმულ ქსელში ისინი აბსტრაქტულ მოვლენასთან დაკავშირებული არიან პერსპექტივის კავშირების საშუალებით;
3. გამოყენება: ბავშვის ფრეიმი დამოკიდებულია მშობლის ფრეიმის მიერ მიწოდებულ საბაზისო ცოდნაზე. მშობლის ფრეიმის ზოგიერთი ძირითადი ელემენტი უკავშირდება ბავშვის ფრეიმის ელემენტებს, მაგრამ არა ყველა მათგანს.

სტრუქტურული კავშირი:

1. ქვეფრეიმები: ესენი გახლავთ კომპლექსური მოვლენის ელემენტები, რომელთაც ხშირად დროებითი განლაგება აქვთ, მაგალითად, ფრეიმულ ქსელში, Giving frame (გაცემის ფრეიმი) უკავშირდება ორ მონათესავე ფრეიმს, რომელთაც უკეთესი სახელების არქონის გამო, Pre-Giving-ს და Post-Giving-ს უწოდებენ, რომელიც იძლევა ინფორმაციას მოქმედი პირის, თვითონ მოქმედებისა და მოქმედების დროის შესახებ. ეს სამი ფრეიმი გაცემის სცენარს (Giving scenario) ქმნის;
2. წინსწრება: ეს კავშირი მიუთითებს დროებით განლაგებაზე.

სისტემური კავშირი:

1. კაუზატივი: მშობლის ფრეიმი წარმოადგენს კაუზატივს, რომელიც შეესატყვისება ბავშვის ფრეიმს.

ყველა ამ ფრეიმის ფრეიმთან კავშირს თან ახლავს ფრეიმის ელემენტის კავშირი ფრეიმის ელემენტთან. ამასთანავე, არსებობს სემანტიკური ტიპების სისტემა, რომელიც ფრეიმის ელემენტების მიმართ გამოიყენება, და ასევე, მემკვიდრეობით არის მიღებული - ასე, რომ ფრეიმის ელემენტების უმრავლესობას გააჩნია სემანტიკური ტიპები და კავშირი ზედა დონის ფრეიმის ელემენტებთან. იერარქიის ზედა დონესთან ახლოს არსებული ფრეიმის ელემენტები გახლავთ ტრადიციული თემატური როლების (შემთხვევათა როლების) იდენტური, როგორცაა აგენტი, თემა, წყარო, მიზანი და ა.შ. ფრეიმის ელემენტები, რომლებიც არ უკავშირდება ზედა დონის ამ როლებს, დელიბერაციული/გარდამავალი გახლავთ - უბრალოდ არ არსებობს ზოგადი სემანტიკური როლები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ ვითარებასთან მიმართებაში, რომელსაც ფრეიმი მოიცავს. ფრეიმის ან ფრეიმის ელემენტის ყველა შემთხვევა ასევე არის უფრო ზოგადი ფრეიმების ან ფრეიმის ელემენტების შემთხვევა, რომლისგანაც ის მიიღება.

რადგანაც ფრეიმულ ქსელში მოცემულ ინფორმაციას ფრეიმები აწესრიგებს, არ არსებობს მონაცემთა ბაზაში ლექსიკურ ერთეულთა შორის ისეთი ურთიერთკავშირი თუ უშუალო რეპრეზენტაცია, როგორებიცაა: ჰიპონიმია, სინონიმია, ანტონიმია და პოლისემია.

ლექსიკური სემანტიკის მიმართ ფრეიმული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ლექსიკური ერთეული არის ლექსემის დაკავშირება მნიშვნელობასთან (და ეს, როგორც წესი, ნიშნავს

ლექსიკური ერთეულის დაკავშირებას ფრეიმთან, რომელშიც მისი მნიშვნელობა განისაზღვრება), მეტ-ნაკლებად მოითხოვს პოლისემიის მიმართ „გამმიჯნავი“ და არა „გამაერთიანებელი“ მიდგომის გამოყენებას. ეს იმიტომ, რომ ლექსიკური ერთეული განთავსებულია ურთიერთკავშირის სისტემაში (ა) მის კომბინატორულ მახასიათებლებთან და (ბ) მის ფრეიმში სხვა სიტყვებთან ერთად.

სხვადასხვა მნიშვნელობების შესწავლა, რომლებიც შეიძლება ცალკეულ ლექსემას მივაკუთვნოთ, უნდა მოხდეს ერთზე მეტ ფრეიმში ერთი და იმავე ფორმის ლექსემების პოვნის საშუალებით. შესაბამისობის ფრეიმი ლექსიკური ერთეულის კონცეპტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ორ კარგ მაგალითს გვამღვეს. იშვიათად ხდება, რომ ერთი და იგივე ლექსემა მხარს უჭერდეს ერთზე მეტ ლექსიკურ ერთეულს ერთი და იმავე ფრეიმში.

ფრეიმულ ქსელს ამჟამად არ აქვს უარყოფის მრავალჯერ გამოყენების ინტერპრეტაცია, მაგრამ იმის გამო, რომ ანტონიმები, ზოგადად, იმავე ფრეიმში შედის, ანტონიმების სახეობებზე დაყრდნობით შესაძლებელი უნდა იყოს ინფერენციები. ფრეიმულ ქსელში არსებული ყველა ფრეიმის შემთხვევაში, რომელიც სკალარულ ინტერპრეტაციებს წარმოადგენს, ფრეიმის ის წევრები, რომელთაც „ნეგატიური“ ორიენტაცია აქვთ, აღინიშნებიან უარყოფით, როგორც სემანტიკური ტიპი. ამჟამად ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა ლექსიკურ სემანტიკაში არსებული რამდენიმე საპირისპირო ცნების მხედველობაში მისაღებად. მაგრამ პერიფრაზის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, მონაცემთა ბაზის მომხმარებლებმა ასეთი ინფორმაცია უნდა გაითვალისწინონ. მაგალითად, შესაბამისობის ფრეიმში შესაბამისობა და შეუსაბამობა ურთიერთსაპირისპირო სიტყვებია, ასე რომ ზოგიერთი მოქმედება, რომელიც კანონთან *შესაბამისია*, კანონს *არ არღვევს*.

იქ, სადაც ანტონიმები *ურთიერთსაწინააღმდეგოა*, შესაძლებელია უფრო სუსტი ინფერენციები: თუ რაღაც იზრდება, მაშინ ის არ მცირდება; თუ რაღაც მცირდება, მაშინ ის არ იზრდება, მაგრამ საწინააღმდეგო ინფერენციები შესაძლებელი არ არის.

პირდაპირი მნიშვნელობით, სინონიმია, თუ ასეთი კავშირი არსებობს, თეორიული თვალსაზრისით, წარმოდგინდებოდა ერთი და იმავე ფრეიმში მეტყველების ერთი და იმავე ნაწილის სიტყვებით, იმავე კონტექსტუალური მნიშვნელობებითა და იმავე დეფინიციებით.

რადგანაც ფრეიმულ ქსელს მხოლოდ არაფორმალური დეფინიციები აქვს, ის ვერ გვთავაზობს სინონიმების განსაზღვრის რაიმე ზუსტ მეთოდს. თუმცა ფრეიმებზე დაყრდნობით, ფრეიმული ქსელი იძლევა პერიფრაზის კავშირების განსაზღვრის საშუალებას. როგორც ავტომატური კითხვა–პასუხისა და ინფორმაციის მიღების პროცესში გამოყენებული საშუალება, შეკითხვების შემოსატანად უნდა გაიზარდოს პერიფრაზების წარმოქმნის შესაძლებლობა, რაც შესაძლებელია წინადადებების შედგენის საშუალებით ერთი და იმავე ფრეიმის ელემენტების, მაგრამ სხვადასხვა ლექსიკურ–სინტაქსური ფორმების გამოყენებით.

მარტივი შემთხვევები: პერიფრაზის მრავალი მაგალითი მოიცავს მეტყველების ნაწილის შემცვლელ გამოთქმებს, რომელიც იმავე ფრეიმის ელემენტებს შეიცავს. აქედან გამომდინარე, შესაბამისობის ფრეიმში პერიფრაზებად ითვლება შემდეგი სახის მაგალითები: *This conforms to the regulation/is in conformity with the regulation/is compliant with the regulation* (ეს შეესაბამება რეგულაციას/რეგულაციასთან შესაბამისობაშია/რეგულაციის შესაბამისია). ამ შემთხვევაში, ერთი და იმავე ფრეიმიდან სხვადასხვა სიტყვები და ფრაზები შეესაბამება არსებულ მდგომარეობასა და ნორმას შორის არსებულ ერთსა და იმავე კავშირს.

უარყოფის შემთხვევები: ფრეიმში ანტონიმებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო კავშირის შემთხვევებში, შესაძლებელია არსებობდეს პოზიტიურად და ნეგატიურად ფორმულირებული პერიფრაზები. ამის მაგალითია: *This conforms to the regulation/does not violate the regulation* (ეს შეესაბამება რეგულაციას/არ არღვევს რეგულაციას). *This is in violation of the regulation/is not in compliance with the regulation* (ეს არღვევს რეგულაციას/რეგულაციასთან შესაბამისობაში არ არის).

პერსპექტიულად დაკავშირებული შემთხვევები/perspectively related cases: ფრეიმის კომპლექსურ სტრუქტურაში დაწყვილებულმა გამონათქვამებმა ცალკეული ტიპის შემთხვევის ან კავშირის შესახებ შეიძლება განსხვავებული ხედვები ან დახასიათებები მოგვცეს, როგორც კომერციული გარიგების ზმნების შემთხვევაში დავინახეთ. *A sold B to C* (*A-მ B მიჰყიდა C-ს*) იგივე შემთხვევაზე მოგვითხრობს, რაზეც *C bought B from A* (*C-მ B იყიდა A-სგან*). მსგავსად ამისა, *A employs B* (*A-ს დასაქმებული ჰყავს B*) იგივე ვითარებას აღწერს, რასაც *B works for A*, (*B მუშაობს A-თვის*), თუმცა განსხვავებული თვალთახედვით.

მემკვიდრეობითობით დაკავშირებული შემთხვევები: ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლავთ ფრეიმების შემცველი პერიფრაზები, რომელთაც ერთმანეთთან *მემკვიდრეობითობის* კავშირი გააჩნიათ. თუ ერთი ფრეიმი უფრო აბსტრაქტული ფრეიმისგან რაიმეს მემკვიდრეობით იღებს, თუმცა რაღაც ახალსაც ამატებს, მაშინ პერიფრაზების წარმოქმნა შესაძლებელია ორი ფრეიმის გამოყენებით, თუ ექსტრათემატურ ელემენტს უფრო ზედა დონის ფრეიმში შემოჰყავს კონკრეტული ელემენტი. ფრეიმის ფრეიმთან კავშირის შესახებ ზემოთ გამართულმა დისკუსიამ აჩვენა, რომ ყიდვა ერთგვარი მიღებაა, განსაკუთრებით კი მიღება თანხის გადახდის სანაცვლოდ. გადახდასთან ექსტრათემატური რეფერენცია თავისი შემადგენლობით შემდეგ შეიძლება იყოს ყიდვასთან დაკავშირებული მსგავსი გამოთქმის ექვივალენტი: *I got it for 12\$ / I bought it for 12\$ (მე ეს 12 დოლარად შევიძინე/მე ეს 12 დოლარად ვიყიდე)*. პირველ წინადადებაში *for* წინდებულით გამოხატული ფრაზა ექსტრათემატურია, მეორეში კი თემატური.

ლინგვისტური ტექსტის „ტექსტურა“ არის მნიშვნელობის სისტემა, რომელიც ერთ ნაწილს მეორესთან აკავშირებს, ხოლო ნაწილებს კი ერთ მთლიანთან; ასეთი კოჰერენტული კავშირების აუცილებლობის ჩვენების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება გახლავთ ნაგულისხმები არგუმენტების სისტემა, რომელიც ფრეიმულ ქსელში განისაზღვრება, როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი ნულოვანი კონკრეტიზაცია. ანაფორას სქემები ოპერირებენ ე.წ. „მინიშნებებზე“ - სიტყვებზე ან ფრაზებზე ტექსტში, რომლებიც იგივე ერთეულს აღნიშნავს, ხოლო პრობლემას კი მინიშნებების კასკადების ჩვენება წარმოადგენს, რომლებიც (ყველა) იმავე საგანს უკავშირდება. ლექსიკურად დაშვებული ნულოვანი კონკრეტიზაციის აღიარება ანაფორას ახალ სირთულეებს უქმნის. ისეთი წინადადების შეხვედრისას, როგორცაა *My explanation is quite similar (ჩემი განმარტება თითქმის იდენტურია)*, გვეცოდინება, რომ წინმსწრებმა საუბარმა პრობლემა ან ბუნდოვანება შემოიტანა (სიტყვას *explanation* (განმარტება) აკლია ერთ-ერთი არგუმენტი), ვიღაცამ სცადა ამ ბუნდოვანების ახსნა (სიტყვას *similar* (იდენტური) აკლია ერთ-ერთი არგუმენტი), ხოლო მოსაუბრე, სავარაუდოდ, საკუთარ განმარტებას აკეთებს. სავარაუდოდ, *of*-ით გამოხატულ ფრაზას, რომელსაც სიტყვასთან *explanation* (განმარტება) უნდა ველოდებოდეთ (*explanation of mystery/ბუნდოვანების ახსნა*) გამოტოვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის კონტექსტში არის ცნობილი; „*to*“-ს მეშვეობით გამოხატული ფრაზა, რომელსაც უნდა ველოდებოდეთ

ზედსართავ სახელთან *similar* (იდენტური) ერთად (მაგ: *similar to your explanation / თქვენი განმარტების იდენტური*), გამოტოვებულია მსგავსი ვითარების დროს: ყველა მონაწილემ იცის თემასთან დაკავშირებული წინა განმარტება. სიტყვის *similar* ფრეიმის ერთი ელემენტი, რომელიც ასევე გამოტოვებულია, მიეკუთვნება ერთგვარ განუსაზღვრელ ნულოვან კონკრეტიზაციას, კერძოდ კი პარამეტრს, რომელთან მიმართებაშიც ორივე განმარტება იდენტურია. შესაძლოა, რომ მოსაუბრის მიერ ამ წინადადების კიდევ ერთხელ წარმოთქმა ამ იდენტურობის აღწერისთვის გამოდგეს.

ბერკლის ფრეიმული ქსელის პროექტი ეთმობა ლექსიკური ერთეულების ფრეიმების სტრუქტურას და ასევე იმ საკითხს, თუ როგორ ხდება ფრეიმის ცალკეული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის ჩადება შესწავლილი ლექსიკური ერთეულების შესახებ შედგენილ წინადადებებში.

არსებული მონაცემთა ბაზა მხოლოდ ლექსიკური ერთეულებისთვისაა, თუმცა უშვებს იმასაც, რომ რაღა თქმა უნდა, ბევრი ლექსიკური ერთეული თავისთავად შედგება ფრაზებისა თუ სხვა სახის (შესაძლოა წყვეტილი) სიტყვათა ჯგუფებისგან. არსებობს ლექსიკურ ერთეულებზე უფრო მცირე ან უფრო მეტად აბსტრაქტული ლინგვისტური მახასიათებლები, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვთ წინადადებების სემანტიკურ სტრუქტურაში - რიცხვი, დრო, ასპექტი, მოდალობა და დახურული კლასის კატეგორიები და მორფემები, რომელიც კარგადაა დასაბუთებული ლანგაკერისა (განსაკუთრებით კი ლენეკერის 1986 წელს დაწერილ) და თალმის (განსაკუთრებით კი თალმის 2000 წლის) ნაშრომში.

არსებობს ასევე გრამატიკული კონსტრუქციები, რომლებიც დამოუკიდებლად წარმოქმნის სემანტიკურ, პრაგმატულ თუ ინტერაქციულ ფრეიმებს. ბრძანებების, კითხვების, სურვილების, წყევლის, მუქარისა და ა.შ. გამოხატვის სხვადასხვა საშუალება მოიცავს აღქმას იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთობენ ამ საუბრის მონაწილეები ერთმანეთთან მიმდინარე საუბარში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლინგვისტური ფრეიმის მონაწილეები ადვილად შეიძლება იყვნენ თვითონ საკომუნიკაციო აქტის მონაწილეები.

გარდა ამისა, მცირე გრამატიკული კონსტრუქციების დიდი რაოდენობა წარმოქმნის ინტერპრეტაციის ძალზე კონკრეტულ მოთხოვნებს. მარტივი მაგალითი რომ მოვიყვანოთ,

შეგვიძლია ვიმსჯელოთ კვანტიფიკატორ *no-*ს (ან მის ვარიაციაზე *NEG + any*) გამოყენებაზე, რომელიც ახლავს შედარებით ფრაზას პრედიკაციულ პოზიციაში.

ნაკლებად გაურკვეველი კონსტრუქციებია არსებითი სახელის ორმაგი ჯგუფი, რომელიც სიხშირის გამოხატვის საშუალებაა, სადაც არსებითი სახელის პირველი ჯგუფი განსაზღვრავს ერთი სახის ერთეულს, ხოლო მეორე ჯგუფი კი - სხვა სახის ერთეულს ან მასშტაბს. სპეციალური ინტერპრეტაციების მქონე ფრაზული მოდელების გარდა, კიდევ არსებობს ბევრი სხვა ტიპის შემთხვევა, რომელშიც ცალკეული სიტყვები, რომლებიც წარმოიქმნება ერთ ფრეიმში, გამოიყენება ისეთ კონტექსტში, რომელიც მათ სულ სხვა ფრეიმში განალაგებს რეგულარული ან ნახევრად რეგულარული ინტერპრეტაციის პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც ორ ფრეიმს აკავშირებს. ამაში შედის არსებითი სახელები, რომლებიც განსხვავებულ სტატუსს იძენენ თვლადი/უთვლადი განსხვავების/განზომილების შესაბამისად. საფიქრებელია, რომ ფრეიმული ქსელის მომავალი აქტივობები გადაინაცვლებს გრამატიკის სემანტიკაში - როგორც ზოგადსა და აბსტრაქტულში (უარყოფა, დრო, ასპექტი), ისე ფრაზეოლოგიურში (კონსტრუქციები და სინტაქსური იდიომები), რაც, ფაქტობრივად, შესაძლებელს ხდის ტექსტების ენობრივი ინტერპრეტაციების სისრულის მიღწევას, ასევე მნიშვნელობაში ლექსიკური მნიშვნელობებისა და გრამატიკული მნიშვნელობების ინტეგრაციის მეთოდების სრულყოფას.

თავი III. ღირებულებითი ორიენტაციები

3.1. კულტურა და ღირებულება

“მეცნიერები კულტურისა და ღირებულებების ცნებებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ, თუმცა ყველა მეცნიერი აღიარებს კულტურისა და ღირებულებათა კავშირს. ყველა მეცნიერს აერთიანებს შემდეგი საერთო თვალსაზრისი: ღირებულება კულტურის კომპონენტია, კულტურა არ არსებობს ღირებულებათა სისტემის გარეშე და პირიქით“

(<https://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/girebuleba>).

„ღირებულებები და ღირებულებითი ორიენტაციები ყველა ეპოქასა და საზოგადოებაში არსებობდა. მეტიც, ამ ორიენტაციათა განსხვავებული ტიპები და მათი განსხვავების ბუნებრივი თუ სოციალური საფუძვლები ყველა ტიპის საზოგადოებაში იჩენს თავს. როგორც კულტურა არ არსებობს ღირებულების გარეშე, ისე კულტუროლოგია არ მოიაზრება აქსიოლოგიის გარეშე. კულტურის თეორიისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა არის ღირებულება, როგორია მისი მიმართება სინამდვილესთან, რამდენი სახის ღირებულება არსებობს, როგორია კულტურაში მათი ადგილი და ურთიერთკავშირი, რა მიმართებაა ღირებულებასა და შეფასებას შორის, როგორი იყო ღირებულებათა სისტემა წარსულში, როგორია მისი დინამიკა, როდის გახდა ღირებულება რეფლექსიის საგანი“

(<https://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/girebuleba>).

„კულტუროლოგების მიერ გადადგმული ნაბიჯი ღირებულების გზით კულტურის არსის გარკვევისაკენ ერთადერთი სწორი მიმართულებაა და კულტურის ახსნის რეალურ საფუძველს გვაძლევს, მხოლოდ ეს მიმართულება სუბიექტივისტური მიდგომით არ უნდა იყოს დამძიმებული. სახელდობრ, შეუძლებელია კულტურა მხოლოდ დადებითი თუ სასურველი ღირებულებებით განვსაზღვროთ, რადგან ეს მეტად რელატივისტურ ელფერს აძლევს კულტურის განსაზღვრებას. თანაც, ღირებულების მოცულობას ავიწროებს და კვლავ განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს შორის შეუსაბამობა წარმოიშობა. ეს ნიშნავს, რომ ღირებულებათა არსის განსაზღვრის სწორ გზაზე ერთი გადახვევა თუ ცდომილება მაინც წარმოიშობა ხოლმე კულტურის დადებით ღირებულებებზე დაყვანით. მეორე ცდომილება მომდინარეობს ღირებულებათა სფეროს სულიერი ღირებულებებით შემოფარგვლიდან და

მატერიალურის ღირებულებათა გარეშე დატოვებით. თუ ყოველივე, რაც გვაორიენტირებს მასზე, ღირებულებაა, როგორც ამას დავინახავთ ღირებულების განსაზღვრებისას, არა მხოლოდ სულიერი, არამედ მატერიალური პროცესებიცა და ნივთებიც გვაორიენტირებს მათზე და ისინიც ღირებულებანია. სხვა საკითხია, მატერიალური გვესახება უფრო მნიშვნელოვნად, თუ - სულიერი“

(<https://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/girebuleba>).

„ამდენად, მატერიალურის გამორიცხვა ღირებულებათა სფეროდან ღირებულებათა არსის განსაზღვრის გზაზე მეორე ცდომილებაა. მესამე გადახრა თუ ცდომილება მომდინარეობს თავისთავადი, ადამიანისაგან დამოუკიდებელი ღირებულებების აღიარებიდან: ისე, როგორც კულტურა არ არსებობს ადამიანის გარეშე, არც ღირებულება შეიძლება არსებობდეს ადამიანის გარეშე; ისე, როგორც არ არსებობს თავისთავადი კულტურა, ადამიანისადმი ტრანსცენდენტური, რადგან კულტურა მისივე შექმნილია, არ არსებობს თავისთავადი ღირებულებაც, რადგან ღირებულება სწორედ ადამიანის ორიენტირების პროცესში წარმოიშობა. როცა ღირებულება ადამიანის სფეროს გარეთ გააქვთ, ადამიანის გარეშე არსებულად წარმოიდგენენ, მესამე გადახრასთან გვაქვს საქმე. წინა ორისაგან განსხვავებით, მესამე ცდომილება ღირებულების სფეროს კი არ ავიწროებს, არამედ აფართოებს, მაგრამ ამით ღირებულებას ადამიანურ ხასიათს უკარგავს და აიგივებს მას ადამიანის გარეთ და ადამიანამდე არსებულ ნივთთა სამყაროსთან, რითაც ღირებულების უცილობელი კომპონენტი - მისი მნიშვნელობის განსაზღვრულობა სინამდვილესთან მიმართებაში - ძალას კარგავს და ღირებულება თავად იქცევა სინამდვილედ, ადამიანის ორიენტირებისაგან დამოუკიდებელ ფენომენად. ყველა ამ და სხვა გადახრათა თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ღირებულების რაობის ანალიზი. კითხვა ღირებულების რაობის შესახებ გარდუვალია, როდესაც კულტურას განვსაზღვრავთ როგორც მატერიალურ ისე სულიერ, როგორც დადებით, ისე უარყოფით ღირებულებათა ანალიზის გზით.

არც ერთ კატეგორიას არ აქვს მნიშვნელობის ინტერპრეტაციის ისეთი მრავალფეროვანი ველი და ისეთი მრავალმხრივი გამოყენება, როგორც ღირებულების კატეგორიას. ღირებულების ფენომენი მნიშვნელოვანია ესთეტიკაში, ეთიკაში, გნოსეოლოგიაში, სოციოლოგიაში, ეკონომიკასა და სხვა დარგებში. განასხვავებენ ესთეტიკურ, სოციალურ

ეკონომიკურ, ეთიკურ და სხვა სახის ღირებულებებს. ამავე დროს, თითოეულ დარგში ღირებულება რამდენიმე მნიშვნელობას იძენს

„(<https://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/girebuleba>).

ნაშრომში ცოდნის რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზი მჭიდროდაა დაკავშირებული ლინგვისტური კვლევის აქსიოლოგიურ ასპექტთან. სწორედ აღნიშნული კავშირის წყალობითაა შესაძლებელი იმ ღირებულებათა ნუსხის ფორმირება, რომელსაც აღიარებს კონკრეტული ენის მატარებელი ერი.

ადამიანის ცოდნის ღირებულებითი სისტემის სპეციფიკა კულტურითაა განპირობებული და მოიცავს როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ ღირებულებებს. ღირებულებითი ორიენტაცია არ წარმოადგენს მუდმივას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასზე აისახება კონკრეტულ ეპოქასა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები.

ღირებულებითი ორიენტაციების ანალიზი იძლევა ეროვნული ენობრივი ცნობიერების მოდელის აგების შესაძლებლობას, ვინაიდან კონკრეტულ ეპოქისა და საზოგადოებისათვის ტიპური ღირებულებებისა და შეფასებების სისტემა აისახება სწორედ ენაში.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კონცეპტის „ომი“ აქსიოლოგიური პერსპექტივიდან კვლევა.

„ჩვეულებრივ, როდესაც ომზე საუბრობენ, გულისხმობენ სახელმწიფოთაშორისო ომს - ომს, რომელშიც ორი ან მეტი ერი-სახელმწიფოა ჩართული. სამოქალაქო ომი ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. თანამედროვე სამყაროში ამ ტიპის ომები უფრო ხშირია, ვიდრე ომები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის. პარტიზანული ომი არის ბრძოლის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელსაც ძირითადად მსუბუქად შეიარაღებული მოძრავი შენაერთები აწარმოებენ სოფლებში. პარტიზანები, როგორც წესი, გამიზნულ ძალადობას მიმართავენ არმიის, პოლიციისა და მთავრობის წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს ხელისუფლების შესუსტებას ან დამხობას. ომის მეოთხე კატეგორია - დაბალი სიხშირის კონფლიქტები, იწყება მაშინ, როდესაც ერთი სახელმწიფო აფინანსებს მეტოქე სახელმწიფოში

ძალადობის პერიოდულ ან ხანგრძლივ გამოვლინებას (მაგალითად, დაქირავებული ჯარისკაცების გამოგზავნით ან პარტიზანების დახმარებით)“ (<http://intermedia.ge>).

თუ გავიხსენებთ დალუპულთა რიცხვს, განადგურებულ ქონებას, დახარჯულ თანხებს, ცხადი გახდება, რომ ომი ადამიანის ყველაზე დამანგრეველი და ფუჭი ქმედებაა:

“I do not say that children at war do not die like men, if they have to die. To their everlasting honor and our everlasting shame, they do die like men, thus making possible the manly jubilation of patriotic holidays. But they are murdered children all the same.” (Kurt Vonnegut, *Cat's Cradle*)

“Listen up - there's no war that will end all wars.” (Haruki Murakami, *Kafka on the Shore*)

“Every gun that is made, every warship launched, every rocket fired signifies in the final sense, a theft from those who hunger and are not fed, those who are cold and are not clothed. This world in arms is not spending money alone. It is spending the sweat of its laborers, the genius of its scientists, the hopes of its children. This is not a way of life at all in any true sense. Under the clouds of war, it is humanity hanging on a cross of iron.” (Dwight D. Eisenhower)

“The world is full enough of hurts and mischances without wars to multiply them.” (J.R.R. Tolkien, *The Return of the King*)

“A nation that continues year after year to spend more money on military defense than on programs of social uplift is approaching spiritual doom.” (Martin Luther King Jr.)

„ომის შესახებ ყველას თავისი მოსაზრება გააჩნია, მაგალითად არისტოტელეს აზრით, ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე აკეთილშობილებდა ადამიანს, რადგანაც ეს იყო მორალურად სწორი ნაბიჯი სიკვდილის შიშის საპასუხოდ, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ საზოგადოებას. აქცენტი ომის სარგებლობაზე არ ახასიათებს მხოლოდ ძველ ბერძნებს, ან ანტიკურ მწერლებს - თანამედროვე ცივილიზაციაშიც ეთანხმებოდნენ მათ. გერმანელი ფილოსოფოსი ამტკიცებდა, რომ “თუ სახელმწიფოები ვერ აღწევენ ურთიერთშეთანხმებას და ვერ ხერხდება მათი სურვილების ჰარმონიზაცია, მაშინ ომი ერთადერთი გამოსავალია”.

ჰეგელი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ ომი, ფაქტობრივად, ერთადერთი გამოსავალია, რადგან “გაჭიანურებული, რომ არაფერი ვთქვათ, მუდმივ მშვიდობაზე, ქვეყნებში კორუფციას უყრის საფუძველს”. მშვიდობის დროს, ჰეგელის აზრით, საზოგადოება დუნდება და ნაწევრდება. “ომი აძლიერებს ერებს, ხოლო ისინი, ვინც მონაწილეობს სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში, იცავს მშვიდობას შინ, რისთვისაც იბრძვის საზღვარგარეთ”. ჰეგელი ამბობდა, რომ “მსოფლიო ისტორია არის მსოფლიო სასამართლო”. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეგელისათვის საიმედოობის ან გამძლეობის ყველაზე დიდი გამოცდა არის არა რაღაც ზოგადი მორალური სტანდარტები, არამედ კონკრეტული წარმატება. და რადგანაც მსოფლიო პოლიტიკაში წარმატება ძალაუფლებით და სიდიდით იზომება, გამოდის, რომ ძალა და უფლება სინონიმები ყოფილა.

გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ (1844-1900) მეტი რადიკალიზმი შესძინა ამ იდეას. ნიცშე ზოგადად უარყოფდა პირობით ზნეობრიობას, ხოლო ქრისტიანულ ეთიკასა და ჰუმანურობას განსაკუთრებით ვერ იტანდა და სისუსტედ მიიჩნევდა. ნიცშე ეთაყვანებოდა ძალაუფლების აგრესიულ გამოვლინებას, როგორც ადამიანებში, ასევე ქვეყნებში. იგი ხოტბას ასხამდა ნებისყოფას და ომის, ერთი შეხედვით, უსიამოვნო, მაგრამ სასიკეთო გავლენას ერებსა და ცივილიზაციებზე. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ეს თემა უჩვეულო ძალით გაცოცხლდება ომის მეხოტბე დიქტატორ ადოლფ ჰიტლერის და მისი არანაკლებ აგრესიული მოკავშირის ბენიტო მუსოლინის მიერ. იტალიური ფაშიზმის მამის - მუსოლინის მიხედვით, “ომი ადამიანის ენერჯის მობილიზაციას ახდენს და განადიდებს იმათ, ვისაც ძალა შესწევს, მას თვალი გაუსწოროს”. იდეალურ სამყაროში ომი არ იქნებოდა, მაგრამ ომი ყოველთვის იყო და არის. ომის საფრთხე იმის იმედთან ერთად არსებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ომი აღარ იქნება. საუკუნეების განმავლობაში ბევრი მოაზროვნე-პოლიტიკოსი (რომ არაფერი ვთქვათ უტოპისტ მეოცნებეებზე) იმეორებდა, რომ გონი, ან ღმერთი, ან ისტორია მსოფლიოს გაათავისუფლებდა ომის აგონიისგან. მაგრამ ეს ოპტიმისტებიც კი თითქმის ვერასდროს თანხმებოდნენ ისეთ საკითხზე, როგორცაა ომის გამომწვევი მიზეზები. რასაკვირველია, თუ გვინდა, რომ აღარ იყოს ომი, უპირველეს ყოვლისა მისი გამომწვევი მიზეზები უნდა აღმოვფხვრათ.

სხვადასხვა ომის შემთხვევაში, პასუხიც სხვადასხვაა. იგი დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა ცვლადზე, უპირველეს ყოვლისა კი - დროზე. ცხადია, ომს სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ფაქტორი იწვევდა. მაგალითად, XII საუკუნის ევროპაში მცხოვრები ნებისმიერი ობიექტური მკლევარი ამ პერიოდის სასტიკ ომებს აუცილებლად რელიგიურ ალტყინებას მიაწერდა. პარადოქსულია, რომ განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯვაროსნული ომები, რომლებიც XI საუკუნის დასასრულს დაიწყო და თითქმის 200 წელს მიმდინარეობდა, იმ რწმენით იყო გამსჭვალული, რომ “ღმერთი ჩვენთანაა” (<http://intermedia.ge>).

ომის გამომწვევი სამი ძირითადი მიზეზი შეიძლება გამოვკვეთოთ, რომლებიც წინა პლანზეა წამოწეული პოლიტიკური მოაზროვნების ნაშრომებში:

1. ერთ-ერთი აქცენტს ადამიანის ბუნებაზე აკეთებს;
2. მეორე ხაზს უსვამს საზოგადოებას (მთავრობის ჩათვლით);
3. მესამე კი ყურადღებას ამახვილებს გარემოში არსებულ შესაბამობაზე (წყლის, მიწის ბუნებრივი რესურსების ნაკლებობაზე).

ისინი, ვინც ომს ადამიანის ბუნების მანკიერ მხარედ მიიჩნევენ, გვთავაზობენ სხვადასხვა ახსნას “ცუდად მოქცევის” შესახებ.

„გავლენიანი თეოლოგის, ნეტარი ავგუსტინეს (354-430) მიხედვით, ომი არის საფასური, რომელსაც ჩვენ ვიხდით ჩვენი ცოდვილი ბუნების გამო. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ომის გამომწვევ მიზეზად ადამიანის მსოფლიო ბატონობისადმი დაუცხრომელ სწრაფვას მიიჩნევს. “მთავარში” მაკიაველიმ დაწერა, რომ პოლიტიკური წარმატება და მორალური სიმართლე ხშირად ერთმანეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში არიან: რაც უფრო ბინძურ პოლიტიკურ მეთოდს მიმართავს მთავარი საკუთარი მიზნების დასაკმაყოფილებლად, მით უფრო მდიდრდება და წარმატებული ხდება იგი. თუ მკლევართა ერთი ნაწილი რელიგიას, ხოლო მეორე ნაწილი ფილოსოფიას იყენებს აგრესიული ქმედებების ასახსენლად, მკვლევართა მესამე ნაწილი ფსიქოლოგიას იშველიებს. ზიგმუნდ ფროიდს (1856-1939), ფსიქოანალიზის ფუძემდებელს, მიაჩნდა, რომ ადამიანები იბადებიან “სიკვდილის სურვილით” - თვითგანადგურების თანდაყოლილი აზრით, რომლის

მიმართულების შეცვლასაც ისინი უმეტესწილად ახერხებენ. ფროიდი მიიჩნევდა, რომ ომს გააჩნია თვითდამანგრეველი იმპულსის გამოდევნის ფუნქცია. თუმცა ამ თეორიის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ სანახევროდაა სწორი - ის ჯარისკაცები, რომლებიც ჩადიან მკვლელობებს, თავად არ იღებენ გადაწყვეტილებას ომის დაწყების თაობაზე, ხოლო ისინი, ვინც ამის შესახებ იღებენ გადაწყვეტილებას (და ვინც ახერხებს მშვიდად ჯდომასა და საფრთხის თავიდან აცილებას), თავად საერთოდაც არ იბრძვიან. ჯარისკაცების უმეტესობა თავის მოვალეობას ასრულებს და გარდა ამისა, მათ არ სურთ თავად იქცნენ მსხვერპლად. ისინი არ არიან დაბადებული მოძალადეებად.

თომას ჰობსი (1588-1679) ომის განსხვავებულ, მაგრამ ასევე არანაკლებ არასასიამოვნო ახსნას გვთავაზობს. ის მიიჩნევდა, რომ ადამიანები ბუნებით სასტიკები და უგუნურები არიან. ერთადერთი საშუალება ადამიანის ჭეშმარიტი ბუნების გასაგებად არის ცოდნა იმისა, თუ როგორ მოიქცევიან ისინი ცივილური საზოგადოების მიღმა, ბუნებრივ პირობებში. უნდა ითვას, რომ მის მიერ გაკეთებული დასკვნები დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელოვნებას.

ჰობსი ომის შესახებ: ჰობსის თანახმად, ბუნებრივ პირობებში ადამიანებს მართავს თვითგადარჩენის ძირითადი ინსტინქტი. მათ ყველაზე უფრო სიკვდილის ეშინიათ და განსაკუთრებით უფრთხიან უეცარ, მოულოდნელ აღსასრულს. თუმცა სიკვდილის შიში მათ კი არ ადუნებთ, არამედ პირიქით, აგრესიულობას და ძალადობას ჰმატებს, რაც ამ პირობებში ნორმად ითვლება. სწორედ ისე, როგორც ბუნებრივ პირობებში, ადამიანებს მართავს ძირითადი სურვილები და ინსტინქტები. სწორედ ამავე ინსტინქტების მქონე ლიდერები მართავენ ერებს. და სწორედ ისე, როგორც ბუნება მოკლებულია მთავრობას, რათა დაიცვას ადამიანები ერთმანეთისგან, ასევე საერთაშორისო სისტემას არ გააჩნია მთავრობა, რათა დაიცვას სახელმწიფოები ერთმანეთისგან. ჰობსის აზრით, არსებობს დავის სამი სახე, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ბუნების სამ ნაკლს. ესენია: აგრესიული ომები, რომლებსაც საფუძვლად უდევს კონკურენციის ინსტინქტი; თავდაცვითი ომები, რომლებიც გამოწვეულია შიშით და მესამე, აგონისტური ომები გამოწვეული სიამაყით და პატივმოყვარეობით. ამ კომპაქტურად აგებული თეორიით, ჰობსი შეეცადა აეხსნა არა მხოლოდ ის, თუ როგორ მოიქცეოდნენ საზოგადოების და მთავრობის ცივილური გავლენისგან თავისუფალი ადამიანები (რომლებიც კისრებს დაღადრავდნენ ერთმანეთს, რომ

არა ხელისუფლების მიერ შემოღებული კანონი და წესრიგი), არამედ რატომ იწყებენ სახელმწიფოები ომს ერთმანეთის წინააღმდეგ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გარეშე მაყურებლისთვის ყოველგვარ აზრს არის მოკლებული.

ჰანს მორგენტაუ, ჰობსის მსგავსად, თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ადამიანები მანკიერნი არიან. მორგენტაუმ განსაკუთრებით ნათლად გამოხატა საკუთარი აზრი, როდესაც განაცხადა, რომ “საერთაშორისო პოლიტიკა, ყველა პოლიტიკის მსგავსად, არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის”. რაც არ უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკის საბოლოო მიზანი, უშუალო მიზანს მაინც ძალაუფლება წარმოადგენს. ისევე როგორც მისმა წინამორბედმა ჰობსმა, მორგენტაუმაც უარყო მცდარი (იდეალისტური) მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ “ადამიანური საწყისი კეთილია, ხოლო ადამიანის ბუნება იოლად დრეკადი და თვინიერი”. მორგენტაუს მიხედვით, ადამიანის ბუნება და განდიდების ინსტინქტი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, რომელიც კონკურენციასა და კონფლიქტს იწვევს. ამგვარი ანალიზი კაცობრიობას მეტისმეტად არასასიამოვნო კუთხით წარმოაჩენს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს მოსაზრება არის ერთადერთი სარწმუნო ახსნა იმისა, თუ რატომ ხდება ომები.

ყველა პოლიტიკური მოაზროვნე არ მიაწერს ომის არსებობას ადამიანის ფსიქიკას ან ბუნებას. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ომების გაჩაღებაში ზოგადად თანამედროვე საზოგადოებას ადანაშაულებს, რომლებიც სახელმწიფოს სახით არიან ფორმირებულები.

რუსოს თვალსაზრისით, დამნაშავეა ქონება. “ადამიანი თავისუფალ ქმნილებადაა დაბადებული, მაგრამ მას მთელი ცხოვრება ბორკილები ადევს”. ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან-ჟაკ რუსომ (1712-1778) პირდაპირ გააკრიტიკა ჰობსის მოსაზრება ადამიანის მუხთალი და მოძალადე ბუნების თაობაზე. რუსომ დასაწყისშივე განაცხადა, რომ ადამიანები “სულელი, მაგრამ მშვიდობიანი” არსებები არიან, რომლებსაც შეუძლიათ თანაუგრძნონ დაჩაგრულებს. რუსოს სჯეროდა, რომ ეს არის სოციალური ადამიანის და არა პირველყოფილი ადამიანის თვისება. რუსოს სწამდა, რომ საზოგადოება არის ყველანაირი პრობლემის მიზეზი, ომის ჩათვლით. ის განსაკუთრებით ადანაშაულებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტს - XX საუკუნის ევროპის ძირითად საზრუნავს - იმ უბედურებებისათვის, რომელმაც მთელი კაცობრიობა მოიცვა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ცივილიზაციის ყალბ სიამოვნებაზე

გაცვალეს პირველყოფილი უმანკოება. საკუთრება განარჩევს ადამიანებს იმით, რომ ქმნის უსარგებლო უთანასწორობას ჯანმრთელობის, სტატუსის და ძალაუფლების მხრივ ერთი ერის მოქალაქეებს და თანდათანობით სახელმწიფოებს შორის: პირველი ადამიანი, რომელმაც შემოღობა მიწის ნაკვეთი, გონებაში ჩაიბეჭდა რომ “ეს მისია” და იპოვა ადამიანები, რომლებიც იმდენად სულელები აღმოჩნდნენ, რომ ეს დაიჯერეს. რამდენ დანაშაულს, ომს, მკვლელობასა და საშინელებას ასცდებოდა კაცობრიობა, ვინმეს რომ დაეყვირა: ნუ უსმენთ ამ მატყუარას, ინანებთ, თუ დაივიწყებთ, რომ ნაყოფი ყველასია, ხოლო მიწა - საერთო.

რუსომ ჩამოაყალიბა დებულება, რომ კერძო საკუთრების შექმნამ საფუძველი ჩაუყარა პირველ პოლიტიკურ საზოგადოებას, ხოლო პოლიტიკურმა საზოგადოებამ, თავის მხრივ, დამატებითი ერი-სახელმწიფოების შექმნას. და გამომდინარე იქიდან, რომ ერთი ერი-სახელმწიფო მეორის პირისპირ რჩებოდა, წარმოიშვა დიდი დამაბულობა, რომელიც შემდგომ “ერთა შორის ომებში, ბრძოლებში, მკველობებში გადაიზარდა, რამაც შეძრა ბუნება და შეარყია გონება”. როგორც რუსო ამბობს, “ადამიანური რასის დაყოფამ სხვადასხვა საზოგადოებებად” გამოიწვია ის, რომ ადამიანები ყველაზე ღირსეულ საქციელად თანამომძმის მკვლელობას მიიჩნევდნენ. თანდათანობით საქმე იქამდე მივიდა, რომ ადამიანები უმიზნოდ ხოცავდნენ ერთმანეთს. ბრძოლის ერთი დღის განმავლობაში უფრო მეტი მკვლელობა ხდებოდა და ერთი ქალაქის დაპყრობას უფრო მეტი საშინელება მოსდევდა, ვიდრე ეს ბუნებრივ პირობებში მთელი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა. მრავლად არიან ისინიც, რომლებიც აღიარებენ რუსოს ზოგად თეორიას, რომ “ადამიანი კარგია, მაგრამ ადამიანები - ცუდები”.

დამნაშავეა ნაციონალიზმი: ბევრი თანამედროვე მოაზროვნე ამტკიცებს, რომ ომი იმთავითვე არსებობს ცალკეულ საზოგადოებებში დამოუკიდებელი მთავრობებით. ნაციონალიზმი, ჩვეულებრივ, გულისხმობს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების მიერ პატრიოტულ გრძნობას სამშობლოს მიმართ. ერთ-ერთი ცნობილი ავტორი ამბობს: “ყველა ერს თავისი ვარდისფერი სარკე აქვს. ამგვარი სარკის განსაკუთრებულ თვისებას კი წარმოადგენს გამოსახულების მომხიბვლელად წარმოჩენა: ის აშორებს უხემ ხაზებს და ხასიათი და მშვენიება პირდაპირ ანათებს! თითოეული ერი საკუთარ თავს მიიჩნევს ყველაზე მართლად.

თითოეული ერი დარწმუნებულია, რომ ის “ღვთის რჩეული” ერია და “ღვთისგან კურთხეულ მიწაზე” ცხოვრობს“ (<http://intermedia.ge>).

„უილსონისა და კანტის თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს: დამნაშავეა ტირანია: ბევრი დამკვირვებელი ნაციონალიზმს თანამედროვე კონფლიქტების უმთავრეს წყაროდ მიიჩნევს, ხოლო მეორე ნაწილი დესპოტიზმს ადანაშაულებს XX საუკუნეში მომხდარი ორი დამანგრეველი ომის გამო. პრეზიდენტი ვუდროუ უილსონი იყო პირველი, რომელმაც წინ წამოწია ეს ცნება. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უილსონი შეეცადა, გაეხანგრძლივებინა მშვიდობა მსოფლიოში ქარტიის მეშვეობით, რომელიც თოთხმეტი პრინციპისგან შედგებოდა. უილსონი იმედოვნებდა, რომ სწორედ ამ პრინციპების დაცვა შესაძლებელს გახდიდა მსოფლიოს მშვიდობიანი გზით მართვას. მის მიერ შემოთავაზებული მსოფლიოს ახალი სისტემის ქვაკუთხედაა ეროვნული თვითგანსაზღვრის უფლება ანუ, ადამიანების უფლება, აირჩიონ სასურველი მთავრობა. უილსონის აზრით თვითგანსაზღვრის უფლება გახდებოდა დემოკრატიის საფუძველი, რომელიც, ბუნებრივია, მშვიდობის დამკვიდრების გაცილებით უკეთესი საშუალებაა, ვიდრე დიქტატი. მაგრამ რატომ უნდა გაუჩნდეთ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ომის სურვილი დიქტატორულ სახელმწიფოებზე ნაკლებად? XVIII საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის (1724 - 1804) ნაშრომის მიხედვით, იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეინარჩუნონ სიძლიერე, საჭიროა განავითარონ განათლება, კომერცია და სამოქალაქო თავისუფლება. განათლებას, კანტის აზრით, მოაქვს საერთო განმანათლებლობა, ხოლო კომერცია საშუალებას აძლევს ქვეყანას მოიპოვოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა. სწორედ ეს ორი ფაქტორი საფუძველს უყრის მშვიდობას. რაც ყველაზე მთავარია, ფართო პოლიტიკური თავისუფლების პირობებში, მოქალაქეები უფრო კომპეტენტურები გახდებოდნენ საზოგადოებრივ საკითხებში. და რადგანაც თავისუფლება ყველაზე უფრო რესპუბლიკურ მოწყობაში გამოიხატება, ამგვარი მთავრობები ბუნებით უფრო მშვიდობისმოყვარენი არიან. მიზეზი მარტივია: რესპუბლიკებში, განსხვავებით მონარქიებისა და არისტოკრატიული სახელმწიფოებისაგან, გადაწყვეტილებას ომის წარმოების თაობაზე იღებენ ის ადამიანები, რომლებმაც უნდა იბრძოლონ. როგორც კანტი ამბობს: “რესპუბლიკის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს მშვიდობისმოყვარე საქციელის წახალისებას შემდეგი მიზეზით: თუ ომის დაწყებისთვის საჭიროა იმ ადამიანების თანხმობა, რომლებმაც საკუთარ თავზე უნდა გამოსცადონ ომის

მთელი საშინელება, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ისინი ხალისით დათანხმდებიან ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობას. ამგვარი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ქვეყნები, რომელთა მთავარი საგანი არ არის მოქალაქე, ძალზე იოლად იწყებენ ომებს, როგორც გასართობს და ამისთვის მათ სეროზული მიზეზი არ სჭირდებათ”. კანტის მიერ აღმოჩენილი კავშირი რესპუბლიკანიზმსა და მშვიდობას შორის გახდა უილსონის პოლიტიკური კრედო. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ორივე მიისწრაფოდა დემოკრატიის, განათლებისა და თავისუფალი ვაჭრობის გლობალური გავრცელებისკენ მშვიდობის მიღწევის და შენარჩუნების მიზნით. უილსონს სჯეროდა, რომ მსოფლიოს ხალხები ლიბერალურ დემოკრატიას და მშვიდობას არჩევდნენ, ალტერნატიული მთავრობის არჩევის საშუალება რომ ჰქონოდათ.

ჯონ ლოკის (1632-1704) მოსაზრება შემდეგში მდგომარეობს: ომები არის გამოძახილი თანდაყოლილი ბუნებისა და არა ადამიანის ბუნების ან საზოგადოების დეფექტებისა. მარტივად რომ ვთქვათ, გარემო პირობები, რომლებიც ადამიანის კონტროლს მიღმა არიან, ხშირად აყენებს ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის პირისპირ და ამიტომ კონფლიქტებიც გარდაუვალია. მისი წინამორბედი ჰობსის მსგავსად, ლოკიც არ ხუჭავდა თვალს ადამიანის ბუნების მანკიერებებზე. ადამიანის ბუნების შესწავლამ ლოკი შემდეგ თვალსაზრისამდე მიიყვანა: თვითგადარჩენა წარმოადგენს ადამიანის ძირითად ინსტინქტს.

ლოკის მიერ დანახული ბუნებრივი მდგომარეობა არ არის ისეთი სასტიკი, როგორც ეს ჰობსს წარმოედგინა. ჰობსისგან განსხვავებით, ლოკი არ ფიქრობს, რომ თითოეული ადამიანი ერთმანეთის პოტენციური მკვლეელია. ლოკის თვალსაზრისით, სიცოცხლისათვის ძირითადი საფრთხე ბუნებრივ მდგომარეობაში ძევს. სიცოცხლისათვის ძირითად საფრთხეს წარმოადგენს არა ადამიანში არსებული მკვლელის ტენდენციები, არამედ ის სილატაკე და გაჭირვება, რომელიც ახასიათებს ბუნებრივ მდგომარეობას.

ლოკს სწამდა, რომ სილატაკე და გაჭირვება გარდაუვალია ბუნებრივ მდგომარეობაში, რადგან, როგორც იგი ამბობს, დიდი ძალიხმევაა საჭირო ყოველდღიური სარჩოს მოსაპოვებლად. ამ პირობებშიც კი, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ქონება იმ მეზობლებისგან, რომლებიც ისწრაფვიან მისი დაპატრონებისკენ და იმ ადამიანებისგან, რომლებსაც შიათ და

ღარიბები არიან. ამგვარად, ლოკი პრობლემას უფრო რესურსების სიმწირეში (საკვები, მიწა და ა.შ) ხედავდა, ვიდრე ბუნებრივ მდგომარეობაში.

თუ პრობლემა უნდა ვეძებოთ საზოგადოებაში, როგორც რუსო თვლიდა, მაშინ გამოსავალი მდგომარეობს საზოგადოების (ან სახელმწიფოს) იმგვარად გადაწყობაში, რომ აღმოფხვრილ იქნას აგრესიული ქცევის გამომწვევი ფაქტორები. მაგრამ, თუ პრობლემა არის არა ადამიანი ან საზოგადოება, არამედ ბუნება, მაშინ ერთადერთ გამოსავლად ბუნების გარდაქმნა რჩება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბუნების ტრანსფორმაცია იყო ზუსტად ის გზა, რომელსაც ლოკი შიდა საზოგადოებაში კონფლიქტის აღმოფხვრის ინსტრუმენტად მიიჩნევდა. მისი აზრით, სამოქალაქო მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პირობების დამკვიდრებას, რომლებიც წახალისებს ეკონომიკურ განვითარებას, რომლის მეშვეობით მნიშვნელოვნად შესუსტდება სოციალური დაძაბულობის ძირითადი მიზეზი - ადამიანის მდგომარეობის ბუნებრივი „გაჭირვება“. მიუხედავად იმისა, რომ ლოკს არ მოუვრგია პოლიტიკის შესახებ საკუთარი თეორია საერთაშორისო ურთიერთობებისათვის, მისი მსჯელობა სრულად ერგება ამ საკითხს. მთავრობის გამოგონებამდე ადამიანები ცხოვრობდნენ შიდა ანარქიაში; ამგვარადვე, ეფექტური მსოფლიო მთავრობის არარსებობის პირობებში ერები არსებობენ საერთაშორისო ანარქიაში. საერთაშორისო ბუნებრივი მდგომარეობა, ისევე, როგორც თავდაპირველი ბუნებრივი მდგომარეობა, მუდმივად იმყოფება პოტენციურ საომარ ვითარებაში. აქედან გამომდინარე, თითოეული ერი-სახელმწიფო მოქმედებს მტრულ გარემოში საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით, სწორედ ისე, როგორც თითოეული ადამიანი მოიქცეოდა ბუნებრივ მდგომარეობაში. ომის ყველაზე უფრო გავრცელებული და ძვირფასი ნადავლი ტერიტორიაა და ისტორიიდან გამომდინარე, სწორედ ახალი ტერიტორიების და მიწების - ლოკის თანახმად კი, ქონების - დაპატრონების გამო ხდება ომების უმეტესი ნაწილი.

ტერიტორიულობა ყოველთვის უკავშირდებოდა და კვლავაც დაუკავშირდება ომს. ლოკი აღნიშნავდა, რომ ადამიანები ჰარმონიულად იცხოვრობდნენ, თუ რომელიმე მათგანი არ მოინდომებდა სხვების დაჩაგვრას“ (<http://intermedia.ge>).

1.2. სამყაროს ხატის ღირებულებითი ფრაგმენტი და კონცეპტის აქსიოლოგიური ველი

ნაშრომში განხორციელებული აქსიოლოგიური ანალიზი მიზნად ისახავს სამყაროს ხატის ღირებულებითი ფრაგმენტისა და აქსიოლოგიური ველის კონსტრუირებას.

აქსიოლოგიური ანალიზი მიზნად ისახავს საზოგადოების ღირებულებითი ორიენტირების გამოვლენას ომის ფენომენის მიმართ.

აქსიოლოგიური ველი, რომელშიც ობიექტივირებულია „ომის“ ფენომენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, შემდეგი ტიპის შემადგენლობითაა წარმოდგენილი:

1. ზოგჯერ ომი პატრიოტიზმით შენიღბული სიძულვილია: “During times of war, hatred becomes quite respectable, even though it has to masquerade often under the guise of patriotism.”
- Howard Thurman
2. ომი დანაშაულია: “Never think that war, no matter how necessary, nor how justified, is not a crime.” - Ernest Hemingway, A Literary Reference
3. ომი უზრობაა: “They wrote in the old days that it is sweet and fitting to die for one's country. But in modern war, there is nothing sweet nor fitting in your dying. You will die like a dog for no good reason.” - Ernest Hemingway
4. ომი მკვლელობაა: “The choice is not between violence and nonviolence but between nonviolence and nonexistence.” - Martin Luther King Jr.
5. ომი უზნეობაა: “War is like a monster," he says, almost to himself. "War is the devil. It starts and it consumes and it grows and grows and grows." He's looking at me now. "And otherwise normal men become monsters, too.” - Patrick Ness, The Knife of Never Letting Go
6. ომი მშობლების თაობის დანაშაულია შვილების თაობისადმი: “In war, our elders may give the orders...but it is the young who have to fight.” - T.H. White, The Once and Future King
7. ომი უსამართლობაა: “There has never been a just [war], never an honorable one - on the part of the instigator of the war. I can see a million years ahead, and this rule will never change in so many as half a dozen instances...” - Mark Twain, The Mysterious Stranger and Other Stories

8. ომი ფულისა და ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტია: There hasn't been peace on earth because people can't seem to figure out that the real enemy is the people manipulating world events from behind the scenes for their own selfish interests. - James Dye
9. ომი მშვიდობის დაცვის ნიღაბს ატარებს: “It is the oldest ironies that are still the most satisfying: man, when preparing for bloody war, will orate loudly and most eloquently in the name of peace.” - Alan Moore, Watchmen
10. ომი დემოკრატიის წინააღმდეგაა მიმართული: “A democracy which makes or even effectively prepares for modern, scientific war must necessarily cease to be democratic. No country can be really well prepared for modern war unless it is governed by a tyrant, at the head of a highly trained and perfectly obedient bureaucracy.” - Aldous Huxley, Ends and Means

აქსიოლოგიური ველი, რომელშიც ობიექტივირებულია „ომის“ ფენომენისადმი დადებითი დამოკიდებულება, შემდეგი შემადგენლობისაა:

1. ომის ერთადერთი მიზანი საყვარელი სამშობლოს დაცვაა: “War must be, while we defend our lives against a destroyer who would devour all; but I do not love the bright sword for its sharpness, nor the arrow for its swiftness, nor the warrior for his glory. I love only that which they defend.” - J.R.R. Tolkien, The Two Towers
2. ომი ბოროტების დამარცხების და თავისუფლების მოპოვების ინსტრუმენტია: “War is an ugly thing, but not the ugliest of things: the decayed and degraded state of moral and patriotic feeling which thinks that nothing is worth a war, is much worse. When a people are used as mere human instruments for firing cannon or thrusting bayonets, in the service and for the selfish purposes of a master, such war degrades a people. A war to protect other human beings against tyrannical injustice; a war to give victory to their own ideas of right and good, and which is their own war, carried on for an honest purpose by their free choice, — is often the means of their regeneration. A man who has nothing which he is willing to fight for, nothing which he cares more about than he does about his personal safety, is a miserable creature who has no chance of being free, unless made and kept so by the exertions of better men than himself. As long as justice and injustice have not terminated their ever-renewing fight for ascendancy in the affairs of

mankind, human beings must be willing, when need is, to do battle for the one against the other.”

- John Stuart Mill, Principles of Political Economy

3. ომი აუცილებლობაა: “Pacifism is objectively pro-fascist. This is elementary common sense. If you hamper the war effort of one side, you automatically help out that of the other. Nor is there any real way of remaining outside such a war as the present one. In practice, 'he that is not with me is against me'.” - George Orwell
4. მზაობა ომისათვის მშვიდობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი მდგომარეობაა: To be prepared for war is one of the most effective means of preserving peace. - George Washington

ამრიგად, ომისადმი დაკავშირებული ღირებულებებისა და ანტიღირებულებების ანალიზმა ცხადყო საკვლევი ფენომენისადმი დამოკიდებულების არაერთგვაროვნება და ღირებულებათა სისტემის წინააღმდეგობრიობა.

მასალის ანალიზმა გამოავლინა ომისადმი როგორც უარყოფითი, ისე დადებითი დამოკიდებულებაც.

ომისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში გამოიკვეთა შემდეგი თვალსაზრისები: ზოგჯერ ომი პატრიოტიზმით შენიღბული სიძულვილია; ომი დანაშაულია; ომი უზრობაა; ომი მკვლელობაა; ომი უზნეობაა; ომი მშობლების თაობის დანაშაულია შვილების თაობისადმი; ომი უსამართლობაა; ომი ფულისა და ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტია; ომი მშვიდობის დაცვის ნიღაბს ატარებს; ომი დემოკრატიის წინააღმდეგაა მიმართული.

ომისადმი დადებით დამოკიდებულებაში გამოიკვეთა შემდეგი თვალსაზრისები: ომის ერთადერთი მიზანი საყვარელი სამშობლოს დაცვაა; ომი ბოროტების დამარცხების და თავისუფლების მოპოვების ინსტრუმენტია; ომი აუცილებლობაა; მზაობა ომისათვის მშვიდობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი მდგომარეობაა.

ნაშრომში აქსიოლოგიური ანალიზი გავრცელდა კონცეპტის „War“ ასოციაციურ კონფიგურანტზე „Peace“.

აღნიშნული ასოციაციური კონფიგურანტის აქსიოლოგიური ველი, რომელშიც ობიექტივირებულია „მშვიდობის“ ფენომენისადმი დადებითი დამოკიდებულება, შემდეგი ტიპის შემადგენლობითაა წარმოდგენილი:

1. მშვიდობა, როგორც ადამიანის სულერი და გონებრივი მდგომარეობა: If we want a free and peaceful world, if we want to make the deserts bloom and man grow to greater dignity as a human being-we can do it. - Eleanor Roosevelt
2. მშვიდობა, როგორც კონფლიქტების ემფატიის მეშვეობით ტრანსფორმირებული კონფლიქტი და დაუსრულებელი, შემოქმედებითი პროცესი: Peace is a daily, a weekly, a monthly process, gradually changing opinions, slowly eroding old barriers, quietly building new structures. - John F. Kennedy
3. მშვიდობა, როგორც რაციონალური კაცობრიობის რაციონალური ცხოვრების წესი: Peace cannot be achieved through violence, it can only be attained through understanding. - Ralph Waldo Emerson
4. მშვიდობა, როგორც სამართლიანობა: Peace is normally a great good, and normally it coincides with righteousness, but it is righteousness and not peace which should bind the conscience of a nation as it should bind the conscience of an individual; and neither a nation nor an individual can surrender conscience to another's keeping. - Theodore Roosevelt
5. მშვიდობა, პროცესი, რომელიც მოითხოვს რწმენას, განათლებას, შრომასა და ძალისხმევას: Peace demands the most heroic labor and the most difficult sacrifice. It demands greater heroism than war. It demands greater fidelity to the truth and a much more perfect purity of conscience. -Thomas Merton
6. მშვიდობა, როგორც ბედნიერება: Peace and happiness are what you covet, but these are only to be obtained by labor. - Thomas Kempis
7. მშვიდობა, როგორც თანამშრომლობა და ურთიერთობები: Peace is a practical positive policy, which must be attained by friendly co-operation between the nations, putting the good of all before the interests of each. - A. Ruth Fry
8. მშვიდობა, როგორც ძალთა თანასწორობა: Peace and friendship with all mankind is our wisest policy, and I wish we may be permitted to pursue it. - Thomas Jefferson

9. მშვიდობა, როგორც სიცოცხლის უზენაესი კანონი: Nonviolence is the supreme law of life. - Proverb
10. მშვიდობა როგორც თავისუფლება: We have heard much of the phrase, peace and friendship. This phrase, in expressing the aspiration of America, is not complete. We should say instead, peace and friendship, in freedom. This, I think, is America's real message to the rest of the world. - Dwight D Eisenhower
11. მშვიდობა, როგორც პრინციპების დაცვა: Nothing can bring you peace but yourself; nothing, but the triumph of principles. - Ralph Waldo Emerson
12. მშვიდობა როგორც პროგრესი და ცვლილებები: It is difficult for intellect, technology, and peace to coexist. Not because peace is static where the other two require constant stimulation. Peace can embrace change. It is because we live in a world where intellect and technology compete for power. And peace does not allow for inequality or competition. - Andrea Scholer
13. საკუთარი თავის პატივისცემა როგორც მშვიდობის საფასური: There is a price which is too great to pay for peace, and that price can be put in one word. One cannot pay the price of self-respect. - Woodrow Wilson
14. მშვიდობა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება: Peace is not merely a distant goal that we seek, but a means by which we arrive at that goal. - Martin Luther King, Jr.
15. მშვიდობა როგორც იმედი: It just was a gradual development over the years. I mean last year was 'all you need is Love.' This year, it's 'all you need is Love and peace, baby.' Give peace a chance, and remember Love. The only hope for us is peace. Violence begets violence. You can have peace as soon as you like if we all pull together. You're all geniuses, and you're all beautiful. You don't need anyone to tell you who you are. You are what you are. Get out there and get peace, think peace, and live peace and breathe peace, and you'll get it as soon as you like. - John Lennon
16. მშვიდობა, როგორც გადარჩენის ერთადერთი გზა: Peace is the one condition of survival in this nuclear age. - Adlai Stevenson

აქსიოლოგიური ველი, რომელშიც ობიექტივირებულია „მშვიდობის“ ფენომენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, შემდეგი ტიპის შემადგენლობითაა წარმოდგენილი:

1. მშვიდობის არაეფექტურობა განიარაღებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში: If the history of the past fifty years teaches us anything, it is that peace does not follow disarmament - disarmament follows peace. - Bernard Baruch
2. Peace, in international affairs, is a period of cheating between two periods of fighting. - Ambrose Bierce

მშვიდობისადმი დადებით დამოკიდებულებაში გამოიკვეთა შემდეგი თვალსაზრისები: მშვიდობა, როგორც ადამიანის სულერი და გონებრივი მდგომარეობა; მშვიდობა, როგორც კონფლიქტების ემფატიის მეშვეობით ტრანსფორმირებული კონფლიქტი და დაუსრულებელი, შემოქმედებითი პროცესი; მშვიდობა, როგორც რაციონალური კაცობრიობის ცხოვრების წესი; მშვიდობა, როგორც სამართლიანობა; მშვიდობა - პროცესი, რომელიც მოითხოვს რწმენას, განათლებას, შრომასა და ძალისხმევას; მშვიდობა, როგორც ბედნიერება; მშვიდობა, როგორც თანამშრომლობა და ურთიერთობები; მშვიდობა, როგორც ძალთა თანასწორობა; მშვიდობა, როგორც სიცოცხლის უზენაესი კანონი; მშვიდობა, როგორც თავისუფლება; მშვიდობა, როგორც პრინციპების დაცვა; მშვიდობა, როგორც პროგრესი და ცვლილებები; მშვიდობა, როგორც საკუთარი თავის პატივისცემა; მშვიდობა, როგორც მშვიდობის საფასური; მშვიდობა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება; მშვიდობა, როგორც იმედი; მშვიდობა, როგორც გადარჩენის ერთადერთი გზა.

მშვიდობისადმი უარყოფით დამოკიდებულება კი ობიექტივირდა როგორც მშვიდობის არაეფექტურობა განიარაღებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.

თავი IV. კონცეპტი „ომი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში

4.1. დეფინიციებისა და აღქმის სხვადასხვაგვარობა

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მკვეთრად შეიცვალა საერთაშორისო ურთიერთობები და გეოპოლიტიკური სიტუაცია. სხვადასხვა სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებს შორის სულ უფრო ხშირად წარმოიშობა გაუგებრობა. არსებობს რისკი იმისა, რომ სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებმა სხვადასხვაგვარად აღიქვან ლინგვოკუტურული კონცეპტი „ომი“. სუბიექტური დეფინიციები და ერთი და იმავე კონცეპტის აღქმის სხვადასხვაგვარობა იწვევს კონცეპტის განმარტების არაერთმნიშვნელობას. ეს ფაქტი კი წარმოშობს აზრთა საკმაოდ დიდ სხვადასხვაობას მეცნიერთა შორის. აზრთა სხვადასხვაობამ, ბუნებრივია, გამოიწვია ერთმნიშვნელოვანი ეკვივალენტის არარსებობის ფაქტი. ჩვენი აზრით, აღნიშნული არაერთმნიშვნელოვნების პრობლემის გადაჭრა უნდა ვეძიოთ ლინგვოკუტურული კონცეპტის „ომი“ ეტიმოლოგიასა და მის ლექსიკურ ველში.

ჰუმანიტარული ცოდნის თანამედროვე ეტაპზე „კონცეპტი“ განეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტერმინს, რომელიც იწვევს საკმაოდ ცხარე მეცნიერულ კამათს ლინგვისტიკაში, კულტუროლოგიაში, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან თითოეულ მეცნიერებას გააჩნია აღნიშნული ტერმინის საკუთარი განმარტება. მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომლებიც ფიქსირდება ტერმინის „კონცეპტი“ ინტერპრეტაციებში, იკვეთება ის საერთო სემანტიკური მნიშვნელი, რომელიც აერთიანებს ყველა თვალსაზრისს. მსავსება, რომელიც ახასიათებს განსხვავებულებს ვერბალიზდება შემდეგი სახით: კონცეპტი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ დომინანტურ ცნებას.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ტერმინმა „კონცეპტი“ ახლებური ინტერპრეტაცია შეიძინა ლინგვისტიკაში - ტერმინი „კონცეპტი“ აღარ განიხილება ტერმინის „ცნება“ ეკვივალენტად.

ლინგვისტიკაში კონცეპტს, ცნებისაგან განსხვავებით, გააჩნია გაცილებით მრავალგანზომილებიანი სტრუქტურა.

კონცეპტი მრავალგანზომილებიანი წარმონაქმნია, რომელშიც იკვეთება ცნებობრივი, სახეობრივი და ღირებულებითი ასპექტები. კონცეპტის აზრობრივი ასპექტი წარმოადგენს მის ლინგვისტურ ფიქსაციას - მისი სახელის ფიქსაციას, მის აღწერასა და განმარტებას.

ლინგვოკულტურლოგიის კონტექსტში კონცეპტი წარმოადგენს კულტურის ანაბეჭდს ადამიანის მენტალურ სამყაროში. კონცეპტის ანალიზისადმი ენობრივი და კულტურული მიდგომები ორიენტირებულია ეროვნული მენტალიტეტის თავისიბურებათა გამოვლენაზე. ეროვნული მენტალიტეტი ყალიბდება საუკუნეების განმავლობაში და ასახავს ხალხის ისტორიას კულტურული კონცეპტების მეშვეობით. ამდენად, კონცეპტი წარმოადგენს ენის მატარებელთა მეხსიერებაში ობიექტივირებული ფორმით ფიქსირებულ, კოლექტიური ცნობიერების ერთეულს.

ლინგვოკულტურლოგიის კონტექსტში კონცეპტი შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული სემანტიკის ერთეული, რომელშიც ჭარბობს მისი შეფასებითი ელემენტი ექსპლიციტური (ან იმპლიციტური) უარყოფითი (ან დადებითი) კონოტაციებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი დაკავშირებულია ემოციებსა და ასოციაციებთან, რომლებიც ტიპურია კონკრეტული ენის მატარებელთათვის. ამდენად, ნებისმიერი ლინგვოკულტურული კონცეპტის ანალიზისას საქმე გვაქვს ორი ტიპის ინფორმაციასთან - ფაქტობრივთან და შეფასებითთან.

ნებისმიერ კულტურაში საომარი სფეროს ხედვას გააჩნია საკუთარი შინაარსი და კონცეპტთა რეპერტუარი. მიუხედავად ამ ფაქტისა კონცეპტი „ომი“ განეკუთვნება უნივერსალურ კონცეპტთა რიგს, ვინაიდან იგი ფიქსირდება ყველა კულტურასა და ენაში, შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ მას გააჩნია კორელატების მდიდარი რეპერტუარი.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამხედრო თეორეტიკოსის კარლ ფონ კლაუზევიცის მოსაზრებები ომის თაობაზე, რომელიც მან ჩამოყალიბა თავის ნაშრომში „ომის პრინციპები“ (<https://militarium.org/karl-fon-klauzevici-omis-shesaxeb/>). კარლ ფონ კლაუზევიცი ომს განიხილავს ერთ მთლიან დინამიურ მოვლენად და საუბრობს ომისა და კამპანიის დაგეგმვის აუცილებლობაზე. კლაუზევიცის აზრით, ომის დაწყება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვეთრად განსაზღვრულია ის, თუ რისი

მიღწევა გვინდა ომით და ომის დროს. აქ იგულისხმება ომის პოლიტიკური მიზანი და ომის მთავარი სამიზნეები. ავტორის აზრით, ომის ბუნებრივი მიზანი მოწინააღმდეგის განადგურებაა. ასეთ ომს იგი აბსოლუტურ ომს უწოდებს. ეს არის ომი, სადაც საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის სრულ განადგურებამდე გრძელდება. ავტორის აზრით, ომს ცვალებადი ხასიათი აქვს და მერყეობს აბსოლუტურიდან რეალურამდე. თუმცა კლაუზევიცი ამბობს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ომის დაგეგმვისას მთავარ ორიენტირს აბსოლუტური ომი უნდა წარმოადგენდეს. ავტორი თანმიმდევრულად აღწერს ომის აბსოლუტურ და ე.წ. რეალურ ხასიათს. აბსოლუტური ომის დროს ომი აღსავსეა სხვადასხვა სახის ურთიერთქმედებებით, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს საბოლოო გამარჯვება მოწინააღმდეგეზე. კლაუზევიცის აზრით, ნებისმიერ ომს აქვს კულმინაცია, რომლის დროსაც მიიღწევა კიდევაც გამარჯვება. სწორედ კულმინაციას მოყვება ის ფაზები, სადაც იწყება დანაკარგებისა და მარცხის ეტაპები. ავტორის თქმით, საბოლოო გამარჯვებამდე (მოწინააღმდეგის განადგურებამდე) არაფერია მოგებული ან წაგებული. ამ ყველაფერს მხოლოდ ომის დასასრული განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ომი ერთ მთლიანობას წარმოადგენს, რომლის ცაკლეულ ნაწილებს (წარმატებებსა თუ წარუმატებლობებს) მნიშვნელობა მხოლოდ ომის საბოლოო შედეგთან მიმართებაში აქვს. კლაუზევიცი აღნიშნავს, რომ აბსოლუტურ ომს შეიძლება მეორე, ე.წ. “რეალური” ხასიათის ომი დაუპირისპიროთ. ასეთი ხასიათის ომის მსვლელობა შედგება ცაკლეული წარმატებებისაგან. მასში წარმატება თუ წარუმატებლობა ერთმანეთს არ არის დაკავშირებული. აქ ყველაფერი რეზულტატების ჯამზე დაიყვანება, რომელთაგანაც ყოველი კონკრეტული აქტი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ცალკეული და არა როგორც რაიმე ერთ მიზანზე ორიენტირებული მოქმედება.

კლაუზევიცის აზრით, აბსოლუტური ომი აღებულ უნდა იქნას უმთავრეს ორიენტირად, ხოლო მეორე, როგორც დამხმარე, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული ომში გარკვეული “შესწორებების” შესატანად. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, კლაუზევიცი საბოლოოდ ასკვნის, რომ ყოველი ომის წინ, არსებული პოლიტიკური ვითარებისა და, ზოგადად, გარემოდან გამომდინარე, წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ როგორი ხასიათის შეიძლება იყოს ესა თუ ის ომი. რაც უფრო დაუახლოვდებიან მოსალოდნელი ომის კონტურები აბსოლუტური ომის ხასიათს, მით

უფრო მეტად იქნებიან დაპირისპირებული მხარეები ჩართულნი საერთო მორევში თავიანთი ინტერესებით, პოლიტიკითა და სხვა სახელმწიფოებრივი ურთიერთობებით. ასეთ ვითარებაში თითოეული მოვლენა მჭიდრო კავშირში იქნება ერთმანეთთან. ეს კი თავისთავად აუცილებელს ხდის, წინასწარ განისაზღვროს მოსალოდნელი ომის საბოლოო მიზანი, რათა მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, უაზრო მოვლენათა ჯაჭვად არ იქცეს.

კლაუზევიცის აზრით, ომის პოლიტიკური მიზნითა და მოწინააღმდეგის მდგომარეობით განისაზღვრება იმ ძალების მოცულობა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას მოწინააღმდეგის მიმართ. თუმცა, მისივე აზრით, ის, რომ პოლიტიკური მოთხოვნები ყოველთვის ნათელი არ არის, განსხვავებულია პოლიტიკური მდგომარეობები და არაერთფეროვანია მართველი წრეების ნებისყოფა და უნარ-ჩვევები, რომელსაც შეიძლება იმ ძალთა გათვლისას შევხვდეთ, რომელიც საჭიროა საბოლოო მიზნის მისაღწევად.

საშუალებათა და ძალისხმევათა ნაკლებობა იწვევს დასახული მიზნის მიუღწევლობას. აღნიშნული ნაკლი პირდაპირ ზიანს აყენებს აქტანტს, რომელიც მიისწრაფვის მიზნის მიღწევისკენ. შექმნილ ვითარებაში მხარეები ცდილობენ ერთმანეთს საშუალებათა მომზადებით აჯობონ. ეს ქმნის ურთიერთქმედებებს, სადაც გადამწყვეტი უპირატესობის მიღწევა შეუძლებელი ან ძალზე რთულია. ეს ურთიერთქმედება შეიძლება უკიდურესობამდეც მივიდეს. ასეთ ვითარებაში კი აზრს დაკარგავდა თავიდან დასმულ პოლიტიკურ მოთხოვნათა მოცულობა, ხოლო საშუალებები დაკარგავდნენ ყველანაირ კავშირს და შესაბამისობას ომში თავიდან დასმულ პოლიტიკურ მიზნებთან. კლაუზევიცის აზრით, უმრავლეს შემთხვევაში მიდრეკილება ასეთი უკიდურესობისკენ დაიმსხვრევა იმ წინააღმდეგობრივ ურთიერთმედებასთან, რომელსაც თვითონ აქტანტი შეხვდებოდა საკუთარ ქვეყანაში. ასეთ სიტუაციაში, ომის დამწყები ისევ საშუალო გზას უნდა დაუბრუნდეს, ანუ იმოქმედოს პრინციპით – გამოიყენოს ის ძალები და საშუალებები, რომელიც საჭიროა ომის მთავარი მიზნის მისაღწევად.

ზემოაღნიშნული გართულებების თავიდან ასაცილებლის მიზნით, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ უამრავი ფაქტორი, რომელმაც მომავალი ომის მსვლელობაზე შეიძლება იქონიოს ზეგავლენა. პირველ რიგში, საჭიროა გაირკვეს ომის პოლიტიკური აზრი, როგორც

ჩვენთვის, ასევე მოწინააღმდეგისთვის. ამასთან, ომის პოლიტიკური მიზანი, სამხედრო მიზნები და ამის შემდგომ იმ ძალთა და საშუალებათა მოცულობა, რომელიც დასმული ამოცანების მიღწევისთვის არის საჭირო. ყველაფერი ზემოჩამოთვლილი იმ კონკრეტულ ვითარებებსა და ფაქტორებზეა დამოკიდებული, სადაც ომის დამწყები მხარე და მისი მოწინააღმდეგე იმყოფება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კლაუზევიცის ერთი ფორმულირება: “თითოეულ ეპოქას თავისი ომები გააჩნია, ისევე როგორც საკუთარი შემზღვეველი გარემოებები, თავისი საკუთარი სირთულეები”. აქ კლაუზევიცი ფაქტობრივად ომის ხასიათს აღწერს, როგორც გარკვეულ რეალობაზე დამოკიდებულ მოვლენას. აღნიშნული ხედვა, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად სწორია. დღეს ვიცით პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე თაობის ომები და ასეთი დეფინიციის გაკეთების საშუალებას სწორედ ის გარემო-ფაქტორები გვაძლევს, რომლებიც უნიკალურია თითოეული თაობის ომების ეპოქებისათვის და რომლებიც უნიკალურად ზემოქმედებენ ამ ეპოქების ომების ხასიათზე. კლაუზევიცი შემდგომ კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ომის მთავარი სამხედრო მიზანი მოწინააღმდეგის განადგურება უნდა იყოს. ავტორის თქმით, სიტყვა განადგურების ქვეშ სხვადასხვა რამ შეიძლება ვიგულისხმოთ. მაგალითისთვის, ერთ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავება, მეორე შემთხვევაში – მისი ცოცხალი ძალის განადგურება ან შეიძლება მოწინააღმდეგის დედაქალაქის დაკავებაც საკმარისი იყოს წინააღმდეგობის უნარის გატეხვისთვის. ამის გარდა, ომში ხშირად გადაწყვეტი შეიძლება რაიმე ინდივიდუალური ხასიათის მიზეზი ან თუნდაც მორალური ფაქტორი აღმოჩნდეს. უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ არცერთი ასპექტი, რომელიც მნიშვნელოვანია დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობაში, ვინაიდან სწორედ ამ ყველაფერში (ძალთა თანაფარდობაში) ყალიბდება მოწინააღმდეგის ე.წ. “სიმძიმის ცენტრი” – ძალთა და მოძრაობათა ის კონცენტრაცია, რომელზედაც დამოკიდებულია ომის ბედი, სხვა სიტყვებით რომ ვთავათ, ის მთავარი, რაც აძლევს მოწინააღმდეგეს წინააღმდეგობის გაწევის ძალასა და უნარს. კლაუზევიცის თქმით, სწორედ “სიმძიმის ცენტრის” წინააღმდეგ უნდა იქნას ძირითადი დარტყმა მიმართული, ისევე, როგორც მოწინააღმდეგის განადგურება სხვადასხვა რამეს შეიძლება გულისხმობდეს, ასევე სხვადასხვა მოწინააღმდეგისათვის “სიმძიმის ცენტრი” შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითისთვის, კლაუზევიცის აზრით, ალექსანდრე მაკედონელისთვის, გუსტაფ

ადოლფისთვის, კარლ მე-12-სთვის და ფრიდრიხ დიდისთვის „სიმძიმის ცენტრი“ მათ არმიებში იყო. ჯარების დაკარგვის შემთხვევაში მათთვის ყველაფერი დამთავრდებოდა. იმ ქვეყნებს, რომლებშიც შიდა ურთიერთობები არეულია, უმრავლეს შემთხვევაში “სიმძიმის ცენტრი” დიდ ქალაქებში აქვთ, მოკავშირეებს – ინტერესთა ერთიანობაში, ხოლო სახალხო ომების შემთხვევაში “სიმძიმის ცენტრი” ლიდერებისა და საზოგადოებრივ აზრშია.

აქ კლაუზევიცი განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს და, ფაქტობრივად, პირველად ეხება სახალხო ომს, იგივე “ამბოხი-ომს” და მის “სიმძიმის ცენტრს”. მისი ეს მოსაზრება პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი ნაშრომის ძირითად თემასთან და კლაუზევიცის ამ მოსაზრებას მომავალში კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით.

კლაუზევიცი განაგრძობს: თუკი პირველი დარტყმის მერე მოწინააღმდეგე დაკარგავს წონასწორობას, მას არ უნდა მივცეთ ძალების აღდგენის დრო და საშუალება. დარტყმა უნდა გაგრძელდეს მოწინააღმდეგის “სიმძიმის ცენტრის” მიმართულებით და ყველა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ამ ცენტრის გასანადგურებლად. ავტორი აქვე დასძენს, რომ როგორც არ უნდა იყოს “სიმძიმის ცენტრი”, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება ძალზე მნიშვნელოვანია.

შეიძლება შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ მოწინააღმდეგის განადგურება გულისხმობს მოწინააღმდეგის “სიმძიმის ცენტრის” განსაზღვრას და იმ წინააღმდეგობის გატეხვას, რომელიც ამ “სიმძიმის ცენტრშია” კონცენტრირებული. ზემოქმულიდან გამომდინარე, საინტერესო უნდა იყოს ის, თუ როდის შეიძლება იქნას მოწინააღმდეგის განადგურება დასახული. კლაუზევიცი ამასთან დაკავშირებითაც გვთავაზობს თავის მოსაზრებას. მისი აზრით:

1. უნდა შეგვეძლოს გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებზე;
2. უნდა გავაჩნდეს უნარი იმისა, რომ განვაკვიტოთ გამარჯვება და შემდგომ შევივინარჩუნოთ იგი ისეთ მდგომარეობამდე, რომლის შემდეგაც წარმოუდგენელია მოწინააღმდეგის ძალთა აღდგენა;

3. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ საბოლოო წარმატების შემდეგ არ გავიჩინოთ ახალ მტერს (მტრებს), რომელიც გადაგვრთავს პირველად დასახულ მიზნებსა და მოწინააღმდეგეებზე.

მესამე პუნქტში საუბარი ფაქტობრივად ომიდან გამოსვლაზე მიდის, უფრო ზუსტად კი, ომის შემდგომ ისეთი მშვიდობის მოპოვებაზე, რომელიც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ომის პოლიტიკური მიზნის დასახვისას. ომის ბოლოს რომ არ მოგვიწიოს ე.წ. “საჯარიმოების” გადახდა, დაგეგმარებისას თავიდანვე კარგად უნდა იყოს გათვლილი სამივე ზემოთ აღნიშნული მომენტი. თუ ჩვენ დღევანდელ დროსთან გავავლებთ პარალელს, მე-3 პუნქტი თავისუფლად შეიძლება დავუკავშიროთ ერაცში ამჟამად შექმნილ სიტუაციას. პირველადი წარმატებების შემდეგ, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურების მიუხედავად, ვერ ხერხდება ისეთი მშვიდობის უზრუნველყოფა, რომელიც ა.შ.შ-ის მთავრობას საშუალებას მისცემდა ომიდან გამოსულიყო. აღნიშნული პრობლემა, სწორედ საომარი კამპანიის დაგეგმარებისას დაშვებულ შეცდომებზე მიუთითებს, კერძოდ კი, ნათლად არ იყო გააზრებული კლაუზევიცის მიერ მოცემული მე-3 პუნქტის მნიშვნელობა და შინაარსი.

კლაუზევიცი შემდგომ სუბრობს ომის შესახებ, რომ ომი თავისთავად არ ცდილობს მიაღწიოს უკიდურესობას, ან მის აბსოლუტურ ხასიათს, არამედ სინამდვილეში იგი ურთიერთგამომრიცხავია. მას, როგორც ასეთი, არ შეუძლია იარსებოს ცალკე განყენებულად, საკუთარი კანონებით. ომი ყოველთვის განხილულ უნდა იქნას, როგორც ნაწილი ერთი მთლიანობისა და ეს მთლიანობა პოლიტიკაა. ომი პოლიტიკის ინსტრუმენტია, მისი ნაწილია და არა რაიმე ყველაფრისგან დამოუკიდებელი მოვლენა. ომი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური ურთიერთობების გაგრძელება სხვა ხერხებით. შესაბამისად, ომი არასდროს არ უნდა დაცილდეს პოლიტიკურ ურთიერთობებს და თუ ის სადმე ხდება, მაშინ წყდება ყველანაირი დამაკავშირებელი ძაფები და შედეგად ვიღებთ უაზრო და უმიზნო ძალადობას.

რადგან ომი პოლიტიკის ნაწილია, შესაბამისად, იგი პოლიტიკის თვისებებსაც იძენს. კლაუზევიცის თქმით, როდესაც პოლიტიკა ხდება გრანდიოზული და მძლავრი, მაშინ ასეთივე ხდება ომიც. ეს ზრდა შეიძლება ისეთ დონემდე მივიდეს, რომ ომმა თავის აბსოლუტურ ხასიათს მიაღწიოს.

მოასზრება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკა ომის დაწყების შემდეგ წყვეტს არსებობას, მცდარია. ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ომი იქნებოდა შედეგი რაიმე სახის მტრობისა, ან იქნებოდა ბრძოლა სიკვდილისათვის და არა ბრძოლა გადარჩენისათვის. ავტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ომი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის გამოხატულება. ომი თავიდან ბოლომდე უნდა შეესაბამებოდეს პოლიტიკის ჩანაფიქრებს, რომელიც ომის მიზანში დევს, ხოლო პოლიტიკამ უნდა შეუსაბამოს ეს ჩანაფიქრები იმ საშუალებებს, რომლებიც ომისთვის გააჩნია მას. პოლიტიკა არ უნდა უსახავდეს ომს შეუსრულებელ მიზნებს. ეს ეწინააღმდეგება იმ წარმოდგენას, რომ პოლიტიკამ უნდა იცოდეს მისი ინსტრუმენტის (ომის) გამოყენება. თუკი ეს სადმე ხდება, მაშინ, ეს რაღა თქმა უნდა, პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის ბრალია. როცა პოლიტიკა სწორედ მსჯელობს და განსაზღვრავს იმას, თუ როგორი ვითარებები შეესაბამება ომის მიზნებსა და მოთხოვნებს, მაშინ ამ გარემოებების შექმნაც თავიდან ბოლომდე პოლიტიკის კომპეტენციაა. იქ, სადაც პოლიტიკა სწორია, ანუ თუ პოლიტიკურ ქმედებებს მივყავართ მიზნების მიღწევისაკენ, მაშინ, თავისთავად, მისი ზეგავლენა ომზე მხოლოდ დადებითია. ხოლო როცა პოლიტიკის ზეგავლენა გვაშორებს ომის მიზნებს, მაშინ მთავარი სისუსტე და შეცდომები პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ (<https://www.militarium.org/karl-fon-klauzevici-omis-shesaxeb/>).

კვლევის მოცემული სეგმენტის მიზანია ლინგვოკულტურული კონცეპტის „ომი“ განხილვა XX საუკუნის შეიარაღებული კონფლიქტების ისტორიულ ჭრილში ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე.

სამხედრო სფეროსათვის რელევანტური ენობრივი მასალის მასშატებისა და მოცულობის გათვალისწინებით, ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ ყველაზე ეფექტური მაგალითები, რომელთა კვლევისათვის გამოყენებულია ისტორიულ-ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი, ასევე ლექსიკონებში ფიქსირებულ განმარტებათა ანალიზი.

ლინგვოკულტურული კონცეპტი „ომი“ წარმოადგენს იმ კონცეპტთაგან ერთ-ერთს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას და არეგულირებს ყოველდღიურობას, ბანალური წვრილმანების ჩათვლით. ამ ტიპის კონცეპტები ქმნიან კონცეპტუალურ სისტემას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სამყაროს სტრუქტურაცია.

კონცეპტის „ომი“ ანალიზმა ცხადყო, რომ ინგლისურ ენაში ჩნდება კონკრეტული შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობაში შექმნილი ერთეულები. ამ ერთეულთაგან უმრავლესობამ შეიცვალა თავისი მნიშვნელობა კონფლიქტის დაწყების მომენტისათვის, ზოგი ერთეული კი გაქრა ენის მატარებელთა მეტყველებიდან კონფლიქტის დასრულებისთანავე.

ნებისმიერი ომი არის არა მხოლოდ ადამიანების ომი, არამედ სიტყვების ომიც ნებისმიერი ენა არის სიტყვათა კრებული და რაც საკმაოდ საინტერესო ფაქტია, ნებისმიერ ომს თავისი სიტყვათა კრებული აქვს.

სამოქალაქო ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში (1861—1865) ლოყაზე თმის გაზრდამ შეიძინა სახელწოდება გენერალ ბერნსაიდის პატივსაცემად, რომელსაც საკმაოდ ხშირი თმა ჰქონდა. მოგვიანებით შეიცვალა სიტყვათა თანმიმდევრობა, რის შედეგადაც გაჩნდა „sideburns“ - “ბაკენბარდები” (Burnside URL: [https:// www.civilwar.org/about/contact](https://www.civilwar.org/about/contact)).

სამოქალაქო ომადამდე „bushwhacker“ ნიშნავდა „სოფლის მაცხოვრებელს, ტყის რაიონში მცხოვრებს“. ომის შემდეგ ეს სიტყვა გამოიყენებოდა „ჩასაფრებულის“, „პარტიზანის“ მნიშვნელობით.

გენერალმა ტომას ჯექსონმა „Stonewall“ (ქვის კედელი) მიიღო აღნიშნული მეტსახელი უოტერგეიტის სკანდალის დროს, როდესაც ზმნამ „stonewall“ შეიძინა მნიშვნელობა „დუმბილის შენარჩუნება“ (<https://archive.org/details/memoirsstonewal00jackgoog>).

ინგლისურ ენაში ტერმინი „camouflage“ (კომუფლიაჟი) პირველად გამოჩნდა 1800 წლის ბოლოს და გახდა პოპულარული პირველი მსოფლიო ომის დროს. ტერმინი გულისხმობდა „ქმედებას, რომელიც გამოიყენება ობიექტის ან ადამიანის შენიღბვისათვის, მტრის მოტყუების მიზნით (ბოუერი/Bowyer, 2007). უნდა აღინიშნოს, რომ ზოოლოგიაში კომუფლიაჟი ნიშნავს ცხოველის შეფერილობას ან შენიღბვას მტაცებლისაგან თავდაცვის მიზნით.

პირველი მსოფლიო ომის ძირითად ტოპოგრაფიულ თავისებურებას წარმოადგენდა სანგრების რთული სისტემა. თუ ჯარისკაცი მიიღებდა თავდასხმაზე გადასვლის (over the

top) ბრძანებას, ეს გულისხმობდა, რომ მას მოეთხოვებოდა სანგარზე გადაბრომა და მტერზე თავდასხმა.

პირველი მსოფლიო ომის დროს შეიქმნა სპეციალური ლაბადა ქაშრით (trench coat), რომელიც ძალიან მოხეხებული იყო სანგარში ყოფნის დროს.

პირველ მსოფლიო ომამდე საიდუმლო დოკუმენტებს აღნიშნავდნენ „hush-hus“, რომელიც ნიშნავდა „საიდუმლოს“, „კონფიდენციალურს“. ინგლისურ ენაში აღნიშნული სიტყვა შემოვიდა 1910 წელს. მისი გამოყენების სიხშირე გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ინგლისურ ენაში ტერმინი „shell shock“ (კონტუზია) პირველად დაფიქსირდა 1915 წელს, როდესაც ჯარისკაცებს საომარ ოპერაციებში მონაწილეობისას დაეტყო ზნეობრივი მდგრადობის შემცირების ნიშნები. ტერმინი „posttraumatic stress disorder“ (პოსტტრავმული სტრესული აშლილობა) ინგლისურ ენაში არ დაფიქსირებულა 1980 წლამდე, თუმცა ტერმინი „post-traumatic syndrome“ (პოსტტრავმული სინდრომი) 1960 წელს უკვე არსებობდა.

ტერმინი „cushy“ (იოლი, მარტივი) გამოიყენებოდა სამხედრო მოსამსახურეთა მიერ პირველი მსოფლიო ომის დროს უმნიშვნელო ძალისხმევის სანაცვლოდ მიღებული მნიშვნელოვანი ჯილდოს აღსანიშნად. აღნიშნული ტერმინი არსებობდა 1910 წლამდეც, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროიდან ტერმინი „cushy“ უკვე აღნიშნავდა ჭრილობას, რომელიც საკმარისად სერიოზული იყო იმისათვის, რომ ჯარისკაცი სახლში გაეშვათ, მაგრამ არა იმდენად სერიოზული, რომ მიეყენებინა ჯარისკაცის ჯანმრთელობისათვის სამუდამო ზიანი ან გამოეწვია ჯარისკაცის სიკვდილი. დიდ ბრიტანეთში ამ ტიპის ჭრილობას ეწოდებოდა „blighty“. ტერმინი მომდინარეობს ჰინდიდან „bilayati“ და ნიშნავს „უცხოელს“. ასე იხსენიებდნენ ინდოეთში ბრიტანელ ჯარისკაცებს (სიმფსონი & ვეინერი/ Simpson & Weiner, 2006. 1104 p.).

ზმნა „mock up“ (შექმნა ნატურალური ზომის მაკეტი სასწავლო მიზნებისათვის) გაჩნდა ინგლისურ ენაში პირველი მსოფლიო ომის დროს სწავლების ან ტესტირების მიზნით განხორციელებულ ქმედებათა აღსაწერად. აღნიშნული ზმნის წარმოშობა უკავშირდება

უინსტონ ჩერჩილის სახელს (BBC — iWonder — Sir Winston Churchill: The greatest Briton?

URL: www.bbc.co.uk/timelines/z363gk7).

ინგლისურ ენაში ფიქსირდება მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ბევრი ახალი სიტყვა და ფრაზა: nose dive (პიკირება), blitz(krieg) (ბლიცკრიეგი), storm trooper (თავდამსხმელი თვითმფრინავი), Nazi (ნაცისტი).

1947 წელს განხორციელდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილება: სამხედრო სამინისტროს (Department of War) ეწოდა თავდაცვის სამინისტრო (Department of Defense) ((ზოუერი/Bowyer, 2007, გვ. 289).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ცივი ომის“ (cold war) „ტერმპერატურული რეჟიმი“, რომელიც აღნიშნავს ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დაპირისპირებას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (Cold War/ Causes, Facts, & Summary. URL: <https://www.britannica.com/event/Cold-War>).

ტერმინის „brainwashing“ (ზომბირება) დამკვირდება ინგლისურ ენაში უკავშირდება კორეის ომს. იმ მომენტისათვის ჯარისკაცების ჯანმრთელობის უეცარი გაურესების ერთადერთ ახსნას წარმოადგენდა ის, რომ კორეელები ფლობდნენ საიდუმლო ფსიქოლოგიურ იარაღს, რომელიც „ურეცხავდა“ ტვინებს ამერიკელ სამხედროებს (Korean War—Facts & Summary. URL: <http://www.history.com/topics/korean-war>).

ვიეტნამის ომმა ინგლისურ ენაში დაამკვიდრა შემდეგი ტერმინები: friendly fire (მეგობრული ცეცხლი), carpet bombing (ხალიჩისებური დაბომბვა), Domino Theory (დომინოს თეორია) და სხვ.

მეგობრული ცეცხლი: მეგობრულ ცეცხლს ადგილი აქვს, როდესაც საბრძოლო მოქმედებების მონაწილე მხარე მიზეზთა გამო საკუთარ ან მოკავშირე დანაყოფებს უხსნის ცეცხლს. ეს მოვლენა ომების განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე არმიებში მოწინავე ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის მიუხედავად, მეგობრული ცეცხლის შემთხვევები დღესაც ხშირია.

ისტორიულად დადასტურებული პირველი ასეთი შემთხვევა 1471 წლით თარიღდება. 1400-იან წლებში ინგლისში ვარდების ომი მძვინვარებდა. 14 აპრილს ბარნეტის მიდამოებში ლანკასტერებსა და იორკებს შორის მორიგი ბრძოლა გაიმართა.

გრავ ჯონ ოქსფორდის შენაერთის გერბი, რომელსაც საგვარეულო ვერცხლის ვასკვლავი ამშვენებდა, ნისლის გამო იორკების სახლის ემბლემად – ამომავალ მზედ მიიჩნიეს და ლანკასტერელებმა მოკავშირეებს ისრების წვიმა დაუშინეს. იორკების მეთაურმა მეფე ედუარდ IV-მ მტრის ბანაკში დაწყებული არეულობით ისარგებლა და დაბნეული მოწინააღმდეგე ადვილად დაამარცხა.

ევროპულ არმიებში ცეცხლსასროლი იარაღის და ქვემეხების მომრავლებათან ერთად, მეგობრული ცეცხლის შემთხვევებმა იმატა. ასე მაგალითად 1815 წელს ვატერლოს ბრძოლისას მოწინააღმდეგის და მოკავშირეების ადგილმდებარეობის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომის გამო, პრუსიელების არტილერიამ ბრიტანული არტილერიის პოზიციები დაბომბა. ბრიტანელებმაც არ დააყოვნეს და დარწმუნებულებმა, რომ მათ ფრანგული ქვემეხები ესვრიან, პრუსიელებს მძლავრი საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს.

მხედარმთავრების აქტიური მცდელობების მიუხედავად, მეგობრული ცეცხლის ფაქტების შემცირება ვერ ხერხდებოდა. თითქმის შემთხვევაში მიზეზი ერთი და იგივეა – მცდარი ინფორმაცია მოწინააღმდეგის და საკუთარი დანაყოფების მდებარეობის შესახებ, დაზვერვის მიერ მოცემული არასწორი ცნობები, მეტეოროლოგიური პირობები (ნისლი, ცუდი ხილვადობა) ბრძოლის ქარცეცხლში პირადი შემადგენლობის მიერ დაშვებული შეცდომები (<http://www.delta.gov.ge/blog/>).

ხალიჩისებური დაბომბვა ეწოდება საჰაერო დაბომბვის ტიპს, რომლის დროსაც, გამიზნული ტერიტორიის ყოველი ნაწილისთვის ხდება ზიანის მიყენება. ტერმინიდან გამომდინარე, აფეთქებები სრულად ფარავენ მოცემულ ტერიტორიას, როგორც ხალიჩა ფარავს იატაკს. ხალიჩისებური დაბომბვა ტიპურად მიიღწევა მრავალი უმართავი ბომბის ჩამოგდებით. დამიზნებით დაბომბვისგან განსხვავებით, ამ დროს, რომელიმე მცირე სამიზნის, ზუსტი სროლის განადგურება არ ხდება, არამედ მიზანია, ტერიტორიაზე ყველაფრის განადგურება, მაგ. ქალაქების საჰაერო დაბომბვის შემთხვევაში. თავის მხრივ, ხალიჩისებური დაბომბვა

არის ე.წ ფართობის დაბომბვის სახესხვაობა (Area bombardment), რომელიც გულისხმობს, განურჩეველ საჰაერო დაბომბვას (განურჩეველში იგულისხმება, რომ ტერიტორიაზე ნებისმიერი რამის განადგურება ხდება, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების).

ხალიჩისებური დაბომბვის სინონიმად, ხშირად ინტენსიური დაბომბვასაც იყენებენ. ხალიჩისებური დაბომბვის ერთ-ერთ პირველ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936-1939 წ.).

მსგავსი დაბომბვები განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომში. ევროპაში, დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შექმნეს განყოფილება, რომელსაც ევალეზობდა სტრატეგიული დაბომბვების შესრულება (RAF Bomber Command). მის განკარგულებაში მყოფ ბომბდამშენებს 1940 წლისთვის, შეეძლოთ ჩამოეყარათ ათასობით ბომბი ერთ სამიზნეზე.

წყნარი ოკეანის საომარ ქმედებებში ხალიჩისებური დაბომბვა ინტენსიურად გამოყენებულ იქნა იაპონელ მოქალაქეთა წინააღმდეგ, მაგ. ტოკიოში. 1945 წლის 9-10 მარტს, ღამით, 334 ცალი B-29 Superfortress ტიპის მძიმე ბომბდამშენი იქნა გამოყენებული ტოკიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული უბნების დასაბომბად (<https://geoarmada.wordpress.com/2013/03/19/>).

დომინოს თეორია: ერთიმეორის მიყოლებით წაქცეული დომინოს ქვებისა და სახელმწიფოების მეტაფორული ანალოგია, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში XX ს-ის 50-იან და 60-იან წლებში გახდა პოპულარული. ამ თეორიის მიხედვით, ყველაფერი ურთიერთდამოკიდებულია და ერთის დაცემა იწვევს მთელი სისტემის დამხობას. დომინოების, იმავე სახელმწიფოების, წაქცევის მიზეზი საერთაშორისო კომუნიზმი იყო, რომელიც საზღვრების მიუხედავად ფართოვდებოდა (<http://www.wikiwand.com/ka/>).

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ განსაკუთრებით „მდიდარია“ სინონიმებით ისეთი ერთეულები, როგორცაა: kill, waste, blow away, smoke, eliminate assets, collateral damage.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სპარსეთის ყურეში სამხედრო ოპერაციების სახელწოდებები „Desert Shield“ (უდაბნოს ფარი) და "Desert Storm“ (უდაბნოს ქარუშხალი) (Desert Shield Desert Storm: www.usar.army.mil/About.../Desert-Shield-Desert-Storm/).

სამხედრო ოპერაციები „უდაბნოს ფარი“ და „უდაბნოს ქარიშხალი“: „უდაბნოს ფარი“ და „უდაბნოს ქარიშხალი“ განხორციელებულ იქნა ამერიკისა და მისი მოკავშირეების მიერ სპარსეთის ყურეში 1990 წლის 9 აგვისტოდან 1991 წლის 28 თებერვლამდე, რომლის შედეგად განადგურებულ იქნა რეგიონში ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი არმია.

თავისი მასშტაბებით ომი სპარსეთის ყურეში აღმოჩნდა ყველაზე მსხვილი სამხედრო კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მასში ორივე მხრიდან მონაწილეობდა 35 ქვეყანა (ერაყი და კოალიციის 34 ქვეყანა), მაგრამ ძირითადი დატვირთვა – დაახლოებით 80% კოალიციური ჯარებისა – მოდიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებზე (<https://www.militarium.org/military-operations/>).

ასევე საკმაოდ საინტერესოა ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების სახელწოდებები: „Operation Enduring Freedom“ და „Operation Iraqi Freedom“ (Operation Iraqi Freedom and Operation New: <http://edition.cnn.com/2013/10/30/world/meast/operation-iraqi-freedom-and-operation-new-dawn-fast-facts>).

სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომმა ინგლისურ ენას შემატა ისეთი ერთეულები, როგორცაა: „smart bombs“ (ლაზერით მართვადი ბომბები), „surgical strike“ (წერტილოვანი დარტყმა), „precision bombing“ (დამიზნებით დაბომბვა), „collateral damage“ (თანმდევი ზიანი). თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოყენებული ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი აღინიშნება ტერმინით „weapons of mass destruction“ (მასობრივი განადგურების იარაღი).

ენა, ისევე როგორც სამყარო, მუდმივ მოძრაობაშია. ომებში და შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოყენებული იარაღი ცვლის არა მხოლოდ სამყაროს, არამედ მეტყველებისა და აზროვნების სტილსაც. პირველი და მეორე მსოფლიო ომების მიმდინარეობისას ინგლისური ენა ძირითადად ვითარდებოდა იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ტექნიკური პროგრესის გათვალისწინებით. სრულიად ბუნებრივია, რომ ახალ გამოგონებათა აღწერამ მოითხოვა ახალი სიტყვების შექმნა.

თანამედროვე ამერიკელი მწერალი სეთ ლერერი, ავტორი წიგნისა „Inventing English: a Portable History of the Language“, წერდა: „ომი ყოველთვის ცვლის ენას. მას მოაქვს ახალი სიტყვები, ცვლის მათთადამი დამოკიდებულებას და ცვლის დიალექტებს“ (ლერერი/Lerer. 2007, გვ. 316).

1950 წელს კორეის ომის დაწყებამდე მწერალი რობერტ რუარკი წერდა თავის საგაზეთო სატატიაში: „როგორც ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო რამ ომის შესახებ არის ის, რომ იგი ამდიდრებს ენას“ (Ruark R. C. URL: <http://www.robertruark.org/home.html>).

მთელი XX საუკუნის განმავლობაში და XXI საუკუნის დასაწყისში ინგლისურ ენას შეემატა სამხედრო სფეროსათვის რელევანტური ასობით სიტყვა და ფრაზა. უილფრედ ფანკიმ, ავტორმა წიგნისა „Word Origins and Their Romantic Stories“ გამოთვალა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდგომ ინგლისურ ენას შეემატა 6000 სიტყვაზე მეტი (ფანკი/Funk, 1950, გვ. 432).

2011 წელს პოლ დიქსონი, ინგლისური ენის ამერიკელი მკვლევარი თავისი წიგნის მესამე გამოცემაში „War Slang: American Fighting Words and Phrases Since the Civil War“ წერს, რომ ენა ასახავს ყოველი შეიარაღებული კონფლიქტის უნიკალურ გამოცდილებას, დაწყებული სამოქალაქო ომიდან, დამთავრებული ომით ერაყში (დიქსონი/Dickson, 2003, გვ. 432).

ამრიგად, კონცეპტი წარმოადგენს „ცოდნის კვანტს“, რომელიც დაფიქსირებულია სიტყვებით ან სიტყვათშთანხმებებით. ერები მუდმივად გამოყოფენ ლინგვოკულტურული კონცეპტის ნიშნებსა და თავისებურებებს, რითაც ამდიდრებენ საკუთარი „ცოდნის კვანტს“.

4.2. კონცეპტის „ომი“ ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა თანამედროვე ინგლისურ ენაში

მე-20 საუკუნის მეცნიერების ერთ-ერთ განმსაზღვრელ მახასიათებელს წარმოადგენს ცოდნის სხვადასხვა სფეროების მიერ ერთმანეთში შეღწევის ტენდენცია.

ყველა ადამიანი წარმოადგენს ეროვნული კულტურის ნაწილს, რომელიც მოიცავს ეროვნულ ტრადიციებს, ენას, ისტორიასა და ლიტერატურას. დღეს ერებს შორის ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო კონტაქტები მჭიდროვდება. სწორედ ამიტომ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენისა და კულტურის კორელაციურობის კვლევა.

ლინგვოკულტუროლოგია, როგორც ლინგვისტიკის დამოუკიდებელი დარგი, პირველად მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გამოიკვეთა ტრიადაში: ენა, კულტურა და პიროვნება. მიზანს კი წარმოადგენდა ფაქტების გააქტიურება შესასწავლი ენისა და კულტურის კვლევათა გააქტიურება ფილოლოგიური მეთოდების გამოყენების გზით.

მასლოვას თანახმად, ტერმინი „ლინგვოკულტუროლოგია“ ნიშნავს მეცნიერებას, რომელიც ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის კვებაზე გაჩნდა. ეს მეცნიერება იკვლევს ერის კულტურის ასახვისა და კონსოლიდაციის საკითხს ენაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლინგვოკულტუროლოგია ეხება მეცნიერებას როგორც კულტურის, ისე ენის შესახებ. იგი წარმოადგენს ცოდნის გარკვეულ ერთიანობას ერის ეროვნულ-კულტურული თავისებურებების შესახებ, რომლებიც ასახულია ენაში.

ლინგვოკულტუროლოგიის მიზანია იმ მეთოდების შესწავლა, რომელთა მეშვეობითაც ენა განსახიერდება თავის ერთეულებში. ეს ის ერთეულებია, რომლებიც ინახავენ და გადაცემენ თაობებს კულტურას. ლინგვოკულტუროლოგიის მთავარი ამოცანაა ენისა და კულტურის შესწავლა და აღწერა მათ ურთიერთქმედებაში. თელიას თანახმად, ლინგვოკულტუროლოგიის მიზანი ენისა და კულტურის, ენისა და ეთნოსის, ენისა და ეროვნული მენტალიტეტის ურთიერთმიმართების შესწავლა და აღწერაა.

ლინგვოკულტუროლოგიის მეთოდები მოიცავს ანალიტიკური ოპერაციებისა და პროცედურების კრებულს, რომელიც გამოიყენება ენისა და კულტურის ურთიერთქმედების ანალიზისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევისას შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამოსადეგი კონცეპტუალური, აღწერითი, კონტექსტუალური, ანალიტიკური, შედარებითი მეთოდებია.

ტექსტების, როგორც კულტურის ნამდვილი მცველების, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი - კვლევის განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნას ინტერპრეტაციული და ფსიქოლოგიური მეთოდები.

ლინგვოკულტუროლოგიის მთავარ კატეგორიად მიიჩნევა კონცეპტი, რომელიც განისაზღვრება როგორც ერთეული, რომელიც მიმართულია ენის, გონებისა და კულტურის კომპლექსური შესწავლისკენ.

ლინგვოკულტუროლოგიის მთავარი ობიექტი კულტურისა და ენის ურთიერთდაკავშირება და ურთიერთქმედებაა მისი ფუნქციონირების პროცესში. და რაც მთავარია, ლინგვოკულტუროლოგია განიხილავს ამ ურთიერთქმედებას, როგორც მთლიანობრივ სისტემას.

ერების არსებობის ეროვნული ფორმები, რომლებიც ფიქსირდება ენობრივი კომუნიკაციის სისტემაში და ემყარება მათ კულტურულ საკუთრებას, წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიის საგანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლინგვოკულტუროლოგიის საგანია მსოფლიოს ენობრივი სურათი.

როდესაც გაირკვა, რომ მეცნიერებაში ენის შესახებ კულტურის ადგილი აღარ იყო, სწორედ მაშინ დაიწყო ლინგვოკულტუროლოგიის ჩამოყალიბება.

ლინგვოკულტუროლოგიის წარმოშობა წარმოადგენს მე-19 და მე-20 საუკუნეების ფილოსოფიური და ლინგვისტური თეორიების განვითარების ბუნებრივ შედეგს. ბოლო ათწლეულში გამოიკა ამ დისციპლინისადმი მიძღვნილი რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით პოპულარულია მასლოვას კვლევა. მასლოვა გვთავაზობს მეთოდოლოგიურ საფუძველს და აღწერს ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის მიმდინარე ტენდენციებს. ავტორი ხაზს უსვამს ლინგვოკულტუროლოგიის ინტერდისციპლინარულ ხასიათს და განმარტავს მას როგორც „ლინგვისტიკის მიმართულებას, რომელიც ლინგვისტიკისა და კულტურული კვლევების შერწყმის ადგილას გაჩნდა“; როგორც „ჰუმანიტარული დისციპლინა, რომელიც ცოცხალ ეროვნულ ენაში ასახულ და ენობრივ პროცესებში ნაჩვენებ მატერიალურ და სულიერ კულტურას შეისწავლის“. მასლოვას თვალსაზრისით, ლინგვოკულტუროლოგია არის „ინტეგრირებული დისციპლინა, რომელიც

კულტურული მეცნიერებისა და ლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკისა და კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის შედეგებს აერთიანებს“ (მასლოვა, 2001.გვ. 9-30).

მასლოვას აზრით, ლინგვოკულტუროლოგიის მიზანს წარმოადგენს ლინგვისტური კონცეპტების ფორმირებაში კულტურის ჩართულობის კვლევა.

ლინგვოკულტუროლოგია მიჩნეულია ლინგვისტიკური კულტურის თეორიულ საფუძვლად. იგი განისაზღვრება როგორც სინთეზირებული ტიპის კომპლექსური მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს კულტურის ურთიერთმიმართებასა და ურთიერთქმედებას მისი ფუნქციონირებიდან გამომდინარე და ასახავს ამ პროცესს, როგორც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტურ შინაარსის ერთეულთა განუყოფელ სტრუქტურას. ლინგვოკულტუროლოგია თანამედროვე კულტურული პრიორიტეტების დამკვიდრებაზეა ორიენტირებული (მასლოვა, 2001, გვ.36–37). მეცნიერი მიიჩნევს ლინგვოკულტურას ლინგვოკულტურული ანალიზის მთავარ ერთეულად და განსაზღვრავს მას „როგორც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (კონცეპტუალური და ობიექტური) შინაარსის მქონე დიალექტიკურ ერთიანობად“.

კრასნიხის ნაშრომში „ეთნოფსიქოლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია“ ეს უკანასკნელი განმარტებულია როგორც „დისციპლინა, რომელიც შეისწავლის კულტურის გამოვლინებას, ასახვას და ფიქსაციას ენასა და დისკურსში; ის პირდაპირ დაკავშირებულია სამყაროს ეროვნული სურათთან, ლინგვისტურ ცნობიერებასთან. (Krasnykh/კრასნიხი, 2002, გვ.12). მეცნიერის აზრით, ენისა და დისკურსის ერთეული წარმოგვიდგება ლინგვოკულტუროლოგიის საგნად, რომელსაც კულტურულად მნიშვნელოვანი მოცემულობა გააჩნია. ამ „არხის“ საშუალებით შესაძლებელია ლინგვისტური კომპლექსის კულტურულ და ისტორიულ ფენაში შესვლა. ლინგვოკულტუროლოგია შექმნილია საიმისოდ, რომ ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით და მათი დახმარებით მოხდეს ენასა და დისკურსში ასახული კულტურის იდენტიფიკაცია. ყოველივე სარკისებურად აისახება ენაში. უძველესი წარმოდგენები შეესატყვისება კულტურულ არქეტიპებს, რომლებიც ენის პრიზმის მეშვეობით წარმოიქმნებიან.

კარასიკი ლინგვოკულტუროლოგიას მიიჩნევს „კულტურისა და ენის ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების შესახებ მეცნიერული ცოდნის კომპლექსურ დარგად“ და ხაზს უსვამს მის შედარებით ხასიათს (Karasik/კარასიკი, 2002, გვ. 103, 108, 121). ლინგვოკულტუროლოგიის მთავარ ერთეულად ის კულტურულ კონცეპტს მიიჩნევს და საკვლევ ერთეულებად, რეალიებს, სპეციფიკურ მახასიათებლებს, რაც მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის ადეკვატურ გაგებას ამ ხალხის კულტურის შესახებ“.

კარასიკი აყალიბებს რამოდენიმე მიზეზს, რომლის მიხედვითაც ლინგვოკულტუროლოგია განვითარების ზენიტში იმყოფება: გლობალიზაცია; სხვადასხვა ხალხის ქცევისა და კომუნიკაციის უნივერსალური და სპეციფიკური მახასიათებლების მხედველობაში მიღების აუცილებლობა; წინასწარ იმ სიტუაციების ცოდნა, სადაც კულტურათაშორისი გაუგებრობების ალბათობა მაღალია; კომუნიკაციური აქტივობის საფუძველზე დაყრდნობით კულტურული ფასეულობების განსაზღვრისა და ზუსტად აღნიშვნის მნიშვნელობა; ინტეგრაციული ტენდენციის არსებობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; ენის გააზრების აუცილებლობა კოლექტიური გამოცდილების კონცენტრირებული ასახვის საშუალებად.

შეიგალისა და ბურიაკოვსკაიას ნაშრომებში ლინგვოკულტუროლოგია განისაზღვრება დისციპლინად, რომელიც შეისწავლის „საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ სამყაროს კონცეპტუალური სურათის ინდივიდუალური ობიექტების გააზრებას და ობიექტური თვალსაზრისით ენის ასახვას, რომელთაგან ერთ-ერთი ეთნოსია (Sheigal&Buryakovskaya, შეიგალი&ბურიაკოვსკაია, 2002). ავტორები იკვლევენ ლინგვოკულტურულ პოტენციალს ეთნონიმებისას, რომლებიც წარმოადგენენ სტაბილური კომბინაციების ნაწილს.

ხროლენკო თავის ნაშრომში „ლინგვისტური კულტუროლოგიის საფუძვლები“ მეცნიერების მიზნად მიიჩნევს ეთნოლინგვისტიკისა და მასში შესული დისციპლინების მიერ აკუმულირებული ინფორმაციის განზოგადებას და ენასა და კულტურას შორის ურთიერთკავშირის მექანიზმების გამოვლენას. ავტორის აზრით, ლინგვისტური კულტურა ენისა და კულტურის ფილოსოფიად უნდა იქნას მიჩნეული. კვლევის საგანად ავტორი მიიჩნევს ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც, თავის მხრივ, დაკავშირებული არიან ენისა და კულტურის ტრანსფორმირებად მხარესთან. ენასა და მის ერთეულებში ასახული

ცვლილებები კულტურული დინამიკითაა განპირობებული, ისევე როგორც კულტურული მნიშვნელობების ენობრივი რეალიზებითაა წინასწარ განსაზღვრული კულტურის ფუნქციონირების ცვლილებები (Khrolenko/ხროლენკო, 2004, გვ. 31).

ლინგვისტური და კულტურული კვლევები ისწრაფვიან ლინგვისტურ-კულტურული ღირებულებების დასადგენად და შესანარჩუნებლად. ლინგვოკულტუროლოგია დაინტერესებულია ენისა და კულტურის, ორი ფუნდამენტური ფენომენის ურთიერთკავშირის მექანიზმების გამოვლენით, რაც განსაზღვრავს კიდეც ადამიანის ფენომენს.

ზოგადი ლინგვისტიკის მსგავსად, ლინგვოკულტუროლოგია მოწოდებულია ურთიერთდამოკიდებულების ყველაზე ზოგადი ნიმუშების, ადამიანისა და საზოგადოების ლინგვისტური და კულტურული ურთიერთკავშირის დასადგენად და აღსაწერად. ლინგვოკულტუროლოგია შეისწავლის ენისა და კულტურის ურთიერთქმედებას სისტემების სახით, რომლებიც განასახიერებენ და წარმოადგენენ ლინგვისტურ-კულტურულ ღირებულებებს.

სოციოლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკის, ენათმეცნიერებისა და კულტურის კვლევების შერწყმის შედეგად, ენისა და კულტურის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელოვნება შეიძინა გასული საუკუნის შუა პერიოდში. თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ეროვნული ცნობიერების ასახვა ენაში, კულტურული ობიექტების ვერბალიზაციის თავისებურებათა შესწავლა, ღირებული კულტურული კატეგორიების ობიექტივაცია სიტყვების ლექსიკურ მნიშვნელობებში. აღნიშნულ ამოცანათა მიმართებაში განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებას იძენს ლინგვოკულტურული ცნებები, მაგალითად, კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებული ენობრივი სიტუაცია.

ლინგვოკულტურული ცნებები მუდმივად ვითარდებიან. აქედან გამომდინარე, მათ ახასიათებთ სტაბილურობა და დინამიურობა, წარმოადგენენ გარკვეული ლინგვისტური კულტურის სტატიკურ პერიოდს, რაც ქმნის შემდგომ მსგავს პერიოდებს.

ლინგვოკულტურული სიტუაციის შესწავლისას მნიშვნელოვანია ლინგვოკულტურული ცნებების, ანუ მრავალშრიანი, მრავალგანზომილებიანი სტრუქტურების, იდეების, ემოციური, ისტორიული და ეტიმოლოგიური კომპონენტების გათვალისწინება.

როგორც სლიშკინი (2004, გვ. 80). აღნიშნავს: „რეალობის ყველა რეალურ ფენომენს არ ძალუძს კონცეპტის საფუძველის შექმნა; ეს მხოლოდ იმ ფენომენს ძალუძს, რომელიც შეფასების ობიექტი ხდება“, შესაბამისად, აქსიოლოგიური კომპონენტი კონცეპტის მნიშვნელოვანი კონსტიტუენტია. კონცეპტის კონოტაცია მხოლოდ დისკურსის ფართო კონტექსტში ხორციელდება, ვინაიდან მხოლოდ ამ პირობებში იძენენ ლექსიკური ერთეულები (რომლებიც, თავის მხრივ, კონცეპტის ვერბალიზაციას ახდენენ) მათი ლექსიკური მნიშვნელობების დამატებით - კონოტაციურ კომპონენტს. ლინგვოკულტურული კონცეპტის სპეციფიკა აიხსნება იმ ფაქტით, რომ იგი კულტურულ ობიექტად არის აღიარებული.

ლინგვოკულტურული სიტუაციის აღწერისას მნიშვნელოვანია ლინგვოკულტურული დეტალებისა და უნივერსალების ანალიზი. მხატვრული ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის არსს წარმოადგენს ლინგვისტური ერთეულების ანალიზი, რომლებიც ამ კონსტრუქტის ვერბალიზაციას ახდენენ.

ლინგვოკულტურული სიტუაციის აღწერის ერთ-ერთი მეთოდი ტექსტის კულტურული თემატური ველების მოდელირებაა. შაკლეინის (1997) მიერ შემოთავაზებული კულტურული და თემატური ველების მეთოდი ორგანულად გამომდინარებს ენობრივი ველის მეთოდიდან.

ველში შემავალი ელემენტები ერთმანეთთან იმყოფებიან სინტაგმატური, პარადიგმატული და ასოციაციურ ურთიერთობებში. კულტურული მნიშვნელობები ტექსტის კულტურულ თემატურ მიკროველებშია აქტუალიზებული.

ლინგვოკულტუროლოგიის სფეროში განხორციელებული კვლევები აქტუალურობას ინარჩუნებს: „სამეცნიერო მეთოდოლოგიური ლიტერატურის თეორიული ანალიზის საფუძველზე ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვოკულტუროლოგიის კონცეპტის შინაარსი ღიაა და შედეგად,

„ჩნდება ურთიერთქმედება კულტურასა და ლინგვოკულტურას შორის“ (Tokarev/ტოკარევი, 2015, გვ. 285).

ენობრივი სიტუაციის კონცეპტი ასოცირდება ენასთან ან ენებთან, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოების გარკვეულ სეგმენტებს კონკრეტულ ტერიტორიაზე. ეს კონცეპტი განვითარდა შვაიზერისა და ნიკოლსკის (1978) ნაშრომებში. მათ შემოგვთავაზეს ლინგვისტური სიტუაციის უფრო დეტალური განმარტება, რომლის თანახამადაც, ლინგვისტური სიტუაცია არის „სოციალურად, ფუნქციურად და იერარქიულად განაწილებული ლინგვისტური სისტემებისა და ქვესისტემების ერთობლიობები, რომლებიც თანაარსებობენ და ურთიერთქმედებენ მოცემულ ეთნიკურ საზოგადოებაში ან მოცემულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში და რომელთა მიმართაც იცავენ გარკვეულ სოციალურ დამოკიდებულებას შესაბამისი ლინგვისტური და ენობრივი კოლექტივების წევრები“ (Schweizer&Nikolsky/შვაიზერი&ნიკოლსკი, 1978, გვ. 145).

ვინოგრადოვის (1990) მიხედვით, ლინგვისტური სიტუაცია არის „ერთი ენის ან ენების არსებობის ფორმების (ისევე როგორც სტილების) ერთობლიობა განსაზღვრულ გეოგრაფიულ რეგიონებში ან ადმინისტრაციულ პოლიტიკურ ერთეულებში მათი ტერიტორიული და სოციალური ურთიერთმიმართებისა და ფუნქციონალური ურთიერთქმედების ფარგლებში“ (გვ. 57).

თანამედროვე ლინგვისტიკაში, ტერმინი „ლინგვისტური სიტუაცია“, როგორც წესი, გულისხმობს დიდ ენობრივ თემებს, მაგალითად ქვეყნებს, რეგიონებს. ლინგვისტური სიტუაცია ყველა ენობრივ ფორმირებას აერთიანებს (ენებსა და ენობრივ ვარიანტებს), რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციას კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფში ან პოლიეთნიკურ თემში კონკრეტული რეგიონის, პოლიტიკური და ტერიტორიული ერთეულის ან სახელმწიფოს საზღვრებში.

ლინგვოკულტუროლოგიის ასპექტები, განსაკუთრებით ლინგვისტური სიტუაცია, როგორც ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემა, მუდმივად განიხილებოდა ინგლისური ენის მასალაზე დაყრდნობით ამერიკის შეერთებულ შტატებში. კულტურულ ურთიერთქმედებაში ლინგვისტური ფენომენების აღსაწერად შემოთავაზებულია ტერმინი -

„ლინგვოკულტურული სიტუაცია“, რომელიც გაგებულია როგორც „ადამიანის სულიერი საქმიანობის მანიფესტაცია, ასევე სოციალურ-იდეოლოგიური და იდეოლოგიური პროცესები, რომლებიც ენაში პოულობენ ასახვას“. (Stepanov/სტეპანოვი, 1976).

წმინდა ლინგვისტური ფენომენების საზოგადოების კულტურასთან განუყოფელი კავშირის ხაზგასმამ დასაბამი მისცა ლინგვოკულტურული სიტუაციის ტერმინს. ეს ტერმინი, ისევე როგორც ლინგვოკულტურული სიტუაციის შესწავლის მეთოდოლოგია, შემოთავაზებულ იქნა შაკლეინის (1997) მიერ მის მონოგრაფიაში „ლინგვოკულტურული სიტუაცია და ტექსტის შესწავლა“. ტექსტი აღიარებულია ლინგვოკულტურული სიტუაციის შესასწავლ მასალად, ხოლო ანალიზის ობიექტურობის ხარისხი დამოკიდებულია მკვლევრის მიერ შესწავლილი ტექსტების რაოდენობაზე.

ლინგვოკულტურული სიტუაციის დახასიათებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

1. დროებითი: ლინგვოკულტურული სიტუაცია გაგებულია, როგორც მუდმივად ცვალებადი პროცესი, რომელიც წინა პერიოდების მიერ არის მომზადებული და ქმნის საფუძველს შემდგომი პერიოდებისთვის;
2. სტრუქტურული: ლინგვოკულტურული სიტუაცია შეიცავს სოციალური ფორმირებების, ენებისა და კულტურების გარკვეულ რაოდენობას.

აღნიშნული მახასიათებლის საშუალებით შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ ლინგვოკულტურული სიტუაციის შემდგომი განმარტება: „ლინგვო-კულტურული სიტუაცია დინამური და ტალღოვანი პროცესია, ენებსა და კულტურებს შორის არსებული ურთიერთქმედება ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ რეგიონებსა და სოციალურ გარემოში“ (Shaklein/შაკლეინი, 1997, გვ. 111). ლინგვოკულტურული სიტუაცია კომპლექსური ცნებაა - იგი აერთიანებს ენობრივ, კულტურულ, სოციალურ და ეთნიკურ სიტუაციას.

თითოეული ლინგვოკულტურული სიტუაციის არსს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ჯგუფური და ინდივიდუალურ მახასიათებლების კომპლექსი. მხატვრული ტექსტების ინდივიდუალური ენაც კი გარკვეულწილად ასახავს ლინგვოკულტურულ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, ლინგვოკულტურული სიტუაციის შესახებ ობიექტური ხედვის

მისაღებად აუცილებელია რაც შეიძლება მეტი მწერლის სხვადასხვა ტექსტის ჩართვა. შესაბამისად, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი რთულია, იგი მოიცავს ზოგად ფილოლოგიურ ანალიზს, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ენობრივი საშუალებების ჟანრული შეფასების ტექნიკისა და ტექსტის იდეოლოგიური შინაარსის ანალიზისგან. რაც შეეხება კონცეპტუალურ ანალიზს, იგი ენობრივი მსოფლმხედველობის კონკრეტული ფრაგმენტის შექმნას ისახავს მიზნად.

ლინგვოკულტურული სიტუაციის ადეკვატურად აღსაწერად უნდა გაანალიზდეს ტექსტის კომპოზიციური, იდეოლოგიური და თემატური დონეები; მაგრამ მთავარია „ტექსტის სტრუქტურის გათვალისწინება მისი დეტალების თვალსაზრისით, რომლებიც ქმნიან ენობრივი კულტურული უნივერსალიების ლექსიკურ საფუძველს ტექსტის შექმნის დროისთვის“ (შაკლინი, 1997, გვ. 98). ასეთი ლექსიკური ელემენტები, როგორც წესი, ტექსტში ინტენსიურად გვხვდებიან და განსაზღვრავენ მის სემანტიკურ სიმდიდრეს. ისინი მიკრო და მაკრო კონტექსტში გვხვდება.

ლინგვოკულტურული უნივერსალიების გარდა, ლინგვოკულტურულ ტექსტებში შეიძლება იკვეთება სინგულარული ლინგვოკულტურული დეტალები.

თითოეული ლინგვო-კულტურული დეტალის მნიშვნელობა განისაზღვრება მასში მოცემული დროის ან ისტორიული ეპოქის ნიშნების რაოდენობით, მაგრამ ეს არ არის დამოკიდებული მეტყველების სემანტიკის მოცულობაზე, რომლითაც ის გამოხატულია (სიტყვა, ფრაზა, წინადადება ან მეტყველების უფრო დიდი სემანტი). ეს ლინგვოკულტურული დეტალები სხვადასხვა გზით ქმნიან ეპოქის ვიზუალურ გამოსახულებას. მნიშვნელოვანი ლინგვოკულტურული დეტალებით უფრო სტაბილური ვიზუალური გამოსახულება იქმნება, ხოლო ფიგურული ლინგვოკულტურული დეტალები ახდენენ აბსტრაქტული ხარისხის რეალიზაციას, რომელიც დაკავშირებულია ვიზუალურ გამოსახულებასთან.

სტეპანოვის თანახმად, კონცეპტის ლინგვისტური და კულტურული კომპონენტები უნდა იქნას გააზრებული ფილოსოფიასთან, კულტურასა და საზოგადოებასთან ურთიერთმიმართებაში. კონცეპტის ლინგვოკულტურული გაგება, პირველ რიგში, იმით

გამოირჩევა, რომ იგი კულტურულ ობიექტად არის აღიარებული. როგორც სტეპანოვი (2001) განმარტავს, ლინგოკულტურული კონცეპტი არის „კულტურის ნაწილი ადამიანის გონებაში“ (გვ. 732). ლინგოკულტურული კონცეპტი წარმოადგენს მრავალშრიან, მრავალგანზომილებიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს იდეებს, ემოციურ, ისტორიულ და ეტიმოლოგიურ კომპონენტებს, რომლებიც ობიექტურობითა და ისტორიული პირობითობით ხასიათდებიან (Tokarev/ტოკარევი, 2015). ყველა ზემოხსენებული განმარტება მიუთითებს კონცეპტის ორ - გამოხატვისა და შინაარსის - კომპონენტზე.

ლინგოკულტურული კონცეპტის დეტალური აღწერა წარმოდგენილია სლიშკინის მიერ (2004). მეცნიერი აღნიშნავს კონცეპტის ძირითად მახასიათებლებს: „კომპლექსურობა ენაში, ცნობიერებასა და კულტურაში, ფსიქიკურ ბუნებაში, განპირობებულობა მოსაუბრის ცნობიერებით, ღირებულება, პირობითობა და ბუნდოვანება, შემეცნებითი და განზოგადებული ორიენტაცია, ცვალებადობა, საგნობრივი პოტენციალი და ტექსტური განხორციელებადობა (სლიშკინი, 2004, გვ. 78). ამავდროულად, მნიშვნელოვანი განსხვავება ლინგოკულტურულ და სხვა ტიპის კონცეპტებს შორის მდგომარეობს მის ლოკალიზაციაში ცნობიერებაში და არა ლოკალიზაციაში ერთდროულად ცნობიერებასა და ენაში, ისევე როგორც ლოგო-ეპისტემოლოგიაში, ლინგოკულტურასა და კულტურაში. ამავდროულად, ლინგოკულტურული კონცეპტი განსხვავდება სხვა მენტალური ერთეულებისგან (ფრეიმი, სკრიპტი, სტერეოტიპი, ა.შ), რადგან გარკვეული მნიშვნელობა ყოველთვის ცენტრშია მოქცეული. ამრიგად, კონცეპტი „ეკუთვნის ცნობიერებას, განისაზღვრება კულტურით და ობიექტიზირებულია ენაში“ (სლიშკინი, 2004, გვ. 83).

კონცეპტის შინაარსის თვალსაზრისით, იკვეთება კონცეპტების მახასიათებელთა არაერთგვაროვნება. კარასიკი (2005) განსაზღვრავს მახასიათებლების შემდეგ ჯგუფებს კონცეპტის სტრუქტურაში: 1) კონცეპტუალური და არსებითი (ლექსიკონიზე დაფუძნებული განმარტებები), 2) ასოციაციური ფორმის (განისაზღვრება ლექსიკური თავსებადობით, მეტაფორული ხმარებით, ფრაზეოლოგიური ერთეულებით); 3) შეფასებითი და ქცევითი ნიშნები, ან აქსიოლოგიური კომპონენტი. მეორე და მესამე ჯგუფების ნიშნები წარმოადგენს კონცეპტის სტრუქტურის პერიფერიას.

კონცეპტის სტრუქტურა ორგანიზებულია ეთნო-სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით, რაც ყველაზე ნათლად იკვეთება შედარებით ლინგვოკულტურულ კვლევებში. კონცეპტის ლინგვოკულტურული სპეციფიკა მდგომარეობს სხვადასხვა ლინგვისტურ კულტურაში მისი ლინგვისტური წარმოდგენის სხვადასხვა საშუალებებში, ამ წარმოდგენის დეტალიზაციის ან განზოგადების ხარისხში, კონცეპტის წარმოსახვით და ფიგურალურ შინაარსში და ა.შ.

კონცეპტის სტრუქტურის გარდა, ლინგვოკულტუროლოგია იკვლევს ლინგვოკულტურული ცნებების შესწავლისა და აღწერის მეთოდებს.

ტოკარევი (2015) გვთავაზობს კონცეპტების ლინგვოკულტურული ანალიზის განსაკუთრებულ მეთოდს: 1. კონცეპტის ტაქსონომიური მოდელირება; 2. იდეოსფეროში კონცეპტის ადგილის განსაზღვრა, მისი სხვა კონცეპტებთან კავშირების იდენტიფიცირება; 3. არტეფაქტების, მენტალური ფაქტების, მითების, სტერეოტიპების, კულტურული დამოკიდებულებების, იდეოლოგიების, სიმბოლოების, სტანდარტების განმარტება, ამ კონცეპტის წარმოდგენა კულტურის ნიშანთა სისტემაში, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მონაცემებში. 4. კონცეპტის ლინგვისტური რეპრეზენტაციის საშუალებებათა დადგენა. 5. კულტურული კონოტაციების შესწავლა: ფიგურალური საფუძველი, ნომინაციის სფეროები, სემანტიკური სტრუქტურების ისტორიული დინამიკა, საკვანძო სიტყვები, პარადიგმატული და სინტაგმატური ურთიერთობები, კვაზი – მოდელები. 6. კონცეპტის დისკურსული შესწავლა.

გამოყენებითი ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისთვის შემდეგი მეთოდოლოგიაა შემოთავაზებული: 1) სრული ანალიზი იმ ენობრივი ერთეულებისა, რომლებიც ახდენენ კონკრეტული კონცეპტის ან ლინგვისტური კულტურის რეალიზებას; 2) ამ ერთეულების პარამეტრიზაცია; 3) კონცეპტუალური ჩარჩოს კონსტრუირება; 4) საბაზისო ერთეულის იდენტიფიცირება და მისი კორელაცია კულტურულ სტერეოტიპთან (კარასიკი, 2002).

მეცნიერები სხვადასხვა ტიპის კონცეპტებს აღწერენ. მაგალითად, კარასიკი (2002) ლინგვოკულტურულ კონცეპტებს ყოფს პარამეტრულ (სივრცე, დრო, ა.შ.) და არაპარამეტრულ (ბედნიერება, მოგზაურობა, საჩუქარი, ჯანმრთელობა, ა.შ.) კონცეპტებად.

კონცეპტები გვევლინებიან ყოვლისმომცველ, კომპლექსურ ერთეულებად, რომლებიც მოთავსებულია ცნობიერების სფეროში, მაგრამ ვერბალიზდებიან ლინგვისტური საშუალებებით. კონცეპტის სტრუქტურაში წარმოდგენილია აზრობრივი, ფიგურალური და აქსიოლოგიური კომპონენტები. აზრობრივი კომპონენტი განთავსებულია კონცეპტის ბირთვულ ზონაში, ხოლო ფიგურალური და აქსიოლოგიური კომპონენტები კი - კონცეპტის პერიფერიულ ზონაში. კონცეპტის სტრუქტურაზე დისკურსის მახასიათებლები ახდენენ გავლენას.

ამრიგად, ლინგვოკულტურული ანალიზის მიზანი უნდა იყოს „ლინგვო-კულტურული უნივერსალიების უნიკალურობის დადგენა, ტექსტის კულტურული ღირებულებისა და ლინგვოკულტურულ სიტუაციაში ასახული უნიკალურობის გაგება“ (შაკლეინი, 1997, გვ. 56). ლინგვოკულტურული სიტუაციის აღწერისას ყველაზე მნიშვნელოვან როლს ლინგვოკულტურული დეტალები და უნივერსალიები თამაშობენ.

ლინგვოკულტურული სიტუაცია გარკვეული ლინგვოკულტურის სტატიკური დროის ნიმუშია, რომელსაც ახასიათებს დროებითი ფაქტორი. იგი რამდენიმე კულტურასა და ენას აერთიანებს. იგი შეისწავლება ტექსტუალურ მასალაზე დაყრდნობით და მისი შეფასების ობიექტურობა დამოკიდებულია ამ ტექსტების რაოდენობაზე. ტექსტების ანალიზი ლინგვოკულტურული ანალიზის საფუძველზე გულისხმობს ლინგვისტური ფრაგმენტების დახასიათებას, რომლებიც ახდენენ ლინგვოკულტურული უნივერსალიების, ლინგვოკულტურული დეტალებისა და ლინგვოკულტურული კონცეპტების რეალიზებას.

ლინგვოკულტურული კონცეპტი, მის ცენტრში მოთავსებული გარკვეული ღირებულებით, განსხვავდება სხვა მენტალური ერთეულებისგან. ის წარმოადგენს ცნობიერების ერთეულს, განსაზღვრულია კულტურით და გამოხატულია ენობრივი ერთეულების საშუალებით.

ლინგვოკულტურული კონცეპტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტი აქსიოლოგიურია, რომელიც სხვადასხვა ტიპის შეფასებების მატარებელად გვევლინება.

კვლევის მოცემული სეგმენტი ეძღვნება კონცეპტის „ომი“ ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას თანამედროვე ინგლისური ენის მასალაზე.

ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დომინანტად იქცა ენის, კულტურისა და სუბიექტის მიმართების კვლევა. ენა წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს ასახვის ფორმას და სამყაროს შესახებ ცოდნის მოპოვების საშუალებას.

ადამიანსა და სამყაროს შორის არსებული მიმართება ფიქსირდება ცნობიერებაში ცნებების, ხატებისა და ქცევის მოდელების სახით. აღნიშნული მიმართების კვლევა პასუხობს თანამედროვე ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნა კი გულისხმობს ენობრივი ერთეულის კულტურული ნიშნადობის ექსპლიცირებას ენობრივი ერთეულისა და კულტურული კოდის მიმართების ანალიზის საფუძველზე.

ლინგვოკულტუროლოგიის წარმოშობა უკავშირდება ანთროპოლოგიაზე ორიენტირებული ლინგვისტიკისა და ლინგვოკუმანტარული პარადიგმის განვითარებას.

ლინგვოკულტუროლოგიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ორი ნიშნობრივი სისტემა - ენა და კულტურა, მიზანს კი - ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენელთა კულტურულ-ენობრივი კომპეტენციისა და მენტალიტეტის ანალიზი. სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს ენის კულტურული სემანტიკის კვლევის პრიორიტეტულობას, თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

ომის ფენომენს გააჩნია უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელოვნება. აღნიშნულ ფენომენს ეძღვნება კვლევები ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და პოლიტოლოგიის სფეროებში. რაც შეეხება ომის ფენომენს ლინგვისტიკაში, აქ ანალიზი საკმაოდ ზედაპირულია და შემოიფარგლება მხოლოდ ენობრივ ერთეულთა დესკრიფციით.

ჩვენი კვლევისათვის ფუძემდებელი დებულებები შემდეგნაირად ჟღერს:

1. სამყაროს ხედვის თავისებურება ასახულია ენის მატარებელთა კოლექტიურ ცნობიერებასა და კომუნიკაციურ ქმედებაში (И.А. Бодуэн де Куртэнэ, Й. Вайсгербер, А. Вежбицкая, Л. Витгенштейн, В. Гумбольдт);
2. სამყაროს ხატის საფუძველს წარმოადგენს კონცეპტები - მენტალური წარმონაქმნები, რომლებიც ენობრივად ობიექტივირებულია;

3. ლინგვოკულტურის ძირითად ერთეულს წარმოადგენს კულტურული კონცეპტი, რომლის კვლევაც ხორციელდება კონცეპტის როგორც ენობრივი რეალიზაციის საშუალებების, ისე ფრეიმული ანალიზის მეშვეობით.

ცნებამ „სამყაროს ენობრივი ხატი“ განაპირობა ლ. ვასიგერბერის ლინგვოფილოსოფიური კონცეფციის თავისებურება, რომლის თანახმადაც, სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს სულიერ და ენობრივ შინაარსთა სისტემას. აღნიშნული სისტემა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ენობრივი სოციუმის კულტურისა და მენტალიტეტის თავისებურებას, მეორე მხრივ კი, განაპირობებს თავად ენის არსებობასა და ფუნქციონირებას.

ლ. ვასიგერბერის მიიჩნევს, რომ სამყაროს ენობრივი ხატი მკაფიოდ სტრუქტურირებული და მრავალგადონიანია ენობრივი გამოხატულების თვალსაზრისით. იგი ცვლადია დროში და განვითარებადია ისევე, როგორ ყველა ცოცხალი ორგანიზმი.

პირველად ტერმინი „სამყაროს ხატი“ გამოჩნდა ლ. ვასიგერბერის ფილოლოსოფიისა და ლოგიკის სფეროებში შექმნილ ნაშრომებში. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ტერმინის გამოყენება იმ სხვა მეცნიერებებშიც, რომელთა კვლევის ცენტრსაც წარმოადგენდა ადამიანის სამყაროსთან მიმართების სპეციფიკა.

თანამედროვე ლინგვისტიკი სამყაროს ხატს განიხილავენ იდეალურ წარმონაქმნად, რომელიც შედგება სტრუქტურულად ორგანიზებული კომპონენტებისაგან, ასრულებს კონკრეტულ ფუნქციებს და ვითარდება კანონზომიერად.

კვლევა ეფუძნება სამყაროს ენობრივი ხატის შემდეგ განმარტებას: სამყაროს ენობრივი ხატი წარმოადგენს კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცნობიერებაში არსებული და ენაში გამოხატული ცნებების, სტრეოტიპებისა და სიმბოლოების ერთობლიობას. აღნიშნული ერთობლიობა წარმოადგენს კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ცნებების სახით ფიქსირებულ ცოდნას სამყაროს შესახებ.

თანამედროვე ლინგვისტიკა ხასიათდება კონცეპტის არსის ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნებით. საბედნიეროდ, ამ მრავალფეროვნებაში იკვეთება „საერთო მნიშვნელი“,

რომლის ვერბალიზაცია შესაძლებელია შემდეგი სახით: ყველა მიდგომაში აქცენტირებულია კონცეპტში არსებული კულტურული ინფორმაციის მნიშვნელოვნება.

კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც კონცეპტი ინტერპრეტირდება როგორც კულტურული ფენომენის არსებობის ფორმა.

კონკრეტული კვლევის ფარგლებში კონცეპტი გააზრებულია როგორც კოლექტიური ცნობიერებისა და სულიერი ღირებულების ერთეული, რომელსაც გააჩნია ენობრივ გამოხატულება და აღბეჭდილია ეთნოკულტურული სპეციფიკით.

კონცეპტს შეიძლება გააჩნდეს ან არც გააჩნდეს ენობრივი ობიექტივაცია. ენობრივი ობიექტივაციის არსებობა მიუთითებს ენობრივ კოლექტივის ცნობიერებაში კონცეპტის აქტუალობაზე.

კონფლიქტის, ომებისა და დაპირისპირების თემას ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი ადამინის ცნობიერებაში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მთელი კაცობრიობის ისტორია, ისევე როგორც კონკრეტულ ცივილიზაციათა ისტორიაც ომების ისტორიაა.

კვლევის მოცემული სეგმენტი წარმოადგენს კონცეპტის „ომი“ ლინგვოფილოსოფიური ასპექტის განხილვის მცდელობას. ყველაზე ხშირ შემთხვევაში კონცეპტი „ომი“ წარმოდგენილია აბსტრაქტული სახელით, როემლიც ხასიათდება მრავალსახეობითა და ექსტენსიონალის არაერთგვაროვნებით. მის უკან დგას ენობრივ ობიექტივატორთა შემდეგი რიგები:

1. არსებით სახელები (ომი, მშვიდობა, გამარჯვება, დამარცხება, მეომარი, ბრძოლა);
2. ზედსართავი სახელები (მებრძოლი, მტრული, მშვიდობიანი, სასიკვდილო);
3. ზმნები (ომობდე, იბრძოდე, გაიმარჯვო, დამარცხდე, მოკვდე, გადარჩე).

საკვლევი კონცეპტის რეალიზებისას იკვეთება ობიექტივატორთა მრავალფეროვნება და კონცეპტის მნიშვნელოვნება სამყაროს ენობრივ ხატში, რომელშიც ფიქსირდება ლექსემებით

წარმოდგენილი უნივერსალური ბინარული ოპოზიციები: “war – peace” (“ომი - მშვიდობა”), “evil – good” („ბოროტება - სიკეთე“), “death – life” (სიკვდილი - სიცოცხლე).

კონცეპტის აღნიშვნა რეალობის კონკრეტული ფრაგმენტისათვის სპეციალური ნიშნის მინიჭებას გულისხმობს. კონკრეტული კვლევის ფარგლებში გამოიყო კონკრეტული თვისებები და პროცესები, რომელთაც მიენიჭათ სახელები: to wage war on smb - გააჩაღო ომი ვინმესთან (A knife maniac vowed to wage war on the police, then stabbed an officer to death, a court heard yesterday) (Longman Idioms Dictionary), a war of words - სიტყვებით ომი (The war of words between the US and Canada over acid rain reached new heights last week. University and union officials clashed in a bitter war of words yesterday, as lecturers stayed a one-day strike in protest against the dismissal of a senior lecturer) (Longman Idioms Dictionary), a battle of nerves - ნერვების ომი (Mother and daughter stared at each other and Kate realized it was now a battle of nerves between them) (Longman Idioms Dictionary), war path - ომის ბილიკი (He is on the warpath again - this time it is about the state of education in California) (Longman Idioms Dictionary), to be in the wars - გადაიტანო ბევრი განსაცდელი (Poor thing, you' ve really been in the wars today, haven' t you? Take off these wet clothes and let me get you a cup of tea) (Longman Idioms Dictionary).

ნაშრომში კონცეპტი „ომი“ - მრავალგანზომილებიანი ფენომენი - მოდელირებულია ფრეიმის სახით, რაც გულისხმობს ადამიანის ცნობიერებაში ფიქსირებული ცოდნის (მენტალური რეპრეზენტაციების) „გაზომვას“ და აღწერას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საკვლევ კონცეპტს შეესაბამება საკმაოდ რთული და მრავალდონიანი სემანტიკური ფრეიმი. სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენილია ომთან ასოცირებული ცნებებით: კონფლიქტი, ბრძოლა, წინააღმდეგობა, საომარი მოქმედებები, ომი და მისი სახეობები, ომში მონაწილე ადამიანთა ურთიერთობები, ომის შედეგები.

სიტყვის სენატიკაში ნიშანი „ომი“ შეიძლება გამოხატული იყოს დამოუკიდებლად (war - ომი, warrior - მეომარი, warlike - მებრძოლი) ან კომბინატორულად (to break out). ლექსიკური მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია კომბინატორული ნიშანი. სწორედ ამიტომ დაედო იგი საფუძვლად კონცეპტის „ომი“ სემანტიკურ ფრეიმს.

მასალის ანალიზმა ცხადყო შემდეგი:

1. ომის ნიშანი კონკრეტდება შემდეგი მიმართულებით: „მშვიდობიანი არსებობის დარღვევა მოულოდნელად, უცბად“;
2. გამოვლენილია კონცეპტის „ომი“ კავშირები სხვა კონცეპტებთან, მაგალითად კონცეპტთან „კონფლიქტი“;
3. აღნიშნულ კონცეპტთა კავშირში იკვეთება შემდეგი ასოციაციები: წინააღმდეგობა, შეტაკება, შეიარაღებული ბრძოლა როგორც უთანხმოების მოგვარების საშუალება იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობა;
4. ლექსიკოგრაფიულ წყაროებში იდენტიფიცირებული ასოციაციები წარმოდგენილია შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: war, warfare (ომი); clash (შეტაკება); confrontation (კონფრონტაცია); combat (ბრძოლა); hostilities (საომარი მოქმედებები); collision (ინტერესთა კონფლიქტი); discord (მტრობა); fight (ბრძოლა); battle (ბრძოლა).
5. საკვლევ ენაში ფიქსირდება წინააღმდეგობის, ბრძოლისა და კონფრონტაციის გამომხატველ ზმნათა საკმაოდ დიდი რაოდენობა: be at war (იმყოფებოდე საომარ მდგომარეობაში); fight (აწარმოებდე საომარ მოქმედებებს); wage (war) (დაიწყო ომი); war (ომობდე); declare (war) (გამოაცხადო ომი); conflict, be in conflict (იყო კონფლიქტში); oppose (ეწინააღმდეგებოდე); do battle (იბრძოდე); quarrel (ჩხუბობდე);
6. ველის „ომის სახეობა“ სპეციფიკას განსაზღვრავს ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროებში ომის სახეობის ნიშნავისათვის: ideological war (იდეოლოგიური ომი); civil war (სამოქალაქო ომი), world war (მსოფლიო ომი), cold war (ცივი ომი), colonial war (კოლონიალური ომი), chemical war (ქიმიური ომი), aerial war (საჰაერო ომი), just war (სამართლიანი ომი), war of liberation (განმათავისუფლებელი ომი), nuclear war (ბირთვული ომი);
7. საკვლევ ენაში კონცეპტი „ომი“ წარმოადგენს საკუთარი სახელების შემადგენელ ელემენტს: Wars of the Roses (ვარდების ომი), War of Independence (ომი დამოუკიდებლობისათვის), First World War (პირველი მსოფლიო ომი), Second World War (მეორე მსოფლიო ომი);

8. უარყოფითი შეფასება ფიქსირდება ფრაზეოლოგიზმებში, რომლებიც აღნიშნავენ შემდეგ ქმედებებს: to take it lying down (დანებდე ბრძოლის გარეშე), to meet one's Waterloo, to lose the day, to draw a blank, to come off second-best, to fail through (წააგო, დამარცხდე), to be a foot in both camps, to change one's coat, to sell the pass, to stab smb in the back (უღალატო), to save one's skin, to be in a flat spin, to take to one's heels, to show a clear pair of heels, to turn tail, to save one's ass (გამოვლინო სიმბდალე), to cut and run (იყო დეზერტირი), to flex one's muscles, to hold a gun to smb's head, to give smb both barrels, to rattle one's saber, to keep one's flag flying (ემუქრებოდე აგრესიით), to sow the dragon's teeth, to be on the war-path (თესავდე უთანხმოებას, იწვევდე ომს), to be at daggers drawn (მტრობდე), to put to the sword, to put to death (კლავდე), to play Russian roulette, to put all one's eggs in one basket, to sign one's death warrant, to play with fire (მიდიოდე გაუმართლებელ რისკზე), to butt in, to have a finger in the pie (ერეოდე სხვის საქმეებში), to let the cat out of the bag, to put one's cards on the table (გასცე საიდუმლო), to trail one's coat, to come to blows, to be armed to the teeth (იყო საომრად განწყობილი);
9. დადებითი შეფასება ფიქსირდება შემდეგი ტიპის ქმედებებთან მიმართებაში: a tough cookie, , to fight like a lion, to be spoiling for a fight = храбро рваться в бой, as tough as nails (სიმამაცე); to fight to the death, to fight tooth and nail (თავგანწირვა); to pull oneself together, to keep cool, to screw up one's courage (გამძლეობა, გამბედაობა), to dice with death, to risk life and limb (გარისკვა მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მიზნით), to raise hell about war, to beat swords into ploughshares (სამშვიდობო კურსის მხარდაჭერა), to keep one's nose out of smth (სხვის საქმეებში ჩაურევლობა);
10. საკვლევ ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ფიქსირდება ზმნები, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა დამოკიდებულებას ომის მიმართ: to ban all nuclear tests (ბირთვული იაღარის გამოცდის აკრძალვა), to pursue a policy of peace (აწარმოებდე მშვიდობის პოლიტიკას), peacemaker, peacekeeper (მშვიდობისმყოფელი), warmonger (ომის გამჩაღებელი);
11. გამოიყო მოდელები, რომლებიც საფუძვლად დაედო კონცეპტის „ომი“ მეტაფორულ რეპრეზენტაციას: სივრცითი მოდელი: to be at close quarters (იმყოფებოდე მოწინააღმდეგესთან ძალიან ახლოს), to be in the van (იყო ავანგარდში), to go west (მოკვდე), to sit on the fence (ინარჩუნებდე ნეიტრალიტეტს); ადამიანის მიერ სივრცის

აღქმის მოდელი: to give the cold shoulder (იგნორირება), to turn the heat up on smb (ზეწოლის ზრდა ვინმეზე); ადამიანის სხეულის ფიზიკური შეგრძნების მოდელი: hot war (ცხელი ომი), to blow hot and cold (გეკავოს ორმაგი პოზიცია), to fight hand to hand (იყო ხელჩართულ ომში); ნადირობასთან ასოცირებული მოდელი: to be on smb's track, to follow smb like a dog, (კვალდაკვალ მიყვებოდე მოწინაარმდეგეს), to cover smb's tracks (შლიდე კვალს); ცხოველებთან ასოცირებული მოდელი: to fight like Kilkenny cats (იბრძოდე გაბედულად), as brave as a lion (ლომით მამაცი), which way the cat jumps (ელოდებოდე მოვლენათა განვითარებას).

ანადაზების, კლიშეების, აფორიზმებისა და სენტენციების ანალიზმა ცხადყო შემდეგი:

1. უარყოფითი შეფასება ფიქსირდება შემდეგ ერთეულებში: Do not put your hand between the bark and the tree; every fool will be meddling (სხვის საქმეში ჩარევა), War makes thieves, and peace hangs them, Wars bring scars, War is death's feast (მტრობა, აგრესიულობა, სისასტიკე), Cowards are cruel, Cowardly is unlucky, If he is a coward, he is a murderer (სიმხდალე);
2. დადებითი შეფასება ფიქსირდება შემდეგ ერთეულებში: Live and let live, Judge not and you won't be judged (სხვის საქმეებში ჩაურევლობა), Good fences make good neighbours, A man's home is his castle (სხვისი ტერიტორიის საზღვრების დაცვა), Bold as a lion, Courage favors the brave, Nothing venture, nothing have, Grasp a nettle hard and it will not sting you, A bold heart is half the battle (სიმამაცე).

მეტაფორული მოდელების გამოვლენის მიზნით ნაშრომში განხორციელდა ერაყის ომთან დაკავშირებული სტატიების ანალიზი. ანალიზმა კი ცხადყო შემდეგი:

1. ერთ-ერთ დომინანტურ მეტაფორულ მოდელს წარმოადგენს „ომი ეკონომიკური ოპერაცია“. აღნიშნული მოდელის მნიშვნელობის დომინანტურ კომპონენტს წარმოადგენს მოგებისა და ზარალის - ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორის შედარება: “Some diplomats ... have viewed the differences between Washington and European adversaries on the Security Council and found plenty of room for a bargain” (“New element in Iraq's mix” /New York Times, 01.03.03.). “Why would we want to grant them influence over the

- terms, the powers, the duration of an occupation bought at the price of American and British blood?” (“Don’t go back to the U.N.” /Washington Post, 21.03.03.);
2. მეტაფორული მოდელი „ომი გზაა“ წარმოდგენილია იმ ერთეულებით, რომლებიც ასახავენ ცვლილებებს ერაცის ომის მიმდინარეობაში. აღნიშნული კონცეპტუალური მეტაფორისათვის დამახასიათებელია მკაცრი საზღვრების არარსებობა, სინკრეტულობა: “Is the crisis over Iraq simply one of those periodic bouts of transatlantic turbulence or does it signal a genuine parting of the ways?” (“From Mars to Venus via the Atlantic” / Financial Times, 16.03.03). “A long, winding road to a diplomatic dead end” (title / New York Times, 17.03.03). მაგალითებში ფიქსირდება ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ წარმოჭრილი სირთულეების გადალახვის სირთულეს: parting of the ways, a long winding road, dead-end;
 3. პოლიტიკურ დისკურსში ომი კონცეპტუალიზირდება როგორც მატარებელი: “...The engine of the train is definitely moving...” (“US says Iraq missile cut will not suffice” / The Boston Globe, 23.02.03.);
 4. პოლიტიკის სფეროს გააზრება ხდება მეტაფორული მოდელის „ომი შეჯიბრია“ მეშვეობით;
 5. საკვლევ ენაში ფიქსირდება პოლიტიკური და სპორტული დისკურსის კავშირი. დისკურსის აღნიშნული ტიპების შეხების წერტილს წარმოადგენს მოწინააღმდეგეთა, საომარ მოქმედებათა მონაწილებს შორის შეჯიბრი: “We are on the same team. We have the same goal”. (“A pitch for Americans” / Washington Post, 24.02.03.). გამოიყენება სპორტული დისკურსისათვის რელევანტური ერთეულები: muscles (კუნთები), goal (გოლი), pitch (საფეხბურთო მოედანი), start (სტარტი), team (გუნდი);
 6. საკვლევ ენაში ფიქსირდება შემდეგი მეტაფორული მოდელები: „ომი ჭადრაკის თამაშია“ და „ომი აზართული თამაშია“: “It’s time for people to show their cards and let people know where they stand...” (“Bush: We will go to war against Iraq without UN / Independent, 07.03.03.);
 7. მეტაფორული მოდელი „ომი თეატრია“ წარმოდგენილია მეტაფორათა საკმაოდ მრავალფეროვანი რეპერტუარით: ომისათვის მზადება განიხილება სპექტაკლისათვის სცენის მომზადებად, სცენარის დაწერა და როლების განაწილება მსახიობებისათვის.

ისევე როგორც ნებისმიერ შოუს, ომსაც ჰყავს თავისი სცენარისტები, დამდგმელები და მაყურებელი, რომელიც თვალს ადევნებს მოვლენათა განვითარებას: "...setting the stage for military action..." ("US says Iraq missile cut will not suffice" / The Boston Globe, 23/02/03/).

გამოიყენება შემდეგი ერთეულები: set the stage, play a role, the public, applause;

8. მოდელის „ომი ცხოვლეთა სამყაროა“ რეპრეზენტაციისათვის გამოიყენება ზოომორფული მეტაფორები, რომლებშიც იკვეთება სისასტიკე და აგრესიულობა. შესაბამისად, მოცემულ მოდელში ჭარბობს მტაცებელი ცხოველებისათვის დამახასიათებელი ქცევის აღმნიშვნელი ერთეულები: "...Pentagon left open the possibility that a missile or bomb had gone astray" ("Iraq: 350 civilians killed so far" / Guardian, 27.03.03"), 17 "...an exploratory column of tanks nibbles at the edges of the city..." ("They had cannon, rockets and faith. But next time the US tanks come it won't be enough" / Guardian, 07.04.03.);
9. მოდელის „ომის დასრულება მეზღვრება“ რეპრეზენტაციისათვის გამოიყენება „მცენარეთა სამყაროსათვის“ რელევანტური მეტაფორები: "US commanders are also said to have instructed their troops to adopt tougher tactics to weed out militiamen" ("Strains of war test the allies" / The times, 02.04.03.);
10. საკვლევ ენაში ფიქსირდება მოდელი „ომი გაკვეთილია“: "In many ways we are learning as we go..." ("Under new management: Garner plan will divide the country into three zones" / Independent, 10.04.03.);
11. საგაზეთო სტატიებში საკმაოდ ხშირად ფიქსირდება მოდელები „ომი სასჯელია ჩედენილი დანაშაულისათვის“, „ომი ნგრევა“, „ომი სტიქიური უბედურება“: "...at least four waves of air strikes hit the city center..." ("Fresh explosions rock Baghdad" / Guardian, 27.03.03. "As the military campaign winds down..." ("Resisting superpowerful temptations" / Washington Post, 09.04.03.);
12. მოდელის „ომის დასრულება შენება და შეკეთება“ რეპრეზენტაციისათვის საგაზეთო სტატიებში ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი ერთეულები: nation-builders, the task of rebuilding the rule of law, they must restore, cleanse, "Race for order in Iraq" (Christian Science Monitor, 24.04.03).

ლინგვოკულტურული კონცეპტის „ომი“ შინაარსი მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორცაა:

კონცეპტის საგნობრივ-ხატობრივი მხარე - ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი

მხარეები და კონცეპტის ცნებობრივი მხარე - ომისა და საომარ მოქმედებებში მონაწილეთა ქცევის აღმნიშვნელ ენობრივ ერთეულთა მახასიათებლები, კონცეპტის ღირებულებითი მხარე - საზოგადოებაში აღიარებული ქცევის ექსპლიციტური და იმპლიციტური ნორმები.

4.3. ენობრივი მონაცემებიდან კოგნიტურ მონაცემებამდე

კონცეპტის ადეკვატური მოდელირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ენობრივ ერთეულთა სემანტიკის დეკსკრიფციის შედეგად მიღებულ მონაცემთა კოგნიტური ინტერპრეტაცია. აღნიშნულ ეტაპზე ხორციელდება კოგნიტურ მაკლასიფიცირებელ ნიშანთა გამოვლენა და ინტერპრეტაცია.

ნაშრომში განხორციელდა კონცეპტის „ომი“ კოგნიტური ინტერპრეტაცია, რაც გულისხმობს ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობის აღწერას განზოგადების უფრო მაღალ დონეზე.

„კონცეპტის „ომი“ კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშნები:

1. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - სიძულვილი: “During times of war, hatred becomes quite respectable, even though it has to masquerade often under the guise of patriotism.” - Howard Thurman; “Men make war to get attention. All killing is an expression of self-hate.” - Alice Walker
2. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - სიკვდილი: “I'm fed up to the ears with old men dreaming up wars for young men to die in.” - George McGovern; “I do not say that children at war do not die like men, if they have to die. To their everlasting honor and our everlasting shame, they do die like men, thus making possible the manly jubilation of patriotic holidays. But they are murdered children all the same.” - Kurt Vonnegut, *Cat's Cradle*
3. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მარცხი: “All war is a symptom of man's failure as a thinking animal.” — John Steinbeck

4. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ბრძოლა: “War means fighting. The business of the soldier is to fight. Armies are not called out to dig trenches, to throw up breastworks, to live in camps, but to find the enemy and strike him; to invade his country, and do him all possible damage in the shortest possible time. This will involve great destruction of life and property while it lasts; but such a war will of necessity be of brief continuance, and so would be an economy of life and property in the end.” - Stonewall Jackson; “The true soldier fights not because he hates what is in front of him, but because he loves what is behind him.” - G.K. Chesterton
5. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მეზობლი: “War must be, while we defend our lives against a destroyer who would devour all; but I do not love the bright sword for its sharpness, nor the arrow for its swiftness, nor the warrior for his glory. I love only that which they defend.” - J.R.R. Tolkien, *The Two Towers*
6. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ხელოვნება: “The supreme art of war is to subdue the enemy without fighting.” - Sun Tzu, *The Art of War*
7. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - დანაშაული: “Never think that war, no matter how necessary, nor how justified, is not a crime.” - Ernest Hemingway, *A Literary Reference*; “Rules are for children. This is war, and in war the only crime is to lose.” - Joe Abercrombie, *Last Argument of Kings*
8. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - იარაღი: “Imagination is the only weapon in the war against reality.” - Lewis Carroll; “Every gun that is made, every warship launched, every rocket fired signifies in the final sense, a theft from those who hunger and are not fed, those who are cold and are not clothed. This world in arms is not spending money alone. It is spending the sweat of its laborers, the genius of its scientists, the hopes of its children. This is not a way of life at all in any true sense. Under the clouds of war, it is humanity hanging on a cross of iron.” - Dwight D. Eisenhower
9. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - საფრთხე: “I think war is a dangerous place.” - George W. Bush; “There's never been a true war that wasn't fought between two sets of people who were certain they were in the right. The really dangerous people believe

they are doing whatever they are doing solely and only because it is without question the right thing to do. And that is what makes them dangerous.” - Neil Gaiman, American Gods

10. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მტერი: “It is always useful to face an enemy who is prepared to die for his country,” he read. "This means that both you and he have exactly the same aim in mind.” - Terry Pratchett, Jingo
11. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ფული: “A nation that continues year after year to spend more money on military defense than on programs of social uplift is approaching spiritual doom.” - Martin Luther King Jr.; “All wars are sacred,” he said. “To those who have to fight them. If the people who started wars didn’t make them sacred, who would be foolish enough to fight? But, no matter what rallying cries the orators give to the idiots who fight, no matter what noble purposes they assign to wars, there is never but one reason for a war. And that is money. All wars are in reality money squabbles. But so few people ever realize it. Their ears are too full of bugles and drums and the fine words from stay-at-home orators. Sometimes the rallying cry is ‘save the Tomb of Christ from the Heathen!’ Sometimes it’s ‘down with Popery!’ and sometimes ‘Liberty!’ and sometimes ‘Cotton, Slavery and States’ Rights!’” - Margaret Mitchell, Gone with the Wind
12. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - პატრიოტიზმი: “They wrote in the old days that it is sweet and fitting to die for one's country. But in modern war, there is nothing sweet nor fitting in your dying. You will die like a dog for no good reason.”- Ernest Hemingway
13. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - გამარჯვება: “No one won the last war, and no one will win the next war.” - Eleanor Roosevelt, The Wisdom of Eleanor Roosevelt
14. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - უზნეობა: “A true war story is never moral. It does not instruct, nor encourage virtue, nor suggest models of proper human behavior, nor restrain men from doing the things men have always done. If a story seems moral, do not believe it. If at the end of a war story you feel uplifted, or if you feel that some small bit of rectitude has been salvaged from the larger waste, then you have been made the victim of a very old and terrible lie. There is no rectitude whatsoever. There is no virtue. As a first rule of thumb,

therefore, you can tell a true war story by its absolute and uncompromising allegiance to obscenity and evil.” - Tim O'Brien, *The Things They Carried*

15. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ძალადობა: “The choice is not between violence and nonviolence but between nonviolence and nonexistence.” - Martin Luther King Jr.
16. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მკვლელობა: “In wars, boy, fools kill other fools for foolish causes” - Robert Jordan, *To the Blight*; “If we really saw war, what war does to young minds and bodies, it would be impossible to embrace the myth of war. If we had to stand over the mangled corpses of schoolchildren killed in Afghanistan and listen to the wails of their parents, we would not be able to repeat clichés we use to justify war. This is why war is carefully sanitized. This is why we are given war's perverse and dark thrill but are spared from seeing war's consequences. The mythic visions of war keep it heroic and entertaining...
 - a. The wounded, the crippled, and the dead are, in this great charade, swiftly carted offstage. They are war's refuse. We do not see them. We do not hear them. They are doomed, like wandering spirits, to float around the edges of our consciousness, ignored, even reviled. The message they tell is too painful for us to hear. We prefer to celebrate ourselves and our nation by imbibing the myths of glory, honor, patriotism, and heroism, words that in combat become empty and meaningless.” - Chris Hedges, *Death of the Liberal Class*
17. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - სისუსტე: “The law of evolution is that the strongest survives!” “Yes, and the strongest, in the existence of any social species, are those who are most social. In human terms, most ethical...There is no strength to be gained from hurting one another. Only weakness.” - Ursula K. Le Guin
18. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ღალატი: “There are betrayals in war that are childlike compared with our human betrayals during peace. The new lovers enter the habits of the other. Things are smashed, revealed in a new light. This is done with nervous or tender sentences, although the heart is an organ of fire.” - Michael Ondaatje, *The English Patient*
19. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - თავგადასავალი: “War is always an adventure to those who've never seen it.” - Anthony Ryan, *Blood Song*;

- a. “War seems like a fine adventure, the greatest most of them will ever know. Then they get a taste of battle.
 - b. For some, that one taste is enough to break them. Others go on for years, until they lose count of all the battles they have fought in, but even a man who has survived a hundred fights can break in his hundred-and-first. Brothers watch their brothers die, fathers lose their sons, friends see their friends trying to hold their entrails in after they’ve been gutted by an axe. - George R.R. Martin, A Feast for Crows
 - c. “War is always an adventure to those who've never seen it.” - Anthony Ryan, Blood Song
20. კონცეპტის „ომი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - სიმბდალე: “War is only a cowardly escape from the problems of peace.” - Thomas Mann, This I Believe: The Personal Philosophies of One Hundred Thoughtful Men and Women
